

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კონფლიქტების ანალიზი და მართვა

ქმიშტოვ ლუკიანოვიჩი

**საქართველოს ჩრდილოეთი
საზღვრის სტრატეგიული
გადასასვლელები და მათი როლი
ქვეყნის უსაფრთხოებაში
გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი**

ნაშრომი შესრულებულია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფ. რევაზ ჯორბენაძე



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი 2015

შინაარსი

შესავალი და გამოყენებული მეთოდოლოგია.....	4
I თავი - კავკასია - მთათა ჯაჭვისა და ისტორიული რეგიონის ფორმირება.....	7
II თავი - ლინგვისტური მდგომარეობა კავკასიაში.....	11
III თავი - ადრეული გადასასვლელები კავკასიის ქედზე.....	15
IV თავი - ისტორიული პერიპეტიები.....	18
1.1 ძველი ისტორია.....	18
1.2 საქართველო ცარიზმის დამხობის შემდეგ.....	34
V თავი - საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილოეთი საზღვარი (XVIII საუკუნის ბოლო და XIX-ის პირველი ნახევარი).....	48
VI თავი - უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილოეთი საზღვარი 1922 წლიდან 1958 წლის ჩათვლით.....	55
VII თავი - საქართველოს უკიდურესი დასავლეთი საზღვარი და კავკასიონის ქედზე გამავალი საქართველო-რსფსრ-ს საზღვარი.....	72
VIII თავი - საქართველო-რსფსრ-ს საზღვრისპირა ზოლის განსახლება.....	75
IX თავი - გადასასვლელთა (უღელტეხილთა) ზოგადი მახასიათებლები.....	80
X თავი - საქართველო-რუსეთის სახმელეთო საზღვრის გზები და გადასასვლელები - „ცხელი წერტილები“.....	83
1.1. სოხუმის სამხედრო გზა.....	84
1.2 მამისონის უღელტეხილი.....	86
1.3. როკის გვირაბი.....	87
1.4. თრუსოს ხეობა.....	88
1.5. ყაზბეგი - ზემო ლარსი.....	90
1.6. ასას ხეობა.....	91

1.7.	პანკისის ხეობა.....	92
1.8.	ავარეთ-კახეთის გზა.....	94
1.9.	გადასასვლელების იურიდიული პრობლემები.....	98
XI თავი - საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე მოვლენების განვითარების		
შესაძლო გზები და პერსპექტივები.....		
1.1	აფხაზეთის მონაკვეთი.....	100
1.2	მამისონის უღელტეხილის მონაკვეთი.....	110
1.3	სამხრეთი ოსეთის მონაკვეთი.....	114
1.4	თრუსოს ხეობა და ყაზბეგის რეგიონი.....	122
1.5	პანკისის ხეობა.....	127
1.6	საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი და რუსეთი.....	131
კვლევის დასკვნები.....		
რეკომენდაციები.....		
რეზიუმე.....		
დანართები.....		
გამოყენებული ლიტერატურა.....		

შესავალი და გამოყენებული მეთოდოლოგია

სახელმწიფოს საზღვრებს აღნიშნავენ წარმოსახვითი ან ბუნებრივად ჩამოყალიბებული ხაზები როგორცაა მთები, მდინარეები და ა.შ. ყველა დამოუკიდებელი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საზღვრებზე უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველყოფა. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და რეგიონში ცვალებადი კონიუნქტურის გამო. ამ ფონზე ყველაზე განსაკუთრებულ როლს თამაშობს საქართველოს ჩრდილო საზღვარი, რომელიც გადის მაღალმთიან რეგიონებში და ჰყოფს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს. სახელმწიფო საზღვარი ამ მონაკვეთზე ჩამოყალიბდა სხვადასხვა მეზობელ ერებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად და ზოგადად ბუნებრივ და გეოგრაფიულ ხაზებზე გადიოდა.

სახელმწიფო საზღვარი სხვა მონაკვეთებთან შედარებით ამ მონაკვეთზე ყველაზე ნაკლებ ცვლილებებს განიცდიდა. მიუხედავად ამისა, ამჟამად ეს რეგიონი ყველაზე არასტაბილურად ითვლება და რუსეთის მხრიდან მუდმივი რისკის ქვეშ იმყოფება. ამ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს რუსეთთან საზღვრის დელიმიტაციასა და დემარკაციაზე მოლაპარაკებების არარსებობა და სეპარატისტული რეგიონების პრობლემა. ეს ორი ფაქტორი არასტაბილურობის ძირითადი წყაროა.

ამ კვლევის მიზანია საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი, იმ საკითხებისა და პრობლემების გამოვლენა, რომლებიც ყველაზე დიდ გამოწვევებს წარმოადგენენ და ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხზე. ამ ყველაფერზე დაყრდნობით შესაძლებელია გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება მომავლისათვის. გამომდინარე იქიდან რომ ავტორი წარმოშობით პოლონელია და აქ ხსენებულ პრობლემატიკას ცოტა სხვა, უფრო გლობალური თვალსაზრისით უყურებს, ზოგმა მოსაზრებამ ან რეკომენდაციამ შეიძლება გარკვეული შეკითხვები და დისკუსია გამოიწვიოს. მეორე მხრივ, საქართველოს ჩრდილო საზღვარი

არაერთი ევროპული დედაქალაქის ყურადღების ცენტრშია (განსაკუთრებით 2008 წლიდან) რადგანაც ზუსტად ეს ტერიტორია არის რუსეთისა და ევროპის ურთიერთდამოკიდებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ხოლო ისლამური სახელმწიფოს გამოჩენის გამო მალე ის შეიძლება ჩაითვალოს ვაჭაბიტური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ფრონტად. ამიტომ ამ საკითხით დაინტერესება ბუნებრივია რადგანაც რეალურად ის ეხება არა მარტო საქართველოს უსეფრთხოებას არამედ გაცილებით უფრო გლობალური მნიშვნელობის პრობლემატიკას.

კვლევის ყველაზე დიდი ნაწილი ეხება ისეთ რეგიონებს როგორცაა სეპარატისტულ აფხაზეთში მდებარე სტრატეგიული მონაკვეთები, მამისონის უღელტეხილი და რაჭის რეგიონი, ე. წ. სამხრეთ ოსეთში მდებარე სადავო ტერიტორიები, მთელი ყაზბეგის რაიონი (განსაკუთრებით კი დარიალისა და თრუსოს ხეობები), პანკისის ხეობა და საქართველო-დაღესტნის საზღვრის გასწვრივ განლაგებული ტერიტორიები. რასაკვირველია საჭიროების შემთხვევაში შევხებით აგრეთვე სხვა რეგიონებსაც.

რაც შეეხება აქამდე გამოქვეყნებულ კვლევებს და მასალებს საქართველოს საზღვრის და განსაკუთრებით მისი ჩრდილო მონაკვეთის შესახებ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული ნაწარმოები და ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი "საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული". ამ თემაზე მნიშვნელოვანი მასალები გამოაქვეყნეს ასევე ალექსანდრე მანველიშვილმა, პავლე ინგოროყვამ, ვიქტორ ნოზაძემ და რომან კვერენჩილაძემ, ოღონდ ამ უკანასკნელის წიგნი „საქართველოს საზღვრები“ ფაქტობრივად ივანე ჯავახიშვილისა და ალექსანდრე მანველიშვილის მასალებზეა დაყრდნობილი. ასევე აღსანიშნავნი არიან მეცნიერები - ჯანსუღ კეკელია რომელმაც დაწერა ნაშრომი „საქართველოს ტერიტორია და საზღვრები“ და იკა სამხარაძე რომელიც ავტორია ნაშრომისა "საქართველოს სახელმწიფო საზღვარი – წარსული და აწმყო". ნამდვილად არ შეიძლება დავივიწყოთ თანამედროვე ექსპერტები - მამუკა არეშიძე, ვახტანგ მაისაია, კორნელი კაკაჩია, სოსო ცისკარიშვილი, ალექსანდრე რონდელი, გელა

ხუციშვილი, ირაკლი ალადაშვილი და სხვები. ავტორმა კვლევის დროს ამ ადამიანებთან არაერთი შეხვედრა ჩაატარა რის საფუძველზეც წინამდებარე ნაშრომში ზოგიერთი დასკვნა ჩამოაყალიბა. ექსპერტების რჩევები ავტორს დაეხმარა საჭირო ლიტერატურის და სხვა სპეციალური მასალების მოძიებაში რისთვისაც მას სურს მადლობა გადაუხადოს მათ. ასევე საჭიროდ ვთვლი ჩემი მეუღლის თათია ამბარდნიშვილის სახელის შეხსენებას რომელიც კვლევებზე მუშაობისას მუდმივად მეხმარება ქართულ ენაზე თარგმნაში. მიუხედავად იმისა რომ ჩემი დისერტაცია უპირველეს ყოვლისა გეოპოლიტიკურ და ისტორიულ საკითხებს ეხება, პირადად ჩემთვის ეს არის ასე ვთქვათ - დიდი ლინგვისტური გამოცდილება და ქართული ენის სწავლის 5-წლიანი პროცესის შეჯამება. ყველა პოტენციურ მკითხველს ვთხოვ რომ არ მიაქციოს ზედმეტი ყურადღება შესაძლო შეცდომებს რომლებისთვისაც თავის არიდება უბრალოდ ვეღარ შევძელი.

კვლევას ზოგადად აქვს ანალიტიკური და გეოპოლიტიკური სახე. მუშაობის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავდა:

- ისტორიულ-შედარებით და თანამედროვე რუკებს GoogleEarth-ის სატელიტური ელექტრორუკების ჩათვლით;
- კვლევაში ხსენებულ ზოგ რეგიონში ვიზიტებსა და მოსახლეობასთან საუბარს;
- საექსპერტო შეხვედრებს ქართველ და პოლონელ ანალიტიკოსებთან;
- ანალიტიკურ მასალებს ქართულ, პოლონურ, ინგლისურ და რუსულ ენებზე;
- ლიტერატურისა და პრესის ანალიზს.

I თავი

კავკასია - მათა ჯაჭვისა და ისტორიული რეგიონის ფორმირება

ითვლება რომ ეგრეთ წოდებული დიდი კავკასიონის ფორმირება მოხდა დაახლოებით 25 მილიონი წლის წინათ, მესამეულ პერიოდში, უფრო კონკრეტულად კი ალპური ოროგენეზის პროცესში რომლის დროსაც ჩამოყალიბდა თანამედროვეობის უმაღლესი ქედები: ჰიმალაები, ალპები, კარპატები და თვითონ კავკასიონიც.

მიუხედავად იმისა რომ დედამიწის ისტორიის თვალსაზრისით მცირე და დიდი კავკასიონის ჩამოყალიბების პერიოდებს შორის დროის ინტერვალი უმნიშვნელო იყო, მცირე კავკასიონი დიდთან შედარებით გეოლოგიურად ბევრად უფრო მრავალფეროვანია. მცირე კავკასიონის მთებში გვხვდება სპილენძის, ალუმინის, რკინის მადნის, პირიტისა და ბარიტის საბადოები.

დიდ კავკასიონს დაახლოებით 145 000 კვადრატული კილომეტრი ფართობი უკავია. ამ ქედის თხუთმეტი მწვერვალი აღემატება თავისი სიმაღლით მონბლანს. ტრადიციულად დიდ კავკასიონს სამ ნაწილად ყოფენ - ესაა დასავლეთი, შუა და აღმოსავლეთი ნაწილები. დიდი კავკასიონის ქედის დასავლეთი ნაწილი რუსეთში მდებარე ქალაქ ანაპის მიდამოებში იწყება. იგი შავი ზღვის სანაპიროს მიუყვება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ქლუხორის უღელტეხილამდე. რაც უფრო აღმოსავლეთით მიდის დიდი კავკასიონის ქედი მით უფრო მაღლდება მისი მწვერვალები და მიმდებარე ქედები - გაგრის ქედი (3251 მ.), ბზიფისა და კოდორის ქედები (მოგუაშირხა - 3261 მ.), მწვერვალი დომბაი-ულგენი („ადგილი სადაც დომბა დაილუპა“) - 4047 მ. სიმაღლის მატება განაპირობებს იმას რომ უკვე რუსეთის ცნობილი საკურორტო ქალაქის - სოჭის მიდამოებში დიდი კავკასიონის ქედის უმაღლესი ნაწილები მყინვარებითაა დაფარული. ქლუხორის უღელტეხილის მახლობლად დიდ კავკასიონზე განლაგებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი, ტიპური მწვერვალი. მათ შორისაა ბელალაყაია (ყარაჩაულ-ბალყარულ ენაზე „ზოლიან მთას“ ნიშნავს - 3861 მ.) რომელსაც თავისი ორიგინალური ფორმის გამო კავკასიის მატერჰორნსაც

უწოდებენ. დიდი კავკასიონის შუა ნაწილი დაახლოებით ორასი კილომეტრის სიგრძეზეა გადაჭიმული. ზუსტად ამ ნაწილშია განლაგებული კავკასიის ყველა “ხუთიათასიანი“ მწვერვალი. უმაღლესი მწვერვალი რა თქმა უნდა იალბუზია - 5642 მ. თავის გუმბათისებურ ფორმას ეს მწვერვალი ვულკანურ წარმოშობას უნდა უმაღლოდეს. იალბუზი კაინოზოური ერის პალეოგენურ პერიოდში ჩამოყალიბდა. ახლა მას ჩამქრალ ვულკანად თლიან თუმცა ზოგიერთი მიიჩნევს რომ ის მთვლემარე ვულკანია. ამჟამად ვულკანური აქტივობის ერთადერთი გამოვლინებაა ცხელი, გოგირდოვანი გაზები (ანაორთქლები). იალბუზის წვერო დაფარულია ვრცელი მყინვარით საიდანაც სწრაფი მთის მდინარეები იღებენ სათავეს. იალბუზის მასივი შედგება ორი, დაახლოებით ერთნაირი სიმაღლის მქონე მწვერვალისაგან. აღმოსავლეთით განლაგებული მწვერვალის სიმაღლე 5642 მეტრს აღწევს ხოლო დასავლეთით განლაგებულის 5611 მეტრს. იალბუზის დიდებულმა გარეგნობამ და მისმა ფორმებმა ასახვა ჰპოვა მთის მრავალფეროვან დასახელებებში. ადგილობრივი მაცხოვრებლები იალბუზს სხვადასხვანაირად მოიხსენიებენ - „ქალიშვილის მკერდი“, „ბედნიერების მომტანი მთა“, „წმინდა მთა“ ან „დათოვლილი მთა“.

შუა კავკასიონის აღმოსავლეთ ფლანგს აგვირგვინებს კიდევ ერთი ვულკანი - ყაზბეგი - 5047 მ. (მეორე დასახელება ქართულად - მყინვარწვერი). ამჟამად იგი არავითარ აქტივობას არ ავლენს. უკანასკნელ ამოფრქვევებს ამ ვულკანიდან ადგილი ჰქონდა დაახლოებით 6 ათასი წლის წინათ. დღესდღეობით ვულკანური აქტივობის ნარჩენად შეიძლება ჩაითვალოს ცხელი გაზების ანაორთქლები მთის ჩრდილო კალთებზე. ყაზბეგის მთის მასივი გადმოჰყურებს მის მახლობლად გამავალ საქართველოს სამხედრო გზას რომელიც ჩრდილოეთი კავკასიის მთისწინეთსა და საქართველოს ცენტრალურ რაიონებს ერთმანეთთან აერთებს.

როგორც შუა, ასევე აღმოსავლეთ კავკასიონზე ნათლად გამოიყოფა ორი პარალელური ქედი. უფრო მაღალია გვერდითი ქედი რომელსაც ადრე წინა ქედსაც უწოდებდნენ. გვერდით ქედზეა განლაგებული იალბუზი და ყაზბეგი. მეორე ქედი ძირითად ქედს წარმოადგენს რომელიც ამავდროულად ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასიის აუზების წყალგამყოფი საზღვარიცაა.

კავკასიონი ალპური ნაოჭა მთების რიგს განეკუთვნება და რთული გეოლოგიური აგებულებით ხასიათდება, მისი ფორმირება მოხდა ანატოლიისა და ევრაზიის ფილაქანების შეჯახების შედეგად. ამ შეჯახებასთან დაკავშირებული ტექტონიკური პროცესები დღემდე გრძელდება რისი დასტურიცაა ხშირი მიწისძვრები ამ რეგიონში.

კავკასიის როგორც პოლიტიკური და ისტორიული რეგიონის საზღვრები განსაზღვრულია არსებული ტრადიციის საფუძველზე და არ ეფუძნება ერთიან ფიზიკო-გეოგრაფიულ და პოლიტიკურ კრიტერიუმებს.

ტრადიციულად ითვლება რომ ასე აღქმული კავკასიის სამხრეთი საზღვრები ემთხვევა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრებს თურქეთსა და ირანთან (აღრე ეს საბჭოთა კავშირის საზღვარი იყო ხოლო უფრო ადრე კი რუსეთის იმპერიის). ამ ლოგიკით კავკასიაში აერთიანებენ სომხეთის მთიანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილსაც რომელიც უშუალოდ აზიას განეკუთვნება.

ასე დანახული კავკასიის ჩრდილოეთი საზღვარი ერთმნიშვნელოვნად დადგენილი არ არის. საბჭოთა გეოგრაფიაში მიღებული იყო თვალსაზრისი რომ ეს საზღვარი ემთხვეოდა კავკასიის გეოგრაფიულ საზღვარს - ყუმა-მანიჩის ღრმულს. თუმცაღა ასეთი დაყოფის მიხედვით კავკასიის ფარგლებში ექცევა დაბლობი რაიონები რომლებიც პირწმინდად სლავური მოსახლეობითაა დასახლებული რომელსაც კულტურული თვალსაზრისით კავკასიასთან არაფერი აქვს საერთო. მეორე მხრივ, ნამდვილად კავკასიას განეკუთვნებიან კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით განლაგებული კავკასიელ მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკები. აქედან გამომდინარე პოლიტიკური თვალსაზრისით კავკასია მოიცავს:

- საქართველოს რესპუბლიკას,
- სომხეთის რესპუბლიკას,
- აზერბაიჯანის რესპუბლიკას,
- რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ნაწილს რომელშიც შედის:
 - ყარაჩაი-ჩერქეზეთი,

- ყაზარდო-ბაღყარეთი,
- ჩრდილოეთი ოსეთი,
- ინგუშეთი,
- ჩეჩნეთი,
- დაღესტანი.
- ადიღე

კავკასია როგორც პოლიტიკურ-ისტორიული რეგიონი ორ ნაწილად იყოფა: ჩრდილოეთ კავკასიად და სამხრეთ კავკასიად. ამ ორი ნაწილის საზღვარს წარმოადგენს კავკასიის მთავარი ქედი, უფრო ზუსტად კი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვარი რომელიც ამ ქედს გასწვრივ მიჰყვება (ეს ორი ხაზი ერთმანეთს მუდმივად არ ფარავს - აზერბაიჯანის ნაწილი რომელზეც ქალაქი ყუბაა განლაგებული კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს ხოლო რუსეთის კრასნოდარის მხარის ნაწილი ქედის სამხრეთითაა მოქცეული). ასე რომ, პოლიტიკურ-ისტორიული ჩრდილოეთი კავკასია მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ფიზიკო-გეოგრაფიულ იმიერკავკასიას ხოლო სამხრეთი კავკასია კი ამიერკავკასიას თუმცაღა პრაქტიკაში ეს ცნებები ხშირად გაიგივებულია.

II თავი

ლინგვისტური მდგომარეობა კავკასიაში

ჯერ კიდევ რომის იმპერიის ზეობის პერიოდში ყურადღება მიაქცევს იმას რომ კავკასიის რეგიონში საქმიანობის საწარმოებლად აუცილებელი იყო ათეულობით თარჯიმნის დახმარება. არაბი გეოგრაფები ამ რეგიონს „ჯაბალ ალ-ალსუნ“-ს უწოდებდნენ რაც ენების მთას ნიშნავს¹. ხშირად ხდებოდა რომ ორი მეზობელი მთიელი ხალხი ერთმანეთისთვის სრულიად გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდა და კონტაქტი ერთმანეთთან პრაქტიკულად არ ჰქონდათ. ამ თვალსაზრისით კავკასია დღემდე წარმოადგენს ნამდვილ ეთნიკურ მოზაიკას ხოლო იქ არსებული ენებისა და დიალექტების რაოდენობა მრავალ ათეულს ითვლის. კავკასიაში არის ენები რომლებზეც რამდენიმე მილიონიანი ერები ლაპარაკობენ - ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები. არის აგრეთვე მცირე ეთნიკური ჯგუფების ენებიც რომლებზეც სულ რამდენიმე ათასი ან ზოგ შემთხვევაში რამდენიმე ასეული ადამიანიც კი ლაპარაკობს. ევროპელი და კავკასიელი მკვლევარები დღემდე კამათობენ იმის შესახებ - არის თუ არა ამა თუ იმ მცირე ეთნიკური ჯგუფის ენა დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული თუ მხოლოდ სხვა ენის დიალექტია. ანალოგიურ დისკუსიებს იწვევს მეორე საკითხიც - არიან თუ არა ეს ეთნიკური ჯგუფები დამოუკიდებელი ეთნიკური ერთეულები თუ სხვა უფრო მრავალრიცხოვანი ხალხების ნაწილს წარმოადგენენ.

ენები რომლებზეც კავკასიის რეგიონის მაცხოვრებლები ლაპარაკობენ სამ დიდ ენობრივ ოჯახს განეკუთვნება - კავკასიურ, ინდოევროპულ და თურქულ ენათა ოჯახებს. კავკასიური ენები ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფა, ესენია: ქართველური, ადიღურ-აფხაზური, ნახური და დაღესტნური ჯგუფები. ამ ჯგუფებს შორის მრავალი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

ქართველური ენები:

- ქართული
- სვანური

¹ Charles King, Widmo Wolności – Historia Kaukazu, Kraków 2010, გვ. 5

- ზანური ენები (ლაზური და მეგრული)

აფხაზურ-ადიღური ენები:

- აბაზური
- აფხაზური
- ადიღური
- ყაბარდოული (ჩერქეზული დიალექტის ჩათვლით)
- უბიხური

ნახური ენები:

- ბაცბური
- ჩეჩნური
- ინგუშური

დაღესტნური ენები:

- ხუნძური
- ანდიური
- ბოთლიხური
- ღოდობერიული
- კარატაული
- ახვახური
- ბაგვალალური
- ტინდიური
- ჭამალალური
- დიდოური
- ხვარშიული
- ჰინუხური
- ბეჟიტური
- ჰუნზიბური
- ლაკური
- დარგული
- ხინალუღური

- არჩიზული
- თაბასარანული
- ალულური
- რუთულური
- წახური
- ბუდუხური
- უდიური
- ლეზგიური
- კრიწული

ბევრად მცირერიცხოვანია კავკასიაში მცხოვრები ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხების ჯგუფი. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან სომხები, ოსები, ქურთები, ბერძნები და აგრეთვე სლავური ჯგუფის ხალხები - რუსები, უკრაინელები და პოლონელები.

კავკასიაში ყველაზე გვიან თურქულ ენებზე მოლაპარაკე ხალხები გამოჩნდნენ. თურქულენოვანი ჯგუფები კავკასიაში სხვადასხვა პერიოდებში სახლდებოდნენ თუმცა ეს პროცესი სათავეს მხოლოდ VIII საუკუნიდან იღებს. თურქულენოვანმა ტომებმა დაპყრობილი ირანულენოვანი და კავკასიურენოვანი ხალხების ნაწილის ასიმილაცია მოახდინეს და მათ თავს მოახვიეს თავიანთი ენა. ამ ასიმილაციის შედეგს წარმოადგენენ დღეს კავკასიაში მცხოვრები თურქულენოვანი ხალხები. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან აზერბაიჯანელები, აქვე უნდა აღვნიშნოთ ყუმუხები, ყარაჩაელები, ბალყარელები.

კავკასიის ენობრივი და გეოგრაფიული რუკა წარსულში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დღეს არსებულისგან. კავკასიის მაცხოვრებლებისათვის უმნიშვნელოვანესი იყო კონკრეტული ინდივიდუუმის იდენტობა. ქართველობა ყოველთვის არ ნიშნავდა ქრისტიანობასაც. ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ არცთუ ისე იშვიათად შეხვდებოდით ადამიანს რომელიც თურქულად ლაპარაკობდა მაგრამ თავს ქართველად თვლიდა ან ადამიანს რომელიც თავს სომხურ ეთნოსს მიაკუთვნებდა მაგრამ მუსლიმანი იყო. ადგილობრივ მოსახლეობას შორის შეიძლებოდა შეგხვედროდათ რუსულენოვანი ბუდისტები,

ჩეჩნურენოვანი მართლმადიდებელი ქრისტიანები და ა. შ. ისეთი ცნებები როგორცაა ქართველი ან სომეხი უკვე ასეულობით და ათასეულობით წლების წინ არსებობდა თუმცა ისინი ყოველთვის ერთსა და იმავეს არ აღნიშნავდა. უნდა გვახსოვდეს რომ ძველ დროს, სასაზღვრო კონტროლის არარსებობის პირობებში, როდესაც სხვადასხვა იმპერიები მუდმივად ცვლიდნენ თავიანთ საზღვრებს ხელშეკრულებებისა თუ ომების გზით, ხდებოდა მოსახლეობის ნებაყოფლობითი თუ ძალდატანებითი, ზოგჯერ ძალზე მასშტაბური მიგრაციები. ამ ყველაფერმა არსებითი გავლენა მოახდინა დღევანდელი კავკასიის ჩამოყალიბებაზე, მის ახლანდელ საზღვრებზე რომლებიც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არის ცნობილი.

III თავი

ადრეული გადასასვლელი კავკასიის ქედზე

არც ისე დიდი ხნის წინ კავკასიონის მთავარი ქედის ერთი მხრიდან მეორე მხარეს მოხვედრა საკმაოდ ძნელი იყო. ერთ-ერთი შესაძლებლობა იყო შავი ან კასპიის ზღვის ნაპირს გაყოლა და ქედსა და ზღვას შორის განლაგებული გზებით კავკასიონის მეორე მხარეს მოხვედრა. უძველესი დროიდან იყო ცნობილი ეგრეთ წოდებული დერბენტის ყელი - ვიწრო გასასვლელი კასპიის ზღვის ნაპირის გასწვრივ. ამ მიდამოებში საკმაოდ ხშირი იყო კონტაქტი და კულტურული გაცვლა ევრაზიული სტეპების ხალხებსა და ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობას შორის. მეორე მარშრუტი შავი ზღვის ნაპირს მიუყვებოდა, მისი პრაქტიკული ადაპტირება მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს მოხდა როდესაც მეფის რუსეთის ხელისუფლებამ სანაპირო გზა გაიყვანა, შემდეგ კი მას რკინიგზაც დაუმატა.

რა თქმა უნდა იყო მცდელობები რომ უშუალოდ გადაელახათ კავკასიონის ქედი. ერთ-ერთ ასეთ შესაძლებლობას წარმოადგენდა გადასვლა მარშრუტით რომელიც მდინარეების - არაგვისა და თერგის ხეობებს მიუყვებოდა. ჩრდილოეთიდან მარშრუტი იწყებოდა მდინარე თერგის ხეობაში, კვეთდა კავკასიონის მთავარ ქედს და შემდგომ უკვე მიუყვებოდა მდინარე არაგვის ხეობას. მოგვიანებით ეს მარშრუტი ყველაზე უფრო პოპულარული გახდა და საბოლოოდ ტრანსფორმირდა დღეისათვის კარგად ცნობილ საქართველოს სამხედრო გზად რომელსაც რუსეთის ფედერაციის ქალაქ ვლადიკავკაზიდან საქართველოს დედაქალაქ თბილისამდე მივყავართ. ეს მარშრუტი ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის 60-იან წლებში ხოლო მისი ფართომასშტაბიანი გამოყენება სატრანსპორტო მოძრაობისათვის მხოლოდ 30 წლის შემდეგ დაიწყო. მოგზაურებზე ეს გზა ყოველთვის წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. მას აღტაცებით აღწერდა რუსი პოეტი ლერმონტოვი და აგრეთვე ბევრი სხვა მოღვაწე, მათ შორის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებიც. საფრანგეთის კონსული თბილისში ჟაკ-ფრანსუა გამბა XIX საუკუნის პირველ ნახევარში წერდა: „იტალია, ტიროლი, შვეიცარია - ვერცერთი ეს მხარე ვერ შემოგვთავაზებს ისეთ წარმტაც და რომანტიკულ სანახებს

როგორსაც არაგვის ხეობა. ციცაბო მთის კალთების შემდეგ რომლებზეც მოგზაურებს მუდმივად ემუქრება უფსკრულში ჩაჩეხვა, მწვერვალების შემდეგ რომლებიც მარადი მყინვარებითა და თოვლითაა დაფარული, გამოჩნდა გორაკები და მდელოები რომლებიც მწვანეში იყო ჩაფლული. პეიზაჟს აცოცხლებდა უამრავი სოფელი რომლებიც შესანიშნავად მოვლილ მინდვრებს შორის იყო განლაგებული.”²

აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაერთებელ მონაკვეთზე კარგი გზები ბევრად უფრო გვიან გამოჩნდა. რეალურად, კასპიისა და შავ ზღვებს შუა თანამედროვე ტიპის სატრანსპორტო კავშირის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ გახდა საუბარი შესაძლებელი რაც XIX საუკუნის 80-იან წლებში ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა დამთავრდა.

უნდა აღინიშნოს რომ უძველესი დროიდან ერთი ზღვიდან მეორეში მოსახვედრად ყველაზე უფრო მარტივ და პოპულარულ მარშრუტად ითვლებოდა არა სამხრეთკავკასიური არამედ ჩრდილოკავკასიური კორიდორი სადაც ძირითადად სამდინარო გზები გამოიყენებოდა. თავდაპირველად მოგზაურები აზოვის ზღვიდან მდინარე დონს აღმა აუყვებოდნენ, შემდგომ სახმელეთო გზით გადაკვეთდნენ სტეპს და ბოლოს ისევ სამდინარო გზით - ამჯერად უკვე მდინარე ვოლგის გავლით - ხვდებოდნენ ქალაქ ასტრახანში რომელიც კასპიის ზღვის ნაპირას მდებარეობს. ამჟამინდელი სატრანსპორტო მაგისტრალი რომელიც აღმოსავლეთს დასავლეთთან აერთებს - ჩრდილოკავკასიური რკინიგზა - 1917 წელს იქნა დამთავრებული.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი გზებისა რომლებიც გარკვეულწილად მთავარ მარშრუტებს წარმოადგენდნენ, არსებობდა აგრეთვე მეორეხარისხოვანი გზებიც - ეს იყო უკაცრიელ ქედებზე გამავალი ვიწრო ბილიკები რომლებითაც ძირითადად მწყემსები სარგებლობდნენ. პირველი დიდი ინვესტიციები რომლებიც კავკასიონის ქედის გავლით სატრანსპორტო მიმოსვლის გაუმჯობესებას ემსახურებოდა საბჭოთა პერიოდში ჩაიდო.

² Jacques –Francois Gamba, Voyage dans la Russie meridionale, et particulièrement dans les provinces situees au-dela du Caucase, fait depuis 1820 jusqu’en 1824, 2 tomy, C.J. Trouve, Paris 1826, t. 2, s. 37-38.

გეოგრაფიული მრავალფეროვნება და უამრავი ძნელადმისადგომი ადგილი კავკასიის მაღალმთიან რაიონებში ხელს უწყობდა პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური სიჭრელის ჩამოყალიბებას. მრავალი ხალხი დამპყრობთა თავდასხმების შედეგად იძულებული იყო თავშესაფარი მაღალმთიან ხეობებში ეპოვნა და იქ საუკუნეების განმავლობაში წარმატებით ინარჩუნებდა თვითმყოფადობას.

IV თავი

ისტორიული პერიპეტიები

1.1 ძველი ისტორია

საქართველოს ისტორია ისეთი მდიდარი და რთულია რომ მის აღწერას არაერთი მონოგრაფიული ძალისხმევა დასჭირდებოდა. ვინაიდან წინამდებარე ნაშრომის საგანს წარმოადგენს ამჟამინდელი სიტუაცია ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასიის საზღვრისპირეთში, ჩვენ ამ თავში რეგიონის ისტორიის მხოლოდ იმ უმნიშვნელოვანეს ელემენტებს შევხებით რომლებიც საშუალებას მოგვცემენ უკეთ გავიგოთ შემდგომში განხილული საკითხები.

ნაშრომში განხილული რეგიონის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული წარსულის დიდ იმპერიებთან - თურქეთთან, ირანთან და აგრეთვე რუსეთთან. უახლესი ისტორიის განმავლობაში ზუსტად ეს უკანასკნელი ქვეყანა ახდენდა უმთავრეს გავლენას კავკასიის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილების თანამედროვე სურათის ჩამოყალიბებაზე.

უკვე XVI საუკუნეში, მოსკოვის ძლევამოსილების ზრდის კვალდაკვალ, რუსეთის მმართველები თავიანთ ტიტულებს ამატებდნენ ქართველთა, ჩერქეზთა და სხვა მთიელთა მბრძანებლის ტიტულს თუმცა რეალურად XIX საუკუნის დასაწყისამდე რუსეთის არცერთ მმართველს არ ჰქონია დამყარებული ფაქტიური კონტროლი ამ ხალხებსა და ტერიტორიებზე. ეს პრაქტიკა ნათლად გულისხმობდა იმას რომ მოსკოვს ოდითგანვე ჰქონდა მიზნად კავკასიაში პლაცდარმის მოპოვება რათა გზა გახსნოდა კასპიისა და შავი ზღვების მოპირდაპირე ნაპირებზე განლაგებული ქვეყნებისაკენ.

კავკასიაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ არსებობდა ერთიანი ძალა რომელიც წარმატებით გაუმკლავდებოდა ან მინიმუმ შეაკავებდა მაინც გარედან მომავალ საფრთხეს. ეს რეგიონი საზღვრების განსაკუთრებული მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა. იმის დადგენა თუ ვინ ფლობდა რეალურ კონტროლს ამა თუ იმ კონკრეტულ ტერიტორიაზე საკმაოდ ძნელი ამოცანა იყო. ამ ფაქტს ევროპელი მოგზაურებიც აქცევდნენ ყურადღებას თავიანთ რეპორტაჟებში

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში³. გარდა ცალკეულ ხალხებს შორის საზღვრების დადგენის პრობლემებისა კავკასია სხვა საკითხთანაც ასოცირდებოდა. იგი ძველთაგანვე განიხილებოდა როგორც ქვეყნის დასალიერი, საზღვრისპირეთი. იმდროინდელი წარმოდგენების მიხედვით ზუსტად აქ მდებარეობდა სამყაროს საზღვარი. ბერძნული მითოლოგიის გმირი - პრომეთეც ხომ აქ, კავკასიაში მიაჯაჭვეს მთას ცეცხლის მოპარვისათვის.

XVI საუკუნეში, სანამ რუსეთი ფაქტიურად ჩაერთვებოდა კავკასიისათვის ბრძოლაში, ამ რეგიონის ძირითადი მტერი ორი მძლავრი ისლამური სახელმწიფო იყო: ოსმალეთის იმპერია და სეფიანთა ირანი. რეგიონისათვის ბრძოლა ამ ორ იმპერიას შორის დროებით შეაჩერა ამასიის ზავმა რომელიც 1555 წელს დაიდო. მოხდა გავლენის სფეროების გადანაწილება. თურქეთმა თავისი კონტროლი დაამყარა ტერიტორიაზე რომელიც საქართველოს იმერეთის რეგიონს და მის მიმდებარე რეგიონებს მოიცავდა და ლიხის ქედამდე აღწევდა. სპარსელებს უნდა გაეკონტროლებინათ აღმოსავლეთი საქართველო - ქართლისა და კახეთის ტერიტორია და აგრეთვე სამხრეთით მდებარე მუსლიმანური სახანოები. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას - აქ თურქების კონტროლის ქვეშ შედიოდა ჩერქეზთა მიწები და ყაზარდო ხოლო სპარსელები აკონტროლებდნენ დაღესტანს და მის მიმდებარე ტერიტორიებს.

საქართველოს სამეფო საგვარეულოს - ბაგრატიონთა წარმომადგენლები მომდევნო წლების განმავლობაში ოსტატურად ახერხებდნენ ერთი იმპერიის მეორის წინააღმდეგ გამოყენებას თავიანთ სასარგებლოდ. თუმცა ეს მიდგომა არცთუ იშვიათად ადგილობრივი კონკურენტების დასუსტებას ან განადგურებასაც ითვალისწინებდა. ასეთმა პოლიტიკამ საგრძნობი შედეგები მოიტანა XVIII საუკუნის შუახანებში როდესაც ერეკლე II-მ მოახერხა ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანება და სპარსული ვასალობისაგან მნიშვნელოვანწილად თავის დაღწევა.

ისლამური იმპერიების მიერ დადგენილი გავლენის სფეროების გადანაწილება შემდგომი 200 წლის განმავლობაში ძალაში რჩებოდა - იმ

³ Jacques –Francois Gamba, Voyage dans la Russie meridionale, et particulièrement dans les provinces situees au-dela du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824, 2 tomy, C.J. Trouve, Paris 1826, t. 1, s. 66.

მოკლევადიანი ეპიზოდების გარდა როდესაც ერთი ძალა თავისი კონკურენტის მიწებს დროებით დაიკავებდა ხოლმე. წონასწორობა მხოლოდ XVIII საუკუნის შუახანებში დაირღვა. ეს დაკავშირებული იყო სეფიანთა დინასტიის დასუსტებასთან ირანში. ოდესღაც ძლიერი იმპერიის დასუსტებამ გამოიწვია დაპყრობილი ხალხების დიპლომატიური გააქტიურება საკუთარი ქვეყნების გაძლიერების მიზნით. ქართლმა და კახეთმა სპარსეთის ბატონობას თავი დააღწიეს და რუსეთის მხარეს დაიწყეს ყურება რომელთანაც მათ მართლმადიდებლობა აკავშირებდათ. ზოგიერთი მოღვაწე რუსეთს ერთადერთ ძალად თვლიდა რომელსაც ერთმორწმუნეების გადარჩენა შეემლო ისლამური საფრთხისაგან. მეორე მხრივ, მოსკოვი რომელიც პეტრე დიდის წარმატებებით იყო ფრთაშესხმული, აგრძელებდა ახალი მიწების დაპყრობას და სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა კავკასიის რეგიონს. სეფიანთა დასუსტებამ რუსეთს საშუალება მისცა რომ თეორიიდან პრაქტიკაზე გადასულიყო. ეკატერინე დიდმა დაიწყო თავისი სტრატეგიული გეგმის განხორციელება რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო კავკასიაზე კონტროლის დამყარება რაც ერთ-ერთი ეტაპი იქნებოდა უფრო მნიშვნელოვანი მიზნისაკენ - თურქეთში ოსმალების მმართველობის დამხობისაკენ. ამავდროულად სეფიანთა დასუსტების ფონზე თურქეთიც გეგმავდა თავისი გავლენის გავრცელებას ახალ ტერიტორიებზე. ეს ყველაფერი ნიშნავდა ახალ კონფლიქტს ორ, დიდი ამბიციების მქონე იმპერიას შორის.

1768-1774 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი რომელშიც წარმატებას მონაცვლეობით აღწევდა თითოეული მხარე. კავკასია სისხლიანი ბრძოლების ცენტრად იქცა. საბოლოოდ მხარეებმა ქუჩუქ-ქაინარჯის ზავი დადეს რომლის საფუძველზეც რუსეთმა თავისი კონტროლი განავრცო ყირიმსა და მის მიმდებარედ განლაგებულ შავიზღვისპირა ტერიტორიებზე. შავ ზღვაზე რუსეთის დროშის ქვეშ მცურავი გემები გამოჩნდნენ. მოგვიანებით ეკატერინე II-მ ჩრდილოეთ კავკასიაში გამაგრებული დასახლებების მშენებლობა წამოიწყო სადაც კაზაკებს, სომხებსა და სხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფებს ასახლებდა რომლებიც მისი ხელისუფლების ლოიალურნი იყვნენ.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, აქ რუსეთმა ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოსთან კიდევ უფრო გაამყარა ადრე დამყარებული ურთიერთობები. რუსეთ-თურქეთის ომმა გარკვეული იმედები მისცა დასავლეთ საქართველოსაც. მიუხედავად იმისა რომ ეს მიწები ფორმალურად თურქეთის გავლენის სფეროში იყო მოქცეული მათი კონტროლი საკმაოდ შეზღუდული იყო. თურქებს ეშინოდათ ამ ქვეყნის საქმეებში აქტიური ჩარევის რადგანაც იცოდნენ რომ ამას შეიძლება შემდგომი გართულებები გამოეწვია ეკატერინესთან ურთიერთობებში. თურქები მოთმინებით უცდიდნენ შესაბამის მომენტს რათა იმერეთის რეგიონში აქტიური მოქმედებები დაეწყოთ.

თურქეთთან ომის შემდეგ ეკატერინე II ქართველებს ჰპირდებოდა რომ პოტენციური მტრების - პირველ რიგში თურქეთისა და სპარსეთის - შემოტევის შემთხვევაში დახმარებას აღმოუჩენდა. საქართველოში გაცნობიერებული ჰქონდათ რომ გრძელვადიან პერსპექტივაში დამოუკიდებელი მოქმედებების გაგრძელება გარე დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო. მეფე ერეკლე II-მ იცოდა რომ სპარსეთის ან თურქეთის თავდასხმა ნებისმიერ წუთს მოსალოდნელი იყო. გარდა ამისა გახშირდა დაღესტნელი მთიელების მძარცველური თავდასხმები საქართველოზე. ამ პირობებში ერეკლე სულ უფრო ხშირად იყურებოდა რუსეთისკენ. ეკატერინე თავდაპირველად ერიდებოდა რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას საქართველოს თაობაზე რადგანაც შიშობდა რომ ეს ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ესკალაციას გამოიწვევდა, ეს კი მას იმ მომენტში არანაირად არ აწყობდა. ერეკლე II-მ მხარდაჭერის ძებნა დასავლეთ ევროპაშიც დაიწყო, მათ შორის ავსტრიაში, საფრანგეთში, ვენეციაში და თვით სარდინიაშიც კი მაგრამ ამ ძალისხმევამ ვერავითარი შედეგი ვერ მოიტანა.

ერეკლე II-ის მცდელობებმა შედეგი მხოლოდ 1783 წელს გამოიღო. ეკატერინემ ანგარიში აღარ გაუწია თურქებისა და სპარსელების შესაძლო რეაქციას და მხარი დაუჭირა ქართველ მეფეს საქართველოზე რუსული პროტექტორატის დამყარების საკითხში. ეს შეთანხმება იმავე წელს გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატის სახით. ტრაქტატი დიდწილად ზღუდავდა აღმოსავლეთი საქართველოს სამეფოს დამოუკიდებლობას. შეთანხმების პირობების მიხედვით

რუსეთი საკუთარ თავზე იღებდა ერეკლე II-ის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების დაცვას იმის სანაცვლოდ რომ ერეკლე ერთგულების ფიცს დადებდა რუსეთის წინაშე და ამავე დროს უარს იტყოდა საგარეო პოლიტიკის თუნდაც რაიმე სახით გატარებაზე. გარდა ამისა ქართლ-კახეთის ყოველ შემდგომ მმართველს თანამდებობის დაკავებამდე წინასწარ პეტერბურგიდან უნდა მიეღო თანხმობა და მხარდაჭერა. თბილისში ჩამოვიდა რუსული ჯარის ნაწილი რომელსაც დახმარება უნდა გაეწია მტრის შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად. თავიდან ეს ნაწილები მართლაც წაადგნენ საქართველოს დაღესტნელი მთიელების მძარცველური თავდასხმების მოგერიებაში.

მოვლენების ასეთი განვითარება ფართო რეზონანს იწვევდა თურქეთსა და სპარსეთში. ოსმალები განსაკუთრებული გაღიზიანებით აკვირდებოდნენ რუსეთის წამოწყებებს რომლებიც აშკარა წინააღმდეგობაში მოდიოდა ქუჩუქ-ქაინარჯის ზავის პირობებთან. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და მისი მიერთება იქ მცხოვრებ მუსლიმან მოსახლეობასთან ერთად, აგრეთვე სულ უფრო მეტი კოტროლი კავკასიაზე იმას მიუთითებდა რომ პეტერბურგი ექსპანსიაზე დებდა ფსონს.

1787 – 1792 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი. ამ ომმა ეკატერინე II-ს ახალი მიწები შესძინა. რუსეთმა კონტროლი დაამყარა შავი ზღვის მთელს ჩრდილოეთ სანაპიროზე, მდინარე ყუბანამდე. შავი ზღვის სანაპიროს კავკასიის მონაკვეთმა თითქმის მოიპოვა დამოუკიდებლობა მაგრამ რუსეთი რომელსაც იქ შესასვლელად ქართლ-კახეთის მხრიდან კარგი სასტარტო პოზიცია ჰქონდა ემზადებოდა რომ ამ მიწებზეც გაეგრძელებინა თავისი გავლენა.

მოულოდნელად რუსეთ-თურქეთის თამაშში ისევ ჩაერთო სპარსეთი. ყაჯარების დინასტიამ რომელიც სულ უფრო ძლიერდებოდა პრეტენზია გამოაცხადა თავისი ყოფილი გავლენის სფეროების აღდგენაზე. 1795 წელს აღ-მაჰმად ხანის გადაწყვეტილებითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა სპარსელთა სისხლიანი თავდასხმა საქართველოზე. სპარსელები თბილისში შემოვიდნენ და დედაქალაქი აიკლეს რუსებს კი მიუხედავად ქართველებისთვის მიცემული დახმარების პირობისა არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. ისინი

დიდი დაგვიანებით გამოჩნდნენ და თან ჯარის ისეთი რაოდენობით რომ მტრის წარმატებით მოგერიების შანსი არ ჰქონდათ. სამაგიეროდ ქართლ-კახეთს დახმარება გაუწია იმერეთის მეფემ, სოლომონ I-მა და ნაწილობრივ აზერბაიჯანმა. თუმცა ეს ძალები ყაჯართა სამხედრო ძალის წინააღმდეგ ძალზე სუსტი იყო. სპარსელთა აგრესია აღმოსავლეთი საქართველოსთვის სრული კატასტროფა იყო როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისით. თავდასხმის დროს დაიღუპა სამოქალაქო მოსახლეობის უზარმაზარი რაოდენობა, კომლების რაოდენობა თითქმის განახევრდა.

სპარსელთა თავდასხმამ აჩვენა რომ რუსეთთან დადებული ხელშეკრულება მხოლოდ ქალაქებში არსებობდა და თავის როლს არ ასრულებდა. ქართლ-კახეთის სამეფო რომელიც რუსი დედოფლის ჯარებს უნდა დაეცვა სპარსელთა ჯარმა სისხლში ჩაახრჩო, მოკავშირის მხრიდან კი ამას შესაბამისი რეაქცია არ მოჰყოლია. შესაძლოა დედოფალმა სიკვდილის წინ გადაწყვიტა რომ მისი აზრით იმპერიისათვის უფრო მნიშვნელოვან საქმეებზე მოეხდინა კონცენტრირება ვიდრე კავკასია იყო. ეკატერინე 1796 წელს გარდაიცვალა ხოლო მისმა მემკვიდრემ - პავლე I-მა მიიღო გადაწყვეტილება რომელიც ერეკლე II-ს კარგს არაფერს უქადდა.

უნდოდა რა ხაზი გადაესვა თავისი წინამორბედის აქამდე განხორციელებული პოლიტიკისათვის - პავლე I-მა რუსული ჯარი კავკასიის ფრონტიდან გაიყვანა. ასეთი საჩუქრით რა თქმა უნდა ისარგებლებდა ალა-მაჰმად ხანი რომელიც ახალ თავდასხმას ამზადებდა ქართლ-კახეთის სამეფოზე. მისი ჯარები უკვე მზად იყვნენ მორიგი სისხლიანი ექსპედიციისათვის როდესაც ხანი მოულოდნელად გარდაიცვალა. ბედმა საქართველო დაინდო თუმცა ეს უფრო იმ სიმშვიდეს ჰგავდა რომელიც ქარიშხალს უძღვის ხოლმე წინ. ყაჯარებმა თავიანთი გეგმები მხოლოდ დროებით გადადეს.

ერეკლე II-მ პავლე I-ის სახელზე წერილი გააგზავნა რომელშიც სთხოვდა რომ იმპერატორს ჯარის ნაწილები გამოეგზავნა რომელთაც 1783 წლის ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს საზღვრები უნდა დაეცვათ. რუსეთის ხელმწიფე ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობდა. ერეკლე II-ის შემდგომ მცდელობებს მისმა სიკვდილმა შეუშალა ხელი 1798 წლის

დასაწყისში. ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტი ერეკლეს შვილმა - გიორგი XII-მ დაიკავა.

საქართველოს ტახტზე მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია დიპლომატიური ნაბიჯები რომლებიც ძალზე შორსმომავალ მიზნებს ისახავდა. როგორც სპარსეთი, ასევე თურქეთი იმედოვნებდნენ რომ ახალი მეფე პოლიტიკურ ვექტორს შეიცვლიდა და დახმარებას რომელიმე ამ სახელმწიფოთაგანს სთხოვდა რადგანაც ხედავდა რომ რუსეთი მასზე დამყარებულ იმედებს არ ამართლებდა. გიორგი XII-მ თავისი წარმომადგენლებიც კი გააგზავნა ორივე ისლამური იმპერიის კარზე რომელთაც იქ არსებული სიტუაცია უნდა გამოეკვლიათ. ასეთი ქმედება გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევას უდრიდა. თუმცა ამავე დროს ამ დიპლომატიური თამაშის პროცესში გიორგი XII-მ წერილი გაუგზავნა პავლე II-ს თავისი სამეფოს რუსეთის იმპერიისათვის მიერთების თხოვნით მაგრამ იმპერატორმა ეს წერილი თამაშის ერთ-ერთ ელემენტად ჩათვალა. მოგვიანებით იმპერატორის მრჩევლებმა მაინც შეძლეს მისი უფრო ღრმად დაინტერესება კავკასიით და დაიყოლიეს იგი რომ იქ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა გაეგზავნა გენერალ ლაზარევის მეთაურობით.

თუმცა ყველა ეს სვლები მოულოდნელად შეწყდა გიორგი XII-ისა და პავლე II-ის უეცარი გარდაცვალების გამო. ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით გადაწყვიტა აღარ გაეჭიანურებინა კავკასიის საკითხის ბოლომდე მიყვანა. საფრანგეთში ნაპოლეონის გამლიერებისა და სპარსეთის სახელმწიფოს გავლენის თანდათანობითი აღდგენის ფონზე რუსეთის იმპერატორსაც სურდა რომ თავი იმ ფიგურად წარმოეჩინა რომელსაც სრული უფლება ჰქონდა ახალი სამყაროს მშენებლობაში მონაწილეობისა.

საქართველოს საკითხზე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის საფუძველი გახდა გიორგი XII-ის პეტიცია. უნდა აღინიშნოს რომ მისი სურვილი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლა ავტონომიის ფორმით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ქვეყანა ისევ ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლებს უნდა ემართათ, უნდა შენარჩუნებულიყო მთავრობა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია, საქართველოს ტერიტორიაზე

მიმოქცევაში მყოფ მონეტებზე საქართველოს გერბი უნდა ყოფილიყო გამოსახული. გარდა ამისა ქართულ ჯარში ყველა სამეთაურო თანამდებობა ქართველებს უნდა ჰქონოდათ ჩაბარებული. აქედან გამომდინარე გიორგი XII-ს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ რომ მან დამოუკიდებლობაზე უარი თქვა ჩრდილოელი მეზობლის სასარგებლოდ. პირიქით, მუდმივი მუსლიმანური საფრთხის პირობებში ასეთი სვლა დღევანდელი პერსპექტივიდან სრულიად ლოგიკური და გასაგები ჩანს. იმ მომენტში ეს ერთადერთი შანსი იყო რომ კავკასიის მთებში მდებარე პატარა სახელმწიფო ფიზიკურად გადარჩენილიყო.

თუმცა იმპერატორმა ალექსანდრემ გადაწყვიტა გიორგი მეფის დოკუმენტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ანექსიისათვის გამოეყენებინა. გიორგი XII-ის მემკვიდრის - უფლისწული დავითის პოტენციურ კორონაციას გულმოდგინედ ბლოკავდა გენერალი ლაზარევი რომელიც ამტკიცებდა რომ მეფედ კურთხევის საკითხზე საჭირო იყო პეტერბურგის ოფიციალური გადაწყვეტილების დალოდება გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების თანახმად. ქართულ სამეფო კართან დაახლოებულ პირთა ერთი ჯგუფი რომელსაც ყელში ჰქონდა ამოსული რუსეთთან კონტაქტები ცდილობდა დაეყოლიებინა დავითი რომ მიუხედავად ყველაფრისა ის მეფედ კურთხეულიყო. თუმცა რუსებმა მაინც მოახერხეს თავიანთი მიზნების მიღწევა. 1801 წლის სექტემბერში იმპერატორმა ალექსანდრემ მხარი დაუჭირა თავისი წინამორბედის - პავლეს მიერ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას და ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ნაწილად გამოაცხადა. ამავე დროს განხორციელდა ბაგრატიონთა დინასტიისათვის ტახტის ჩამორთმევა. დამოუკიდებელმა ქვეყანამ არსებობა შეწყვიტა და მის ადგილას გაჩნდა საქართველოს გუბერნია. ასეთმა გადაწყვეტილებამ რუსეთთან ინტეგრაციის თავგამოდებული მომხრეებიც კი გააოგნა. არავინ მოელოდა რომ პეტერბურგი ასე თავხედურად მოიქცეოდა.

რუსეთის ხელმწიფის პირველი არსებითი ნაბიჯი იყო წარმოშობით ქართველის - პავლე ციციანოვის დანიშვნა კავკასიის მეფისნაცვლად და ამ რეგიონში განლაგებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. ციციანოვი

თბილისში 1803 წლის დასაწყისში ჩამოვიდა. თავდაპირველად მან თავისი ძალისხმევა პოტენციური კონკურენტების - რა თქმა უნდა პირველ რიგში ბაგრატიონების მოსაშორებლად მიმართა თუმცა ამ ამოცანის შესრულება მეომრული სულის მქონე და შეუპოვარი ქართველების ქვეყანაში ძალზე ძნელი აღმოჩნდა.

ამ დროს გიორგი XII-ის ქვრივი მარიამი დედასთან და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ფარულად ემზადებოდა ხევსურეთის მთებში გასაქცევად. რუსებს კავკასიის მთიელებთან ბრძოლის საკმაო გამოცდილება ჰქონდათ და აცნობიერებდნენ რომ სამეფო ოჯახის წევრების მიერ შეგულიანებულ, განსაკუთრებული სიმამაცის მქონე ხევსურებს შეეძლოთ ანტირუსული აჯანყება დაეწყოთ რომელსაც შეეძლო სულ მალე მოეცვა მთელი ქვეყანა. ციციანოვმა გადაწყვიტა თავისი ფარული ჩანაფიქრის განხორციელება რომელშიც მთავარი როლი გენერალ ლაზარევს უნდა ეთამაშა. მარიამ დედოფალი გრძნობდა რა მის წინააღმდეგ ჩაფიქრებულ ვერაგობას მომხდურებს მომზადებული შეხვდა და მის ოთახში შესული გენერალი ლაზარევი წინასწარ გადანახული სატევრით განგმირა. ლაზარევის ჯარისკაცებმა დედოფალი დაატყვევეს და იგი მისი ოჯახის სხვა წევრებთან ერთად სასახლესთან წინასწარ მოყვანილ კარეტებში მოათავსეს. დედოფალი რუსეთში გადასახლეს საიდანაც უკან აღარ დაბრუნებულა, იგი იქვე გარდაიცვალა. ეს იყო ძალზე დრამატული ეტაპის დასაწყისი საქართველოს ისტორიაში.

სამეფო ოჯახის მოშორებამ ციციანოვს საშუალება მისცა რომ საშინაო რეფორმებზე მოეხდინა კონცენტრირება და სრულად მოეხდინა აწ უკვე ყოფილი სამეფოს რუსეთის იმპერიაში ინტეგრირება. შეიქმნა ახალი კანონმდებლობა რომელმაც მოიცვა ცხოვრების ყველა სფერო, შეიქმნა ახალი ადმინისტრაციული საზღვრები. პეტერბურგში არ უნდოდათ რომ რაიმე კვალი მაინც დარჩენილიყო ძველი წყობიდან და ქართველი ხალხის დამოუკიდებლობიდან.

ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისი იყო რუსეთის შემდგომი დაპყრობებისა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში. ციციანოვის ჯარებმა ძალზე სწრაფად შეძლეს მუსლიმანური სახანოების

ზოგიერთი ტერიტორიის დაკავება რომლებიც ახლანდელი აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში იყვნენ განლაგებულნი. ცოტა მოგვიანებით რუსებმა ბაქომდე და დერბენტამდე მისვლაც შეძლეს. რუსულმა აგრესიამ მძაფრი რეაქცია გამოიწვია როგორც სპარსეთში, ასევე თურქეთში. პირველ მათგანთან რუსეთი 1804-1813 წლებში აწარმოებდა ომს ხოლო მეორესთან 1806-1812 წლებში. აღსანიშნავია რომ ამ პერიოდში რუსეთს თავის დასავლეთ საზღვრებთანაც უხდებოდა ბრძოლა ნაპოლეონის ჯარებთან. ყოველ წელს იფეთქებდა ხოლმე ახალ-ახალი შეტაკებები როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ კავკასიაში სადაც ცალკეული, ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სამთავროები ცდილობდნენ რომ გამოეყენებინათ რუსეთის ჩართულობა სხვადასხვა იმპერიებთან ერთდროულ ომებში და გაეფართოებინათ თავიანთი გავლენის სფეროები.

საქართველოს შემთხვევაში ყურადღებას იმსახურებს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების ორი მცდელობა. პირველ მათგანს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1804 წელს, ქართლის ჩრდილოეთ, მთიან რაიონებში. 1812-1813 წლებში აჯანყება მიმდინარეობდა კახეთშიც. ორივე შემთხვევაში მიზანი იყო ბაგრატიდების ხელისუფლების დაბრუნება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეფორმების გატარება. აჯანყების ორივე მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა.

მოვლენა რომელმაც საქართველოში მნიშვნელოვნად გაზარდა ანტირუსული განწყობები იყო ზემოთ უკვე ნახსენები ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია. უნდა აღინიშნოს რომ ბევრად უფრო ადრე, საქართველოს ფეოდალური დაქსაქსულობის ხანაში (XV – XVIII საუკუნეები) დასავლეთი საქართველოს ეკლესია ცალკე გამოიყო და აფხაზეთის საკათალიკოსო შექმნა. მიუხედავად ამისა აღმოსავლეთი საქართველოს ეკლესია რომლის ცენტრიც მცხეთაში იყო, მძლავრ გამაერთიანებელ იმპულსს წარმოადგენდა ქართველი ხალხისათვის. 1811 წელს მცხეთის კათალიკოსის ანტონ II-ის რუსეთში გამოძახება და მისი რუსი მღვდელმთავრით ჩანაცვლება ძალზე მტკივნეულ დარტყმას წარმოადგენდა მგრძნობიარე ქართული ტემპერამენტისთვის, მით უმეტეს რომ საუკუნეების განმავლობაში ზუსტად რელიგიური ელემენტი წარმოადგენდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების იარაღს მუდმივი

მუსლიმანური აგრესიის პირობებში. ცოტა ხანში დასავლეთ საქართველოსაც იგივე ბედი ელოდა რაც ქართლ-კახეთს ხვდა წილად.

დასავლეთ საქართველოს ფეოდალებს შორის არსებულმა კონფლიქტებმა მხოლოდ ხელი შეუწყო რუსეთის მიზნების განხორციელებას ამ რეგიონში. იმერეთის ენერგიული მეფე სოლომონ II გურიისა და სამეგრელოს სამთავროების შემოერთებას ესწრაფვოდა. ამ სიტუაციაში სამეგრელოს მთავარს - გრიგოლ დადიანს ჯერ კიდევ 1801 წელს სურდა რომ მისი სამთავრო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოქცეულიყო. რუსეთმა რა თქმა უნდა ისარგებლა ასეთი „საჩუქრით“ თუმცადა ეს სამეგრელოს დამოუკიდებლობის გაუქმებას ჯერ კიდევ არ ნიშნავდა. ამ სამთავრომ პროტექტორატის სტატუსი 1857 წლამდე შეინარჩუნა. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა ურთიერთობების მოდელის ცვლილება და წერტილი დაესვა სამეგრელოს სამთავროს ფორმალურ დამოუკიდებლობას.

სამეგრელოს მოქცევამ რუსეთის პროტექტორატის ქვეშ პრაქტიკულად გადაწყვიტა იმერეთის სამეფოს ბედი რომელიც დასავლეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც რუსეთის სამფლობელოებით აღმოჩნდა გარშემორტყმული. ამ სიტუაციაში სოლომონ II-მ სცადა რომ დახმარება თურქეთში ეძებნა თუმცა ოსმალებმა არავითარ ღონისძიებას არ მიმართეს რათა იმერეთი საქართველოს დანარჩენი რეგიონების ბედის გაზიარებისაგან ეხსნათ. 1804 წელს სოლომონი იძულებული გახდა რომ რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოქცეულიყო. ამით მეზობელი გურიის სამთავროც რუსეთის იმპერიის გავლენის სფეროში აღმოჩნდა. ცოტა მოგვიანებით აფხაზეთმაც რუსეთის გავლენის სფეროში გადაინაცვლა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილობრივმა მთავრებმა შეძლეს რომ ყველაზე დიდხანს შეენარჩუნებინათ ვასალის სტატუსი. მხოლოდ 1864 წელს შეუერთდა აფხაზეთის ტერიტორია ოფიციალურად რუსეთის იმპერიას.

ყველაზე მეტი დრო რუსეთმა სვანეთზე კონტროლის დამყარებას მოანდომა სადაც დადემქელიანების გვარი ბატონობდა. მთიანი რელიეფი ძალზე უძნელებდა რუსულ ჯარებს ამ რეგიონში მოხვედრას. პეტერბურგმა მხოლოდ 1832 წელს შეძლო ოფიციალურად პროტექტორატის დამყარება სვანეთზე. 1859 წელს სვანეთი იმპერიის ნაწილი გახდა.

კავკასიის რეგიონის ისტორიაში არსებითი როლი ითამაშა საზავო ხელშეკრულებებმა რომლებიც რუსეთმა სპარსეთსა და თურქეთთან დადო. 1812 წლის ბუქარესტის ზავის პირობების მიხედვით თურქეთი ცნობდა ქართული მიწების უმეტესობის რუსეთის იმპერიაში შესვლის ფაქტს. იგი კარგავდა მნიშვნელოვან პორტებს შავ ზღვაზე - ფოთსა და ანაპას და აგრეთვე ახალქალაქის ციხე-სიმაგრეს. მეორე ზავი რომელიც სპარსეთის ქალაქ გულისტანში დაიდო 1813 წელს, აღიარებდა რუსეთის გაბატონებას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში და აგრეთვე მუსლიმანურ სახანოებში რომლებიც დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობდნენ. მიუხედავად ამისა სპარსეთი ისევ ინარჩუნებდა კონტროლს ერევნის მიმდებარე ტერიტორიებზე და ნახიჭევანზე.

შემდგომი ცვლილებები რეგიონის რუკაზე 1829 წელს მოხდა რუსეთ-თურქეთის მორიგი ომის დამთავრების შემდეგ. ადრიანოპოლისში დადებული ზავის საფუძველზე მესხეთისა და ჯავახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის კონტროლქვეშ გადავიდა. ამ ფაქტმა არსებითი გავლენა მოახდინა რეგიონის დემოგრაფიულ სიტუაციაზე. ქართველმა მუსლიმანებმა მასობრივად დატოვეს თავიანთი სოფლები მესხეთ-ჯავახეთში და ოსმალეთში გადავიდნენ, მათი ადგილი კი ოსმალეთიდან ლტოლვილმა სომხებმა დაიკავეს.

უნდა აღინიშნოს რომ რუსეთ-თურქეთის ომების დროს მრავალი ქართველი (ძირითადად აზნაურები) რუსულ არმიაში შევიდა და იქ სამსახურისას ოფიცრის წოდებას მიაღწია. მრავალმა მათგანმა თავი გამოიჩინა თავისი ნიჭითა და უნარით. ბევრი ქართველი მოღვაწეობდა იმპერიულ ადმინისტრაციაში, არა მარტო საქართველოში არამედ პეტერბურგის მიერ კონტროლირებად სხვა ტერიტორიებზეც.

მიუხედავად ამ ყველაფრისა ქართველ თავად-აზნაურთა შორის ისევ არსებობდა დიდი ჯგუფი რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო განწყობილი. ამ ჯგუფს უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნებოდნენ ბაგრატიდთა დინასტიის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. ამ ჯგუფში აგრეთვე შედიოდნენ კულტურის ცნობილი მოღვაწეები - ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, გიორგი ერისთავი. უნდა აღინიშნოს რუსეთის მოწინააღმდეგეთა

ნაწილისათვის მიზანმიმართული იყო პოლონეთის 1830 წლის ნოემბრის აჯანყება. თუმცა როგორც საქართველოს, ასევე პოლონეთის შემთხვევაში, ეროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვის სულისკვეთებამ რუსეთის უფლიდან ვერ გამოიხსნა ეს ქვეყნები.

სურდა რა საზოგადოების შემორიგება და პოტენციური აჯანყებების განეიტრალება, 1844 წელს რუსეთმა გადაწყვიტა რომ კავკასიის მეფისნაცვლისა და აქ განლაგებული რუსული ჯარის მთავარსარდლად დაენიშნა თავადი მიხაილ ვორონცოვი. სხვა მრავალ ამოცანას შორის ვორონცოვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ქართული არისტოკრატის შემორიგება. მას დიპლომატიურად უნდა მოეპოვებინა პრივილეგირებული წრეების წარმომადგენლების ნდობა ადმინისტრაციულ და სამხედრო თანამდებობებზე მათი დანიშვნის გზით. ვორონცოვს მათთვის გზა უნდა გაეხსნა სახელმწიფო მოსამსახურის კარიერისაკენ. ამ გზით ახალმა მეფისნაცვალმა შეძლო თანამშრომლობისაკენ შემოეტრიალებინა თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი რომლებიც სახელმწიფო სამსახურში თავიანთი სტატუსის ამალგების შესაძლებლობას ხედავდნენ.

რუსეთს საქართველოში სიმშვიდე სჭირდებოდა რათა კონცენტრირება მოეხდინა დაღესტანში გავრცელებულ ძალზე საშიშ სუნიტურ მიმდინარეობასთან - მიურიდიზმთან ბრძოლაზე. ეს მიმდინარეობა მუსლიმანური სამყაროს სახელით საღვთო ომს უცხადებდა ქრისტიანულ სამყაროს და შესაბამისად რუსეთსა და საქართველოსაც. ეს საფრთხე რუსული პროპაგანდის მიერ აქტიურად გამოიყენებოდა, იგი ღაღადებდა რომ ამ საფრთხის პირობებში ორივე ხალხი სოლიდარული უნდა ყოფილიყო და ერთმანეთთან ეთანამშრომლა. რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში მრავალრიცხოვან ფორტებს აშენებდა რომლებსაც უნდა შეეჩერებინათ ფანატიკოსი მთიელები. მან აგრეთვე შეძლო რომ ადგილობრივ მთიელთა პატარ-პატარა სამთავროების მმართველთათვის თავისი გავლენა მოეხვია თავს. სიტუაცია 1834 წელს შეიცვალა როდესაც მიურიდიზმის მიმდინარეობას სათავეში ჩაუდგა ფანატიკოსი შამილი. 1859 წლამდე მის გამგებლობაში იყო მოქცეული მუსლიმან მთიელთა მიწების უმეტესობა. რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდა შამილის თავდასხმების შეკავებას.

სიტუაციას დამატებით ართულებდა რუსეთის ჩართულობა 1853-1856 წლების ყირიმის ომში. იმ პერიოდში თურქეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ და ახალციხის მიდამოებთან გამართეს ბრძოლა. გენერალ ანდრონიკაშვილის ჯარებმა უკან გარეკეს მუსლიმანი თავდამსხმელები რისთვისაც რუსეთი უზომოდ მაღლობელი დარჩა. ყირიმის ომის დამთავრებამ რუსეთს საშუალება მისცა რომ შამილის საქმეც მოემთავრებინა. მთებში დიდი რაოდენობით ჯარების გადასროლამ შამილი აიძულა რომ 1859 წლის სექტემბერში კაპიტულირება მოეხდინა.

მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ისევ გრძელდებოდა შეტაკებები ჩერქეზებთან. მძიმე ბრძოლების და და ჩერქეზთა გადასახლების შედეგად რუსეთმა აქაც მოახერხა მთიელებზე კონტროლის დამყარება. ჩრდილოეთი კავკასიისა და კერძოდ დაღესტნის დამორჩილების შემდეგ საქართველო უკვე განიხილებოდა როგორც უბრალოდ რუსეთის იმპერიის დაპყრობილი ტერიტორია. ეს ნიშნავდა რუსიფიკაციის პოლიტიკის გამლიერებას. საქართველოში გამოემგზავრა უამრავი რუსი ჩინოვნიკი. რუსული ენა დაწესებულებებსა და სკოლებში სავალდებულო გახდა. დაიწყო ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლების გაგზავნა რუსეთის იმპერიის შორ გუბერნიებში იმ გათვლით რომ ისინი იქ რუსიფიკაციას დაექვემდებარებოდნენ. თუმცა ეს მეთოდები მხოლოდ მოჩვენებით ეფექტებს იძლეოდა. ქართველები თავიანთი კულტურისა და ენის ერთგულნი რჩებოდნენ. ვერავითარი მეთოდები ვერ ავიწყებდა მათ საკუთარ წარმოშობას და რუსებისაგან განსხვავებულობას.

1877 წელს რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი დაიწყო. თურქებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი სამხედრო ნაწილები გადაისროლეს. ისინი თვლიდნენ რომ ამ რეგიონზე დარტყმა მუსლიმანთა აჯანყებას გამოიწვევდა თუმცაღა ამ მანევრებმა თურქებს დიდი შედეგი ვერ მოუტანათ. ქართველები მტკიცედ დადგნენ რუსების მხარეს, მათ არავითარ შემთხვევაში არ სურდათ თურქეთის უღლის ქვეშ დაბრუნება. ქართველი მეომრების დახმარებით - რომლებმაც შესანიშნავად იცოდნენ ადგილობრივი ტერიტორია - რუსებმა ადვილად დაამარცხეს თურქები და შემდეგ მოლაპარაკებების გზით დამატებითი

ტერიტორიებიც შეიძინეს. 1878 წლის ზავის საფუძველზე რუსეთმა შემოიერთა აჭარა რომელიც ქართველი მუსლიმანებით იყო დასახლებული. ამ პერიოდიდან ბათუმში დაიწყო იმიგრანტების ჩასახლება რუსეთიდან და საქართველოს დანარჩენი ნაწილებიდან, აგრეთვე ჩასახლდა ბევრი სომეხი და ბერძენი. ბათუმი მალე იქცა დასავლეთ კავკასიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პორტად.

რუსეთი განაგრძობდა კავკასიის ძალზე არასტაბილური რეგიონის რუსიფიკაციის მცდელობებს. იგი აგრეთვე ცდილობდა ქართველი ხალხის ერთიანობის დარღვევას. რუსები კონცენტრირებას ახდენდნენ ქართველი ხალხის ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებზე და იმედოვნებდნენ რომ ამ პოლიტიკით შეძლებდნენ ქართველების თვითმყოფადობის გაქრობას. სამეგრელოში დაიწყო პროპაგანდა რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ენის მონათესავე ენაზე მოლაპარაკე მეგრელების ქართველებისაგან განცალკევებას. მეგრელებს შთააგონებდნენ რომ ისინი ცალკე ეროვნებას წარმოადგენენ, მათთვის ანბანიც კი შექმნეს რომელიც რუსულ ანბანს ეფუძნებოდა. ამ ეგზოტიკურ ენაზე წიგნებისა და ჟურნალების გამოცემაც კი დაიწყეს თუმცა ამ ყველაფერმა ვერავითარი შედეგი ვერ მოიტანა. უფრო მეტიც - შედეგი მოსალოდნელის საპირისპირო აღმოჩნდა. ამან ქართველებში მღელვარება გამოიწვია, ისინიც კი გამოხატავდნენ პროტესტს ვინც აქამდე რუსეთისადმი შემრიგებლური პოზიციით გამოირჩეოდა. ქართველ ინტელიგენციაში ახალი შეხედულებები და სტრატეგიები ყალიბდებოდა რომლებიც თანდათან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს იძენდნენ.

XIX საუკუნის ბოლოს ქართული ინტელიგენციის რიგებში შესამჩნევი გადაჯგუფებები მოხდა. მიმდინარეობდა გაცხარებული იდეოლოგიური პაექრობა. განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა ორი, ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი ჯგუფი. სახელდობრ, ეს იყო ეგრეთ წოდებული პირველი დასი რომელშიც წამყვან როლს ასრულებდნენ ლიტერატორები და საზოგადო მოღვაწეები - ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი და მეორე დასი რომელსაც მეთაურობდნენ ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი. პირველი ჯგუფის შეხედულებები შედარებით კონსერვატიული იყო, ისინი საქართველოს განვითარებას სოფლის მეურნეობის

განვითარებაში ხედავდნენ. ბევრად პროგრესული იყო მეორე ჯგუფი რომელიც აქცენტს ქვეყანაში მრეწველობის განვითარებაზე აკეთებდა და მიუთითებდა ძველი, ფეოდალური რელიქტების სწრაფი აღმოფხვრის აუცილებლობაზე.

პირველი ორი ჯგუფის პარალელურად არსებობდა მესამე ჯგუფი - მარქსისტული ტიპის გაერთიანება რომელსაც მესამე დასი ეწოდებოდა. ამ ჯგუფის ზომიერ ფრთას წარმოადგენდა ნოე ჟორდანია რომელმაც მოგვიანებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში. მესამე დასის რევოლუციური ფრთის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ი. ბ. სტალინი.

1904 წელს პეტერბურგის მოვლენების შემდეგ საქართველო გაფიცვების ტალღამ მოიცვა. გაფიცვების შედეგად შეიქმნა კომიტეტები რომელთა მიზანიც იყო ხელისუფლების გადაცემა ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის. რადგანაც დემონსტრაციები არ წყდებოდა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებს ედებოდა პეტერბურგმა კავკასიის მეფისნაცვლად ვორონცოვ-დაშკოვი დანიშნა. ახალი მეფისნაცვალი რეფორმების გატარებას შეუდგა, ის იმედოვნებდა რომ საზოგადოებას ამით დაამშვიდებდა. როდესაც ხმამაღლა დაპირებებმა მოსალოდნელი შედეგი არ გამოიღო, რუსეთის ხელისუფლებამ ძალის გამოყენება გადაწყვიტა. 1906 წელს სურამის უღელტეხილზე რამდენიმე დღიანი ცხარე ბრძოლა გაიმართა დასავლეთ საქართველოში მიმავალი რუსული რეგულარული ჯარის ნაწილებსა და ადგილობრივ რევოლუციურ ჯგუფებს შორის. აჯანყებულებმა ვერ გაუძლეს პროფესიული ჯარის მიწოლას და უკან დაიხიეს. ამ მარცხის შემდეგ დაიწყო მასობრივი სადამსჯელო აქცია რომელსაც მოჰყვა სასიკვდილო განაჩენები და ციმბირში გადასახლებები. თუმცადა პეტერბურგის ასეთმა სასტიკმა რეაქციამ ქვეყანაში ვერ შეაჩერა რევოლუციური მოძრაობა. შეიძლება ითქვას რომ ამ პერიოდში ორი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა. პირველი მიზნად ისახავდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ, მეორე მიმდინარეობა კი ინტერნაციონალისტური პრინციპებისათვის ბრძოლის აუცილებლობის ლოზუნგებით გამოდიოდა. შემდგომ წლებს უნდა ეჩვენებინა თუ ამ მოძრაობათაგან რომელი მოიპოვებდა უპირატესობას და შეძლებდა საბოლოო გამარჯვებას.

I მსოფლიო ომის დაწყებამ ყველა გააოგნა თუმცა ამავდროულად გარკვეული იმედებიც ჩაუსახა. საქართველოსთვის ეს ომი პირველ რიგში რუსულ-თურქულ ფრონტში ჩართვას ნიშნავდა. 1914 წლის ბოლოს საქართველო ოფიციალურად იქცა იმდროინდელი მსოფლიოს უდიდესი იმპერიების ბრძოლის ველად. ქართველი ხალხი მეზობლი მხარეებისათვის ერთგვარი ვაჭრობის საგნად იქცა. ორივე მხარეს უნდოდა რომ ამ მამაცი ერის სიმპათიები მოეპოვებინა. გერმანიის ინიციატივით შეიქმნა საქართველოს განთავისუფლების ეროვნული კომიტეტი. თურქულ არმიაში ჩამოყალიბდა ქართული ლეგიონი. თუმცაღა ამ ქმედებებმა მოსალოდნელი შედეგები ვერ მოიტანა, ამ ყველაფერს უფრო პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა.

1.2 საქართველო ცარიზმის დამხობის შემდეგ

თბილისში დიდი რეაქცია გამოიწვია ცარიზმის დამხობამ. საქართველოს დედაქალაქში შეიქმნა ამიერკავკასიის სპეციალური კომიტეტი რომელმაც თანამდებობიდან გადააყენა რუსი მეფისნაცვალი და საკუთარი თავი კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოდ გამოაცხადა. იმის გამო რომ ამ სტრუქტურაში წამყვანი როლი ქართველებს ეკუთვნოდათ ძალზე სწრაფად დაიწყო მომწიფება უკმაყოფილებამ სომხებსა და აზერბაიჯანელებში. მიუხედავად ამ პრობლემებისა კომიტეტმა დაიწყო ქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურების აღდგენა. 1917 წლის მარტში მცხეთაში შედგა ქართული სამღვდელოების ყრილობა რომელზეც გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. კათოლიკოსად არჩეულ იქნა ეპისკოპოსი კირიონ სამაგლიშვილი. ეს ძალზე გაბედული გადაწყვეტილება იყო რომელიც საზოგადოებას რწმენას უნერგავდა რომ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა ეკლესიაზე დაყრდნობით რეალობად იქცა და ამ მიზნისათვის ბრძოლა ღირდა.

რუსულ ჯარში თანდათან ქაოსი გაბატონდა. საქმე სხვადასხვა ნაწილებს შორის შეტაკებებამდეც კი მიდიოდა. ერთნი ბოლშევიკებისადმი გამოხატავდნენ სიმპათიებს, მეორენი კი დროებით მთავრობას უჭერდნენ მხარს. ამ ყველაფერს

იყენებდა თურქეთი რომელიც მთელი კავკასიის დასაპყრობად ემზადებოდა. აქედან გამომდინარე საჭირო იყო სიჩქარე რათა მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი რაიმე საგარეო ინტერვენციის რისკი რომელსაც შეეძლო სამუდამოდ გადაესვა ხაზი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ოცნებისათვის.

ქართველი მენშევიკებისა და მათი ლიდერის ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით 1917 წლის შუახანებში მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილობა რომელზეც არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭო. ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება რომლის საფუძველზეც უახლოეს ხანებში რუსეთის სახელმწიფოს უნდა გამოჰყოფოდა ამიერკავკასია. გადაწყდა ერთიანი ფედერაციის შექმნა სომხეთისა და აზერბაიჯანის ანტიბოლშევიკურად განწყობილ ელემენტებთან ერთად. ფედერაციაში ამ ორ ხალხს გაცილებით მეტი უფლებამოსილებები მიეცემოდათ ვიდრე წინათ არსებული ამიერკავკასიის კომიტეტის შემთხვევაში ჰქონდათ.

1918 წლის თებერვალში თბილისში შეიკრიბა ამიერკავკასიის ეგრეთ წოდებული სეიმი რომელშიც მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ ქართველი მენშევიკები და სომეხი და აზერბაიჯანელი ნაციონალისტები (მუსავატელები და დაშნაკები). პარლამენტის თავმჯდომარე გახდა ნიკოლოზ ჩხეიძე. ძალზე მალე თავი იჩინა უთანხმოებებმა. იმ პირობებში როდესაც ამიერკავკასიას თურქეთი ემუქრებოდა აზერბაიჯანელებმა პირდაპირ განაცხადეს რომ ისინი არ აპირებდნენ თავიანთი ერთმორწმუნე ხალხის - ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლას რეგიონის დასაცავად. სომხებსაც თავიანთი განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ სეიმის სტრუქტურისა და მისი პოლიტიკის მიმართ.

ერთი თვის შემდეგ შედგა მოლაპარაკება თურქეთთან მაგრამ ოსმალებს იმდენად კოლოსალური ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ რომ ამიერკავკასიის ხელმძღვანელებმა თავიანთი წარმომადგენლები უკან გამოიწვიეს. ეს თურქეთის მიერ საომარი მოქმედებების დაწყების ტოლფასი იყო.

კავკასიურ სეიმს დასაკარგი უკვე აღარაფერი ჰქონდა და მიუხედავად დიდი იდეოლოგიური განსხვავებებისა, საკუთარი ძალების გასაერთიანებლად 1918 წლის აპრილში მან ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა

გამოაცხადა. მის შემადგენლობაში სამი ან ოთხი სუბიექტი უნდა ყოფილიყო - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და შესაძლოა ჩრდილოეთი კავკასიაც. თუმცა ამ რესპუბლიკამ დროის გამოცდას ვერ გაუძლო. ცალკეული ტერიტორიების კუთვნილების შესახებ წარმოშობილმა უთანხმოებებმა განაპირობა ის რომ ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი ქვეყნების გზები გაიყარა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა.

ახალ სახელმწიფოს სასწრაფოდ უნდა ეპოვნა მოკავშირე რათა თურქების აგრესიას გამკლავებოდა. ასეთი შანსი ჩანდა გერმანიასთან კავშირში რომლის სამხედრო ნაწილებიც კავკასიისკენ მოიწვევდნენ. იმდროინდელ ვითარებაში ეს ერთადერთ გონივრულ გადაწყვეტილებად ჩანდა. ბერლინმა მიაღწია იმას რომ საქართველოსა და თურქეთს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო. ოსმალებმა მიიღეს აჭარა ქალაქ ბათუმთან ერთად, მესხეთი და ჯავახეთის დიდი ნაწილი ახალქალაქის ჩათვლით. მიუხედავად დადებული ხელშეკრულებისა თურქეთი მაინც გეგმავდა შემდგომ ექსპანსიას. ქართულმა დიპლომატიამ მიაღწია იმას რომ საქართველოს ტერიტორიაზე გერმანული ჯარები შემოვიდნენ, ამას უნდა მოეთოკა თურქეთის მისწრაფებები. თუმცა სიტუაცია პარადოქსულად გართულდა. ერთის მხრივ სახელმწიფომ შეძლო რომ შეეჩერებინა სამხრეთიდან თურქების ხოლო ჩრდილოეთიდან ბოლშევიკების შემოტევები მაგრამ მეორე მხრივ იძულებული იყო გერმანიის პოლიტიკას დამორჩილებოდა. ქვეყნის იმჟამინდელი პრემიერი ნოე ჟორდანიას იძულებული იყო თვალი გაესწორებინა როგორც გარე ასევე შიდა გამოწვევებისათვის.

1918 წლის ნოემბერში ამიერკავკასიაში, ძალთა ბალანსში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, ცენტრალურმა სახელმწიფოებმა კაპიტულირება მოახდინეს და გერმანელებმა კავკასიიდან ევაკუაცია დაიწყეს. შესაბამისად თურქებმაც დაიწყეს მესხეთისა და ჯავახეთის ტერიტორიების დატოვება. ბათუმი ბრიტანელთა კონტროლქვეშ გადავიდა. დადგა ჟამი როდესაც ანტანტასთან მოლაპარაკება გახდა გარდაუვალი. როგორც ქართველები, ასევე სომხები და აზერბაიჯანელები ძალისხმევას არ იშურებდნენ რათა გამარჯვებულთა სიმპათია

დაემსახურებინათ და თავიანთი ქვეყნების საზღვრების საკითხი რაც შეიძლება მომგებიანად გადაეწყვიტათ მოახლოებულ საზავო მოლაპარაკებებზე რომლებსაც საბოლოოდ უნდა დაესრულებინათ ომი.

1918 წლის მიწურულს მოულოდნელად საქართველო-სომხეთის ომი ატყდა. ერევანი ეგრეთ წოდებული „დიდი სომხეთის“ აღდგენის იდეას ელტვოდა და ამ საქმეში დასავლეთის სახელმწიფოების კეთილგანწყობის იმედი ჰქონდა. ეს იდეა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. დღეს ძალზე ძნელია ობიექტურად შეაფასო თუ ვინ გახდა ამ სრულიად უაზრო კონფლიქტის ინიციატორი. არავინ იცის თუ როგორ განვითარდებოდა მორიგი სისხლიანი კონფლიქტი სამხრეთ კავკასიაში თუ არა ინგლისისა და საფრანგეთის ინტერვენცია. მათი ჩარევის წყალობით მოხდა ცეცხლის შეწყვეტა.

უკვე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში 1919 წელიც არ აღმოჩნდა გამონაკლისი ჯერ კიდევ დაუდგენელი ოფიციალური საზღვრებისათვის ბრძოლის თვალსაზრისით. ამ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩნდნენ გენერალ დენიკინის ჯარები. გენერალი არ აპირებდა საქართველოს სუვერენიტეტისათვის ანგარიშის გაწევას. ამ სიტუაციაში დამშვიდების საშუალებას არ იძლეოდა ინგლისისა და საფრანგეთის გაურკვეველი პოზიცია. ამ ქვეყნებს სურდათ გაეკონტროლებინათ ბათუმი როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის შავიზღვისპირა პორტი მაგრამ ეს საქართველოს უსაფრთხოების გარანტიებს არ აძლევდა. დაიწყო გაუთავებელი ინტრიგებისა და დიპლომატიური ბრძოლის პერიოდი რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად.

ამავდროულად დიდი ბრიტანეთი თავის საჯარისო კონტინგენტს ინარჩუნებდა ბაქოშიც. ეს მისთვის დიდ ტვირთს წარმოადგენდა გამომდინარე შიდა დამაბულობის ზრდიდან და ბოლშევიკების პოზიციების გამყარებიდან. რევოლუციონერების მიერ აზერბაიჯანში ხელისუფლების ჩაგდება მთელი რეგიონის ბედი გადაწყვიტა. ინგლისელებმა დატოვეს ბაქო, შემდეგ კი ბათუმი რომელიც ოფიციალურად გადაეცა საქართველოს. სახელმწიფოს ეს წარმატება მხოლოდ მოჩვენებითი იყო. აზერბაიჯანში მოპოვებული წარმატების შემდეგ ბოლშევიკები თავიანთი ექსპანსიის შეჩერებას არ აპირებდნენ, მით უმეტეს რომ

ბოლშევიკებს შორის გამოჩნდნენ ეროვნებით ქართველი, ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურები როგორებიც იყვნენ სტალინი, ორჯონიკიძე, მახარაძე. მენშევიკების სიტუაცია საქართველოში კიდევ უფრო გააუარესა იმან რომ რევოლუციონერებმა მეზობელ სომხეთშიც გაიმარჯვეს. საქართველო კავკასიაში მენშევიკურ ოაზისად დარჩა. მხოლოდ და მხოლოდ დროის საკითხი იყო ის თუ როდის მიმართავდა რუსეთი უფრო აგრესიულ მოქმედებებს. უკვე 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური აჯანყება დაიწყო საქართველო-სომხეთის საზღვართან ახლოს. აჯანყება სწრაფად მოედო საქართველოს სხვა რეგიონებსაც. აჯანყებულებმა საბჭოთა მთავრობას მიმართეს დახმარებისათვის რომელმაც ცოტა ხანში შეტევა დაიწყო. 1921 წლის 25 თებერვალს დაკავებულ იქნა თბილისი. ეს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას ნიშნავდა, უკვე მერამდენედ ამ ქვეყნის გრძელი და ბოხოქარი ისტორიის განმავლობაში. ბათუმში მენშევიკური ხელისუფლება მარტის შუა რიცხვებამდე შენარჩუნდა მაგრამ ცოტა ხანში მენშევიკები იძულებულნი გახდნენ იქაურობაც დაეტოვებინათ და ემიგრაციაში წასულიყვნენ.

რუსეთის ხელისუფლება კავკასიის დაპყრობის შემდეგ ამ რეგიონის ინსტიტუციონალური მოწესრიგებისაკენ ისწრაფვოდა. სამი რესპუბლიკის ინტეგრაციის მიზნით დაიდო სარკინიგზო, ეკონომიკური და ბოლოს კი პოლიტიკური ხელშეკრულებები. 1922 წლის მარტში მოხდა სამი რესპუბლიკის გაერთიანება ფედერაციის ჩარჩოებში რომელსაც ეწოდა ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. იმავე წლის დეკემბერში ეს რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ოფიციალურად შევიდა. ფედერაციამ 1936 წლამდე იარსება რის შემდეგაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ცალკე სუბიექტად შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

სტალინური ტერორით შედუღებულმა კომუნისტურმა რეჟიმმა საბჭოთა საქართველოში პოლიტიკური ოპოზიციის შექმნა არ დაუშვა. ქართველი ხალხი იძულებული იყო დამოუკიდებლობის აღდგენა მრავალი ათწლეულით დაევიწყებინა. ასეთი შესაძლებლობა საქართველოს 1939 წელსაც არ მიეცა როცა მსოფლიო მასშტაბის კონფლიქტი დაიწყო. მას შემდეგ რაც 1941 წლის 22 ივნისს

გერმანია-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი დაიწყო საბჭოეთის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. მიუხედავად იმისა რომ საქართველო საომარი მოქმედებების ძირითადი ზონის მიღმა მდებარეობდა მან მაინც არსებითად იწვნია გერმანული აგრესიის შედეგები. გერმანელთა ერთ-ერთი მიზანი სხვა მრავალთა შორის იყო ბაქოს ნავთობის საბადოებისა და საქართველოს (ჭიათურის) მანგანუმის საბადოების ხელში ჩაგდება რათა საომარი მიზნებისათვის ნედლეული ჰქონოდა.

საქართველო უშუალო საფრთხის წინაშე 1942 წლის შუახანებში აღმოჩნდა როდესაც ჰიტლერელთა ჯარებმა როსტოვი აიღეს და კავკასიაზე შეტევა განიზრახეს. კავკასიისათვის დაწყებულმა ბრძოლამ (1942 წლის 25 ივლისი-31 დეკემბერი) კომუნისტური ხელისუფლება აიძულა რომ საქართველოში საომარი მდგომარეობა გამოეცხადებინა და მისი ეკონომიკა დრაკონული მეთოდებით გადაეყვანა სამხედრო რელსებზე ფრონტის საჭიროებებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ქართველების დამოკიდებულებაზე ჰიტლერელ აგრესორთა მიმართ. კომუნისტურ ხელისუფლებას არ უნდოდა რომ ჩრდილოეთი კავკასიის სცენარი განმეორებულიყო სადაც ადგილობრივი ხალხები გერმანელებს როგორც განმათავისუფლებლებს ისე ხვდებოდნენ. გაიზარდა კონტროლი ქართველი მეომრების საბრძოლო სულსა და განწყობაზე. თუმცაღა გერმანელთა გეგმები კავკასიის დაპყრობის თაობაზე ვერ განხორციელდა, ვერმახტის შეტევა საქართველოს სამხედრო გზაზე იქნა შეჩერებული. საბოლოო ჯამში II მსოფლიო ომმა საქართველოს სიტუაცია დიდად ვერ შეცვალა.

ომის შემდგომ საბჭოთა კავშირში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი თანდათანობით გაღრმავდა. ქართულ საზოგადოებას სამოციანი წლების შუახანებიდან სულ უფრო და უფრო აღიზიანებდა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და განსაკუთრებით კი ყოვლისმომცველი კორუფციის ფაქტები. დანაშაულობათა მასშტაბებმა პარტიული ბიუროკრატებიც კი დააფიქრა რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ სახელმწიფოს ფუნქციონირების ასეთ მოდელს. სიტუაციის გაჯანსაღების გზად ისახებოდა პერსონალური ცვლილებები

ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში. 1962 წელს, გადატრიალების შედეგად ხელისუფლება ლეონიდ ბრეჟნევმა მოიპოვა. საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის I მდივნის პოსტზე საკუთარი პოზიციების განმტკიცების შემდეგ მან მოკავშირე რესპუბლიკებში მმართველი გუნდების შეცვლა დაიწყო. ამიერკავკასიაში უმაღლესი პარტიული თანამდებობები დაიკავეს უშიშროების სტრუქტურებიდან გამოსულმა ადამიანებმა. 1972 წლიდან საქართველოს სსრ-ს ხელმძღვანელობდა ედუარდ შევარდნაძე. მან კორუფციით კომპრომეტირებული ვასილ მჟავანაძე შეცვალა. ამ ნიჭიერი პოლიტიკოსის ამოცანა იყო პოლიტიკური სიტუაციის მოწესრიგება დაუმორჩილებელ რესპუბლიკაში. ეს რთული ამოცანა იყო მით უმეტეს რომ თანდათან ოპოზიციურმა მოძრაობამაც დაიწყო გააქტიურება. 1976 წელს მერაბ კოსტავამ საქართველოში დააფუძნა საბჭოთა კავშირში პირველი ჰელსინკის ჯგუფი. მის გარდა ჯგუფში შედიოდნენ ზვიად გამსახურდია, ბეგო ბეჟუაშვილი, ვიქტორ რცხილაძე და სხვები. ოპოზიციონერები ცდილობდნენ ღიად ემუშავათ და ღიადვე გამოეცათ ჟურნალები „ოქროს საწმისი“, „თეოლოგიური მიმოხილვა“ და სხვა. ისინი აზრთა გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის დისიდენტურ წრეებთან. ქართველ დისიდენტთა პროგრამა ემყარებოდა საბჭოთა ხელისუფლების ანტიეროვნული ქმედებებისათვის ნიღაბის ჩამოხსნას, საქართველოს ინტერესების, ქართული ენისა და გაქრობის პირას მყოფი ისტორიული ძეგლების დაცვას. ამ პროგრამამ ქართველი საზოგადოების სახით ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა. საქართველო წარმოადგენდა ქვეყანას რომელსაც ძლიერი ინტელიგენცია ჰყავდა და კავკასიაში ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოებრივი ტრადიცია ჰქონდა. არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგო გალაშქრებები საზოგადოებაში სულ უფრო მეტ მხარდაჭერას მოიპოვებდა. პროტესტის საფუძველი არა მარტო ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი იყო არამედ პირველ რიგში ეროვნული კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებისაკენ სწრაფვა და აფხაზური და ოსური სეპარატიზმისაგან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საკითხი.

საკავშირო ხელისუფლებამ რესპუბლიკაში შიდა სიტუაცია განსაკუთრებით 1977 წელს გაამწვავა როდესაც ახალი კონსტიტუცია მიიღო. ეს კონსტიტუცია ფორმალურ სანქციონირებას უკეთებდა აქამდე რეალურად არსებულ სიტუაციას: ის აკანონებდა პარტიის წამყვან როლს და ზღუდავდა მრავალ სამოქალაქო უფლებას. გარდა ამისა ახალი კონსტიტუცია ძირს უთხრიდა ქართული ენის სტატუსს რომელსაც აქამდე რესპუბლიკაში ფორმალურად მაინც ოფიციალური ენის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. ამან ქართველების მწვავე პროტესტი გამოიწვია, ისინი განსაკუთრებით მტკიცედ ენის დასაცავად დადგნენ. 1978 წლის 12 აპრილს თბილისში დაიწყო სტუდენტებისა და ინტელიგენციის დემონსტრაციები რომლებიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა. აკადემიური წრეების წარმომადგენელთა მარშს დედაქალაქის მაცხოვრებლებიც შეუერთდნენ, დემონსტრაცია სამთავრობო რეზიდენციისაკენ დაიძრა. გაჩნდა ანტისაბჭოთა ამბოხის საშიშროება. პროტესტის მონაწილეთა და ცენტრალური ხელისუფლების გასაკვირად კონფლიქტი უსისხლოდ ჩააქრო ედუარდ შევარდნაძემ რომელიც ერთადერთი რაციონალური პოლიტიკოსი გამოდგა იმ სიტუაციაში. „თეთრმა მელამ“ (ასეთი მეტსახელი შეერქვა იმ დროიდან საქართველოს კომპარტიის I მდივანს) კომუნისტური სისტემისათვის უპრეცედენტო საქციელი ჩაიდინა - მან მიიღო მომიტინგეთა დელეგაცია და მოლაპარაკებების განსაკუთრებული ნიჭის წყალობით სამართალდამცავთა ჩარევის გარეშე შეძლო მათი დამშვიდება, მოსკოვი კი დაარწმუნა რომ უარი ეთქვა თავის საბედისწერო გადაწყვეტილებაზე. შევარდნაძე შემთხვევით არ მოხვედრილა საბჭოთა იმპერიის უმაღლეს მმართველ ეშელონში.

კომუნიზმის საწინააღმდეგო მოძრაობის იმპულსად იქცა ოთხმოციანი წლების დასაწყისში, პოლონეთში ჩამოყალიბებული ძლიერი, პროფკავშირული მოძრაობა „სოლიდარობა“. ანტისაბჭოთა ინციდენტები საქართველოში რეგულარულ მოვლენად იქცა. ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო ქართული „სამიზნატის“ გამოცემებმა რომლებშიც ბრწყინავდა ზვიად გამსახურდიას ესეები რელიგიური თავისუფლების დაცვის თემაზე. 1981 წელს იატაკქვეშეთში აღდგენილ იქნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია რისი ინიციატორებიც იყვნენ

გიორგი ჭანტურია, მამუკა გიორგაძე და ირაკლი ქადაგიშვილი. ქართული დისიდენტური მოძრაობა მრავალრიცხოვანი არ იყო მაგრამ თავისი გააზრებული საქმიანობით იგი წარმატებით ახერხებდა გაელვიძებინა თანამემამულეთა გრძნობები და შეერყია რეჟიმის პრესტიჟი.

საბოლოოდ ორივე მხარისათვის - კომუნისტური ხელისუფლებისთვის და იმპერიაში მცხოვრები ხალხებისათვის (მათ შორის ქართველებისათვის) - ჩიხიდან გამოსავლად იქცა თაობათა ცვლა სახელმწიფოს პარტიულ ელიტაში. ამ პროცესს სათავეში ჩაუდგა რეფორმატორი მიხაილ გორბაჩოვი. საწყის ეტაპზე განათლებული რეფორმატორი ეყრდნობოდა უახლოესი თანამოაზრეებისა და მოკავშირეების გუნდს. ძირითადად ეს იყვნენ მისი თაობის ადამიანები რომელთა ფორმირებაც ხრუმჩოვისეული „დათობისა“ და ბრეჟნევისეული „უძრაობის“ პერიოდში მოხდა. ამ ჯგუფში ერთ-ერთ საკვანძო ფიგურას წარმოადგენდა ედუარდ შევარდნაძე რომელმაც სსრკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში დაიკავა ადგილი და ამავე დროს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პრესტიჟული თანამდებობაც მიიღო.

თუმცაღა გორბაჩოვის მიერ წამოწყებულმა პროცესებმა მოსალოდნელი შედეგები ვერ მოიტანეს. პირიქით, დისიდენტური მოძრაობები უფრო ძლიერდებოდა. საქართველოში ეროვნული აღორძინების ლოზუნგების ხმამაღლა გაჟღერებისათვის შესანიშნავ შესაძლებლობად იქცა 1987 წელს ჩატარებული ღონისძიებები რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი ქართველი მწერლისა და ეროვნული მოღვაწის - ილია ჭავჭავაძის იუბილეს მიეძღვნა. ოპოზიციურმა წრეებმა ამ მოვლენების ფონზე კულტურული ორგანიზაციის ფორმით ჩამოაყალიბეს „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“. თავიდან ამ ორგანიზაციაში 40 წევრი შედიოდა რომლებმაც მოგვიანებით, 1989 წლის მარტში დააფუძნეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერთ-ერთი პირველი პარტია - საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია. ამ პერიოდში ანალოგიურად ყალიბდება სხვა პოლიტიკური პარტიებიც. 1988 წლის შემოდგომაზე საქართველოს დედაქალაქი - თბილისი ხდება მასობრივი ოპოზიციური გამოსვლების არენა, მიმდინარეობს საპროტესტო შიმშილობა და

მჯდომარე დემონსტრაციები. მოვლენათა ცენტრი ხდება თბილისის უნივერსიტეტის მთავარი შენობა - ეგრეთ წოდებული პირველი კორპუსი ილია ჭავჭავაძის გამზირზე. ხელისუფლებამ გადაწყვიტა სამართალდამცავთა ძალებისათვის მიემართა რომლებსაც მხარს სადესანტო ჯარები უჭერდნენ. ამ ნაწილებმა დემონსტრაციის დასაშლელად ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს თუმცა სროლები მხოლოდ ჰაერში განხორციელდა და არავინ დაშავებულა. მედიატორის როლი ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოსკოვმა შევარდნაძეს დააკისრა რომელსაც „დე ფაქტო“ არასოდეს დავიწყებია თავისი ქართველობა. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკოსის შეხვედრას უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორებთან პირველად საქართველოს ისტორიაში გადასცემდა საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებისათვის მიცემულ იქნა პირობა რომ განხილულ იქნებოდა ყველა მოთხოვნა რომლებიც ძირითადად მეცნიერების სფეროსა და ქართული ენის უფლებებს შეეხებოდა.

ცოტა მოგვიანებით გამსახურდიამ და კოსტავამ ჰელსინკის ჯგუფის საქმიანობაზე მოახდინეს კონცენტრირება რომელსაც ამჯერად უკვე ჰელსინკის კავშირი ეწოდებოდა. მათ გვერდით გამოჩნდა ახალგაზრდა, ენთუზიაზმით სავსე პოლიტიკოსების ჯგუფი - გია ჭანტურიას მეუღლე ირინა სარიშვილი, თამრიკო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი და ზურაბ ჭავჭავაძე. დაპყრობილმა ქართველმა ხალხმა თავისუფლების სიო იგრძნო, მით უმეტეს რომ მოხდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლეგალიზება რომელიც ღიად ისწრაფვოდა საქართველოს სრული დამოუკიდებლობისაკენ. საქართველოს სუვერენიტეტის მოპოვების გზაზე გარდამტეხ მომენტად იქცა 1989 წლის აპრილის რევოლუცია. დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ მიმართული დემონსტრაციების საბაზი გახდა აფხაზეთის მოვლენები. მოსკოვის ცენტრალური მთავრობის მიერ წაქეზებულმა აფხაზებმა 1989 წლის მარტში მოითხოვეს საქართველოდან გამოყოფა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით გაერთიანება რომელიც მათ 1931 წელს დაკარგეს. უკვე 1989 წლის 4 აპრილს, აფხაზთა ქმედების გასაპროტესტებლად რამდენიმე ასეული ქართველი სტუდენტისაგან შემდგარმა ჯგუფმა შიმშილობა დაიწყო. მიტინგების ადგილად შეირჩა რესპუბლიკური

მთავრობის რეზიდენციის წინ მდებარე მოედანი. მოედნის სტრატეგიული მდებარეობა (იგი ქალაქის მთავარ ქუჩაზე - რუსთაველის პროსპექტზეა განლაგებული) ერთმნიშვნელოვნად იძლეოდა მიტინგის დამსწრეთა დიდი რაოდენობის გარანტიას. აქ საუბარია არა მხოლოდ პროცესებში ჩართულ პირებზე არამედ შემთხვევით გამვლელებზეც. მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთა რაოდენობამ ელვისებური სისწრაფით მიაღწია ათი ათასს. მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია გახდა. მისმა მგზნებარე გამოსვლებმა მიტინგის რადიკალიზაცია და შესაბამისად მისი პროგრამული უნიფიკაცია გამოიწვია. საქართველოს უმწეო პარტიულმა ხელმძღვანელობამ თანხმობა გამოხატა თბილისში, მთავრობის სასახლის წინ შეკრებილთა წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე.

კონფრონტაცია ტრაგედიით დამთავრდა. ოფიციალური მონაცემების მიხედვით (რომლებიც მიუხედავად ახლადშემოდებული საჯაროობისა, საბჭოთა ტრადიციის მიხედვით როგორც წესი რეალურთან შედარებით დაბალი იყო) მოკლულ იქნა 19 ადამიანი, რამდენიმე ასეული დაშავდა. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარმა ტრაგიკულმა მოვლენებმა მთელი ქვეყანა შეძრეს და დიდი რეზონანსი გამოიწვიეს როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე მთელს მსოფლიოში. ამ მოვლენებს გარკვეულწილად რევოლუცია შეიძლება ვუწოდოთ რადგანაც ფაქტიურად მათ დიდი გავლენა მოახდინეს კომუნისტური მმართველობის დამთავრებაზე საქართველოში. რესპუბლიკურმა და განსაკუთრებით კი საკავშირო მმართველმა წრეებმა დაკარგეს თავიანთი მორალური მანდატი და საზოგადოებრივი ნდობა. ყველა მშვენივრად ხვდებოდა რომ მომხდარი მოვლენების უკან მოსკოვი იდგა.

1989 წლიდან ჩამოყალიბება დაიწყო საბჭოთა კავშირის არარუს ხალხთა განთავისუფლების ერთიანმა ფრონტმა. საქართველოში ხვდებოდნენ რომ თავისუფლებისათვის ბრძოლაში მეტი შანსი ექნებოდათ თუკი თავიანთ ძალისხმევას გააერთიანებდნენ ლიტვასთან, ლატვიასთან, ესტონეთთან, სომხეთთან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან. 1989 წელს პოლონეთში მომხდარი უსისხლო რევოლუციით დაიწყო შუა და აღმოსავლეთი ევროპის ხალხების

განთავისუფლების პროცესი კომუნისტური ულლიდან. ქართველ ოპოზიციონერებს ამან რწმენა ჩაუნერგა რომ ეს საქართველოშიც შესაძლებელი იყო.

გარდატეხა მოხდა 1989 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე სადაც გადაწყდა რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა. მიღებულ იქნა კანონები რომლებიც ფორმალურად აძლიერებდნენ საქართველოს უფლებებსა და შესაძლებლობებს: კანონი საქართველოში საკუთრების ფორმების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესახებ და კანონი საკავშირო მთავრობის მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილებების უკუგდების შესახებ რომლებიც საქართველოს ეროვნული ინტერესების საზიანოდ იქნებოდა მიმართული. საქართველოს ხელისუფლების მიერ სუვერენიტეტისაკენ გადადგმული ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ნაბიჯი იყო რესპუბლიკის უფლების აღიარება საბჭოთა ფედერაციიდან დაუბრკოლებელი გამოსვლის შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებლობის მოპოვების პროგრამის მორიგ ნაბიჯს - საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ თანხმობა განაცხადა „თავისუფალი“ არჩევნების ჩატარების შესახებ.

ლეგალურმა და ჯერ კიდევ ნახევრად ლეგალურმა პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა გამალებული მზადება დაიწყეს არჩევნებისათვის. პოლიტიკურად ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სუბიექტად ჩამოყალიბდა პოლონური გამოცდილების საფუძველზე შექმნილი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“ რომლის სათავეშიც წამყვანი ოპოზიციონერი ზვიად გამსახურდია იდგა.

სამოცდაათწლიანი კომუნისტური დიქტატურის შემდეგ, 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა პირველი, თავისუფალი და დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები. არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ზემოთ უკვე ნახსენებმა დემოკრატიული ძალების კოალიციამ - „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“. ამ კოალიციამ მანდატების 63 პროცენტი მოიპოვა და დამაჯერებლად გაიმარჯვა მაჟორიტარულ ოლქებში. წარმატება უზარმაზარი იყო თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს რომ გამსახურდიას კოალიცია სულ რამდენიმე

თვის შექმნილი იყო და მმართველი პარტიისაგან განსხვავებით მასმედიის საშუალებებზე წვდომა არ ჰქონდა. გამსახურდია დეპუტატთა უმრავლესობამ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩია. ახლა ის იყო ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი ქვეყანაში.

ბალტიისპირეთის ქვეყნების მსგავსად საქართველომ 1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმი ჩაატარა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის თაობაზე. ხელისუფლებამ ბიულეტენებში ერთი კითხვა შეიტანა რომელიც ეხებოდა 1918 წლის 26 მაისის სტატუსის დაბრუნებას ანუ მდგომარეობის როდესაც მიღებულ იქნა „დამოუკიდებლობის აქტი“. სუვერენიტეტის სრულად აღდგენას ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა 99 პროცენტმა. სარეფერენდუმო ურნებთან მივიდა ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა 95 პროცენტი! მრავლისმეტყველი იყო ოსებისა და აფხაზების მიერ რეფერენდუმისათვის თავის არიდების ფაქტი. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პარლამენტმა შეასრულა ხალხის ნება და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. საქართველო შევიდა იმ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების რიცხვში რომლებიც დამოუკიდებელი ქვეყნები გახდნენ. ქვეყნის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია რომელიც კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. თუმცადა საარჩევნო აღტყინება და დამოუკიდებლობის აღდგენით გამოწვეული სიხარული ჩანაცვლა ახალმა, ძალზე სერიოზულმა პრობლემებმა - აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის სეპარატიზმმა რასთან გამკლავებაც გამსახურდიამ ვერ შეძლო. მსგავს, ჩიხურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ საქართველოს შემდგომი ლიდერებიც - ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი და ამჟამად გიორგი მარგველაშვილი. აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის პრობლემას დღემდე ბოლო არ უჩანს. იმის გამო რომ ამ ნაშრომის მოცულობა ამის საშუალებას არ იძლევა, ზემოთ აღნიშნულ საკითხზე აქ არ მოვახდენ კონცენტრირებას რადგანაც იგი ძალზე ფართო და დაწვრილებით ანალიზს მოითხოვს. მეორე მხრივ საქართველოს უსაფრთხოების თემატიკაზე საუბრისას შეუძლებელია სეპარატისტული რეგიონების მარგინალიზება. ამიტომ ამ საკითხზე ყურადღებას კიდევ გავამახვილებ თავში სათაურით - „საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე მოვლენების განვითარების

შესაძლო გზები და პერსპექტივები“ უფრო გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. როგორც ვნახავთ ამ ორ რეგიონში მიმდინარე პროცესები დიდ ზეგავლენას ახდენენ არა მარტო ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე არამედ მთელ კავკასიის რეგიონზეც.

V თავი

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილოეთი საზღვარი

(XVIII საუკუნის ბოლო და XIX-ის პირველი ნახევარი)

ვახუშტის აღწერილობით, ჩრდილო-დასავლეთით, XVIII ს. აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის საზღვრად მდ.კაპოეტისწყალი ყოფილა. 1735 წლის რუკაზე ჯერ წერია „კაპოეტის წყალი“, შემდეგ ხაზია გასმული და აღნიშნულია „აქეთ ჯიქეთი“, ე.ი ჯიქეთი უნდა ვიგულისხმოთ აღნიშნული მდინარის იქით, ანუ ჩრდილო-დასავლეთით. თანამედროვე რუკებზე კაპოეტის წყალი არსად არ არის აღნიშნული, მაგრამ ამ საკითხის დასაზუსტებლად შეიძლება გამოვიყენოთ შედარებითი ანალიზი: ამის საშუალებას იძლევა ვახუშტისა და თანამედროვე რუკები.

ვახუშტის რუკაზე, ბიჭვინთის დასავლეთით, ზღვას ერთვის კაპოეტის წყალი. თანამედროვე რუკებზე, ბიჭვინთის დასავლეთით კაპოეტის წყალი არსად არ არის აღნიშნული, მაგრამ ამ პუნქტის დასავლეთით, 7 კმ-ზე ზღვას ერთვის მდ.ბზიფი. მანძილის თვალსაზრისით იგივე ვითარებაა ასახული ვახუშტის რუკაზეც. ასე რომ, მდ, კაპოეტის წყალი და მდ.ბზიფი ერთი და იგივე მდინარეა.

ვახუშტის აღწერით, ჩრდილო-დასავლეთით საზღვარი იყო „... დასავლით ზღვა და კაპოეტის მდინარე ... ჩრდილოთ მზღვრის მთა გაგრძელებაზე „... ამ აფხაზეთს იქით, კაპოეტის-წყლის დასავლეთს მთის იქითს კერძს ზღვამდე... და არს ადგილი ესე ყოვლითურთ აფხაზეთისა“.

როგორც ვხედავთ, ვახუშტი თავისი ჩვეული მანერით აქ აღარ ცდილობს ჯიქეთის დასავლეთით მოსაზღვრე ქვეყნის დეტალურ დახასიათებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯიქეთი ვრცელდებოდა კავკასიონის მთავარ ქედამდე. ალბათ, ამას გულისხმობდა მეცნიერი, როდესაც აღნიშნავდა: „კავკასიის მთის იქით კერძს ზღვამდე“. ამ მონაკვეთზე ვახუშტი მხოლოდ ერთ პუნქტს - ნიკოფსიას ასახელებს.

ქართველი მეცნიერის აღწერილობით, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი, აფხაზეთის შემდეგ, აღმოსავლეთით სვანეთის ჩრდილოეთი საზღვრით არის მოხაზული და აქაც ის ბუნებრივ ზღუდეს მისდევს რაჭის საზღვრამდე. იგი

აღნიშნავს რომ „ჩრდილოთ დიდ-ყაბართ-ჩერქესა და ამას სვანეთს შორისი კავკასია“.

რაჭის აღწერისას ვახუშტი აღნიშნავს: “ჩრდილოთ მზღრის რაჭას კავკასი“. ე.ი. აფხაზეთიდან დაწყებული საქართველოს საზღვრის ხაზი რაჭის ჩრდილოეთ გაყოლებაზე მიუყვება კავკასიონის თხემს. შემდგომ აღწერს დვალეთს (ოვსეთს), რომელსაც აღმოსავლეთით აქვს „ ... თრუსოსა და ხევის საზღვარი, მერმე მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელნი ძენან სამხრიდამ ჩრდილოდ, და დასწყდების ხევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდინარე, ვიდრე ხეთაძე-ჩერქეზის მთამდე; სამხრით მზღვრის კავკასი, ხევის-ყელიდამ წარსული დასავლეთად, რომელ არს ბრუც-საბძელამდე, და ზეკარა, კედელა და რაჭა-დიგორ-ბასიანს შორის კავკასნი; ხოლო ჩრდილოთ ჩერქეზსა და მას შორის მთა მაღალი, და... დასავლეთით მზღვრის კავკასივე რაჭასა და ჟღელეს შორის...“.

თანამედროვე თვალსაზრისით ვახუშტის მიერ მითითებული დვალეთის ეს საზღვარი იქნება: ჩრდილოეთით მ. ადაიხობის (4404 მ.) გავლით ხაზი მიდის აღმოსავლეთისაკენ მთა ახოტამდე (4069 მ.), შემდეგ ეშვება მდ. არდონის ხეობაში, ვიდრე მიაღწევს მ. ტეპლის (4431 მ.), გაივლის კურთათინის უღელტეხილს (3287მ.) და მიდის ხეობის ქედზე მ. სივერაუთამდე (3374 მ.), ხოლო აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან შემოფარგლულია კავკასიონის ქედის რკალით, რომელზეც განლაგებულია მთა ხობი, უღელტეხილი როკა (2995 მ.), ზეკარას და ბრუც-საბძლის მთა, მამისონი, უღელტეხილი(2820 მ).

დვალეთის დასავლეთით, საქართველოს ჩრდილო საზღვარს ვახუშტი ისევ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემზე ატარებს. მხოლოდ დარიალის ხეობა თერგს “გველეთს ქვეით ერთვის ...არაგვსვე ხევი სამხრ-აღმოსავლეთიდამ, გამოსდის გუდამაყრისა და ძურძუკის კავკასსა ...ამ ხევის ქვეით დავიწროვდების ხევი ესე კლდითა, და აქა არს ციხე დავითისა ... ამას ქვეით არს დარიელა არაგვის აღმოსავლით, კიდესა ზედა... ამას ქვეით ნასახლევი მეფეთა“. „სადა დაივაკებს მდინარე არაგვი ანუ ლომეკა, ამ არაგვის აღმოსავლეთით, კიდესა ზედა... ამას ქვეით ნასახლევი მეფეთა“. „სადა დაივაკებს მდინარე არაგვი ანუ ლომეკა, ამ

არაგვს, ხეთაძის დაბის ზევით, ერთვის ქისტეთის-წყალი და ძურძუკისა... ხოლო სად იყრებიან ორნი ესე მდინარენი, მუნ არს შუაში ჯარიხი“.

ქართველი მეცნიერის აღწერილობა იმდენად დეტალურია, რომ ყოველი დასახლებული პუნქტის და ადგილის პოვნა თანამედროვე რუკებზე ძნელი არ არის, ამაში მისივე შედგენილი რუკაც დიდად გვიწყობს ხელს. სოფელ ქვემო ლარსის ჩრდილოეთით თერგს მართლაც ერთვის მარჯვენა მხრიდან მდინარე რომელიც 5-ვერსიან რუკაზე კისტინკადაა მინიშნებული (თანამედროვე რუკაზე მას არმხი ეწოდება). დასახლებული პუნქტი ჯარიხი ჯერახოვსკოედ იწოდება, თუმცა თანამედროვე რუკაზე მდ. არმხის შესართავთან ასეთი დასახლებების პუნქტი არ არის, მაგრამ მდ. არმხის აყოლებით, 5 კილომეტრზე აღნიშნულია სოფელი ჯარიხი. მის რუკაზე საქართველოს ტერიტორიის საზღვარი აქ სოლივითაა შეჭრილი ხოლო მდ. კისტინკას ხეობა ყვითელი ფერითაა გამოყოფილი და მას ქისტეთი აწერია, ე.ი. საქართველოს აქ საზღვარი ედო იმ ქედის თხემის გაყოლებით, რომელიც მდ. არაგვის ხეობისაგან მდ. ქისტურას ხეობას გამოჰყოფს. თანამედროვე რუკაზე ამ ქედს ოხკურის ქედი ეწოდება. ქედის ჩრდილო-დასავლეთ დაბოლოებაზე.... „სადაც იყრებიან ორნი ესე მდინარენი, მუნ არს შუაში ჯარიხი“. ე.ი. ეს იყო საქართველოს ტერიტორიის ქართლის ნაწილის უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე წერტილი.

საზღვრის ხაზის შემდგომ მიმართულებაზე წარმოდგენას გვაძლევს ვახუშტის განმარტება, რომ „ქისტეთ ზევით, არს ძურძუკი... ქისტ-ძურძუკის აღმოსავლეთად არს ღლიღვეთი“. უფრო აღმოსავლეთით, სადაც „კავკასს იქით, არს წოვა; წოვას ქვეით გომეწარი და მის ქვეით ჩაღმა... მზღვრის ორსავ თუშეთს: აღმოსავლით კავკასი ჰავარსა, ჩაჩანსა და ამას შორის... ჩრდილოთ კავკასი“.

ვახუშტის რუკისა და ამ აღწერილობის მიხედვით, აგრეთვე თანამედროვე რუკების მიხედვითაც, კავკასიონს გადაღმა ორი ხეობაა გამოსახული - მდ. პირიქითი ალაზნის და თუშეთის ალაზნის რომელთა შეერთების შემდეგ მდინარეს ეწოდება ანდის ყოისუ. ვახუშტის რუკით წოვა მიჩნეულია მდ. პირიქითი ალაზნის აუზად, ხოლო ჩაღმა - მდ. თუშეთის ალაზნის აუზად. ამ „ორსავ თუშეთს“ ამჟამად ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩეჩნეთი და საზღვრის ხაზი

გადის თუშეთის ქედის გაყოლებით - აღმოსავლეთით. აქედან მოყოლებული, სამხრეთი მიმართულებით, აღმოსავლეთის მხრიდან რუკის მიხედვით კახეთს ესაზღვრება დიდოეთი. მეცნიერის გეოგრაფიული აღწერილობით „დიდოეთი არს ლოპოტასა, გრემისა, შილდა-ყვარელის და ჭიაურის აღმოსავლით, კავკასიის მთის ჩრდილოთ კერძოსა შინა“. თანამედროვე ზოგადგეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, დიდოეთსა და კახეთს შორის საზღვარი გადის კავკასიონზე. საზღვრის ხაზის გაგრძელების თაობაზე წარმოდგენას გვიქმნის მდინარე „ნეინის-წყალი“ რომელიც „გამოსდის ლეკეთსა და ამას შორის კავკასსა“. ამასთან ერთად, ბელაქნისწყლის, მაწისწყლის და ქურმუხისწყლის დახასიათება - რომლებიც კავკასიონის ქედიდან ჩამოედინებიან და მოქცეული არიან გიშისწყლის ჩრდილო-დასავლეთით - იმაზე მიგვანიშნებს, რომ გიშისწყალთან უკვე შეიკრა ვახუშტის შრომებში აღწერილი საქართველოს ტერიტორიის საზღვრები.

ამრიგად, ვახუშტისეული აღწერით საქართველოს ტერიტორია და საზღვრები თანამედროვე კარტოგრაფიული ინტერპრეტაციით ასეთი სახის მოხაზულობას იღებს:

საქართველოს აღმოსავლეთით საზღვარი იწყება მდ. გიშისწყლის სათავიდან, მიუყვება მას მდ. ალაზნის შესართავამდე, შემდეგ მოდის სამხრეთისაკენ მდ. ალაზნის და მდ. იორის შესართავამდე, მდ. ალაზნის მტკვართან შერთვის ადგილიდან საზღვრის ხაზი აღმა მიუყვება მდ. მტკვარს და მდ. აღსთავას შესართავიდან მიდის სამხრეთით, სევანის ქედამდე, გასდევს მის წყალგამყოფს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, გადადის ბაზუმის ქედზე, მოდის ჯავახეთის ქედის სამხრეთ დაბოლოებამდე და აქედან ჩილდირის ტბას უვლის სამხრეთიდან, მიუყვება ყარსის ქედს, გადადის მდ. ჭოროხისა და მდ. არაქსის წყალგამყოფ თხემზე, გადაკვეთს მდ. ჭოროხს და ადის პონტოს ქედზე, მთა რკინის პალოს გავლით საზღვრის ხაზი მიდის ჩრდილო-დასავლეთისაკენ და ეშვება შავ ზღვაზე სოფ. ქელალისთან.

აქედან, შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით საზღვარი მიდის ნიკოფსიის მიდამოებამდე, შემდეგ საზღვრის ხაზი ადის კავკასიონის თხემზე, გადის იალბუზთან, მიდის მყინვარწვერამდე, აქედან ეშვება არაგვის ხეობაში და მდ.

ქისტურას მხრიდან კვლავ კავკასიონის ქედით გადადის თუშეთის ქედზე. ამ უკანასკნელის აღმოსავლეთი დაბოლოებიდან ეშვება სამხრეთით და კახეთის კავკასიონის წყალგამყოფი ქედით მიდის აღმოსავლეთის მიმართულებით - მდ. გიშისწყლის სათავეებამდე, მთა ცაელახანზე (3546 მ.).

საქართველოს საზღვრების ვახუშტისეული აღწერილობის წყალობით და მის რუკაზე მოცემული ინფორმაციის თანამედროვე ტოპოგრაფიულ რუკაზე პროექტირების გზით შესაძლებელი გახდა შემოფარგლული ტერიტორიის გავრცელების გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა და ფართობის დადგენა.

ამგვარად, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ისტორიული საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილი მდებარეობდა ცაილახანის მთაზე (3546 მ.) - ჩ.გ. 41° 12'3, ა.გ. 47°21'30, უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილი - აუზბაშის უღელტეხილზე - ჩ.გ. 43°47', ა.გ. 42°25', უკიდურესი სამხრეთი წერტილი - მ. ყარაგაპაზარზე (3133 მ) - ჩ.გ. 40°28', ა.გ. 41°34' ხოლო უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი წერტილი ნიკოფსიის მიდამოებში - ჩ.გ. 43°58', ა.გ. 39°13'. საქართველოს ტერიტორიის ფართობი ამ საზღვრებში შეადგენდა 134 ათას კმ²-ს, ანუ თითქმის ორჯერ აღემატებოდა თანამედროვე საქართველოს საერთო ფართობს.

საყურადღებოა რომ ვახუშტის მიერ აღწერილ საქართველოს საზღვრებში მოქცეული შავი ზღვის სანაპირო ხაზის სიგრძე სოფ. ქელალისიდან ნიკოფსიამდე 545 კმ-ს შეადგენს ხოლო სახმელეთო საზღვრის სიგრძე 2000 კმ-ს აღემატება.

გეოდეზისტი ი. სტეზნიცკი წერს: “თუ მხედველობაში მივიღებთ რომ ვახუშტის რუკები აგეგმვის საფუძველზე არ არის შედგენილი, უნდა ვაღიაროთ რომ ისინი სიზუსტის მხრივ (რამდენადაც ეს შესაძლებელია) საკმაოდ დამაკმაყოფილებელია“.

XVIII საუკუნის ბოლოდან და XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე რუსეთის იმპერია ფართოდ იყენებდა ვახუშტისეულ რუკებს და მათ საფუძველზე ქმნიდა ასლებს რაც სამხრეთის ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობის მტკიცე კარტოგრაფიულ დოკუმენტს წარმოადგენდა. ამის მაგალითად შეიძლება

დავასახელოთ რუსეთის სამხედრო-სამეცნიერო არქივში დაცული, 1743 წლის საქართველოს რუკიდან (N 505 „Иверская земля“) გადაღებული ასლი და რუსეთის ელჩის ბურნაშევის მიერ 1784 წელს (ახალი ინფორმაციით კი 1780 წელს) შედგენილი რუკები.

ამ რუკებზე მოცემული იყო საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა. ამ დაყოფის საფუძველს წარმოადგენდა ვახუშტის რუკებზე მოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები (ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, ჯავახეთი და სხვა). ეს პროვინციები ქმნიდნენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის საფუძველს.

1801 წლიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა ქვეყნის ტერიტორიის საზღვრების მოხაზულობაში და ადმინისტრაციულ მოწყობაში. რუსეთმა ერთმანეთის მიყოლებით გააუქმა სამეფო, საერისთავო და სათავადო მართველობის სისტემა და ამის ნაცვლად შემოიღო მართვის რუსული სისტემა. შეიქმნა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები რომლებიც თავის მხრივ იყოფოდა მაზრებად, ოკრუგებად და საპოლიციო უბნებად.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ტერიტორიის ფართობის შესახებ მონაცემები არ არსებობდა. ეს იმით უნდა აიხსნას რომ რუკებზე გაზომვითი სამუშაოების ჩატარება არ ხდებოდა.

მოიკიდა რა ფეხი კავკასიაში, რუსეთმა 1801 წლიდან დაიწყო ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული საქმის ორგანიზება ჩვენს ქვეყანაში. დასავლეთევროპული გამოცდილებით აღჭურვილმა რუსეთის იმპერიამ ფრანგული და გერმანული წარმოების კუთხმზომი ხელსაწყოებით პირველი მოსამზადებელი ტოპოგრაფიული სამუშაოების ჩასატარებლად მოავლინა სამხედრო ტოპოგრაფები დრენიაკინი და დროზე. 1802 წ. მათ უკვე შეადგინეს ქართლის ტერიტორიის ამსახველი პირველი ორვერსიანი რუკა (1:210000 მასშტაბში) უფრო მაღალი სიზუსტის კარტოგრაფიული პროდუქციის შექმნას საფუძველი დაედო 1846-1847 წლებიდან და ამ საქმის ხელმძღვანელობა დაეკისრა სამხედრო ტოპოგრაფს ი.ხოდკოს.

1801 წლის მდგომარეობით შედგენილი კავკასიის ზოგადი რუკის მიხედვით ახალციხის, ახალქალაქის, აჭარის, არდაგანისა და ართვინის ტერიტორიები საქართველოს საზღვრებს მიღმა დატოვებული და დაქვემდებარებულია თურქეთის საფაშოებისადმი, ხოლო განჯისა და შამშადილის ტერიტორიები ირანის სახანოებისადმი.⁴

⁴ ჯანსუღ კეკელია, „საქართველოს ტერიტორია და საზღვრები“, თბილისი 2006, გვ. 15-21

VI თავი

უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილოეთი საზღვარი 1922 წლიდან 1958 წლის ჩათვლით

1922 წ. 12 მარტს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნამ და საქართველოს ტერიტორიის საზღვრის გატარებისას სამეურნეო ტერიტორიებად დაყოფის პრინციპის გამოყენებამ დიდად შეუწყო ხელი ქართული მიწების ხელყოფას.

ჯერ კიდევ 1921 წელს როდესაც ეთნიკური გამიჯვნის მიზნით აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა, საზღვრის ხაზი გატარებულ იქნა მდ. ხოლოდნაია რეკაზე. შემდეგ იგი ადიოდა წყალგამყოფ თხემზე, მიუყვებოდა მას და მ. არაბიკის (2656 მ.) გავლით და გაგრის ქედით მიემართებოდა მ. აგეფსტასკენ (3256 მ.) საიდანაც აცეტუკას ქედით და ახუნდარას გადასასვლელის გავლით ადიოდა კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე.

საზღვრის ხაზის ასეთი მიმართულებაა დატანილი 1930-1931 წლებში გამოცემულ საქართველოს და ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკების რუკებზე, ე.ი. მდ. ხოლოდნაია რეკასა და მდ. ენგურზე გამავალ საზღვრის ხაზს შორის მოქცეული იყო აფხაზეთის სსრ. 1931 წლისათვის აფხაზეთს ეს სტატუსი უკვე გაუუქმდა და იგი გადაკეთდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად.

საქართველოს მთავრობის მოთხოვნით, ყოველგვარი სადემარკაციო და სადელიმიტაციო შეთანხმების გარეშე, უბრალო აქტით, რსფსრსა და საქართველოს შორის საზღვრის ხაზი ამ მონაკვეთზე გადაწეულ იქნა მდ. ფსოუზე.

თუ რევოლუციამდე საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონზე შედარებითი სტაბილურობით ხასიათდებოდა, შემდგომ აქ სურათი იცვლება. ეს ცვლილება ძირითადად მოხდა დიდი სამამულო ომისა და მის შემდგომ პერიოდში. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წ. 12 ოქტომბრის ბრძანებულებით ყარაჩაელთა ავტონომიური ოლქის გაუქმებისა და მისი ტერიტორიის მეზობელ რესპუბლიკებს შორის გადანაწილების შედეგად საქართველოს გადაეცა უჩკულანისა და მიქოიანის რაიონების ტერიტორიის

ნაწილი. ამ ტერიტორიაზე შექმნეს ქლუხორის რაიონი. მის ადმინისტრაციულ ცენტრად დამტკიცდა ქალაქი მიქოიან-შახარი. იმავე ბრძანებულებით ამ ქალაქს გადაერქვა სახელი და ეწოდა ქლუხორი.

შესაბამისად დადგინდა საზღვარი რსფსრსა და საქართველოს შორის: დასავლეთით იგი ემთხვეოდა მიქოიანის რაიონის საზღვარს, აღმოსავლეთის მიმართულებით საზღვრის ხაზი გავლებულ იქნა ქლუხორის ჩრდილოეთით, შემდეგ იგი მდ. მარათი მიემართებოდა სოფ. ქვემო მარასაკენ. ეს სოფელი რჩებოდა საქართველოს ფარგლებს მიღმა და საზღვარი გადიოდა უჩუღლანის რაიონის საზღვარზე (სოფ. ზემო მარას სამხრეთით), სამხრეთის მიმართულებით კი საზღვრის ხაზი დაამთხვიეს უჩუღლანის რაიონის საზღვარს. მთლიანად, აღნიშნული ტერიტორიის შემოერთებით საქართველოს შეემატა 3592,8 კმ² ფართობი.

1944 წლის 7 მარტს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით იმავე მოტივით გააუქმეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ. მეზობელ რესპუბლიკებს შორის მისი ტერიტორიის გადანაწილების შემდეგ საქართველოს შემადგენლობაში შეიყვანეს ითუმ-ყალეს რაიონი მთლიანად, შაროს რაიონის დასავლეთი ნაწილი, გალანჩოჟის, გალაშკის და პრიგოროდნის რაიონების სამხრეთი ნაწილები. საქართველოს შემადგენლობაში შევიდა აგრეთვე ჩრდილო ოსეთის ასსრ გიზელდონის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ამის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს სსრ-ს ახალხევის რაიონი, რომლის ფართობი დაახლოებით 2 000 კმ²-ს შეადგენდა.

იმავე წელს საქართველოსთვის გადაცემული ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი გიზელდონის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და გალაშკისა და პრიგოროდნის რაიონები დაუქვემდებარეს ყაზბეგის რაიონს. ამ შემთხვევაში მოხდა ის რომ საქართველოს დაუბრუნდა ისტორიულად კუთვნილი ტერიტორია - 456.5 კვ. კმ და აღსდგა საქართველოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო უფლებები. რსფსრ-სთან საზღვრის ხაზი გატარდა ზუსტად ისე როგორც ეს აღწერილი იყო ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიაში და მის რუკაზე.

აღნიშნულის საფუძველზე ცვლილებები იქნა შეტანილი რსფსრ-სა და საქართველოს სსრ საზღვრის ხაზშიც. კერძოდ, ახალმა საზღვარმა გაიარა საქართველოს ძველი საზღვრიდან მ. გიმორა-ხოხის დასავლეთით და ზღვის დონიდან 4776 მეტრის სიმაღლის მთის აღმოსავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. გენალდონზე, სოფელ ქვემო სანიბას დასავლეთით, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით 2642.2 მ. სიმაღლის მთამდე, აქედან აღმოსავლეთით მდინარე თერგამდე და მატლას ქედის თხემის 3002.0 და 2223.2 მეტრის სიმაღლის მთების გავლით ჯარლომისა და ცორეილომის ქედებით, სოფელ კაჯავინჩის სამხრეთით და 2072.6, 2275.5 და 2327 მეტრის სიმაღლეების გავლით, სოფ. ნიკორათის ჩრდილოეთით, შემდეგ კი აღმოსავლეთით ყოფილი ითუმ-ყალეს რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრიდან შაროს რაიონის ჩრდილოეთი საზღვრით მდ. შაროარგუნამდე, შემდგომ სამხრეთით მდინარე არკარტეახკის (ხულანდოს) და ხარეგაი-ახკის გაყოლებით იმ მწვერვალამდე (4090,0 მ), სადაც გადიოდა სოციალისტური საქართველოს საზღვარი რსფსრ-სთან.

იმავე წელს ზემო სვანეთის ტერიტორიას შეუერთეს მ. იალბუჯისა და ბაღყარეთის ასსრ-ს მთლიანი რაიონები და საქართველოსა და რსფსრ-ს შორის საზღვრის ხაზი გატარებულ იქნა მ. იალბუჯის ჩრდილო ფერდობთან მდებარე ბურუნთაშის გადასასვლელზე, შემდეგ აღმოსავლეთით - მდ. მალკას გაყოლებით 2877 მ. სიმაღლის მთამდე, აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ისლამ-ჩაის გაყოლებით კირტიკაუშის გადასასვლელთან მდებარე 3242 მ-ის სიმაღლის მწვერვალამდე და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. კირტიკის გაყოლებით მესტიის გადასასვლელამდე (საქართველოს საზღვრამდე)⁵.

1955 წლის 28 ივნისის სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მრძანებულებით ქლუხორის რაიონი გამოეყო საქართველოს და გადაეცა რსფსრ-ს.

1957 წელს რუსეთმა გააუქმა ახალხევის ადმინისტრაციული რაიონი და საქართველოსთან შეთანხმების მიღწევის გარეშე კვლავ თავის ტერიტორიას შეუერთა აქამდე ყაზბეგის რაიონს დაქვემდებარებული დარიალის უბანი და

⁵ უახლესი ისტორიის არქივი, ფონ. 600, ან 2, საქ. 589.

სოფლები (ზემო და ქვემო ლარსი, თერგისპირი, სანიბა, დარიალი, თამარიანი, განახლება, შრომა, თერგულა, მთისძირი).

შესაბამისად, სსრკ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარმა სამმართველომ იხელმძღვანელა ცალმხრივი დოკუმენტით და ახალ ტოპოგრაფიულ რუკებზე აღადგინა 5-ვერსიან რუკაზე დატანილი თბილისის გუბერნიის საზღვრის ხაზი.

1958 წლის 13 ივნისს იყო მცდელობა რომ საქართველოსა და დაღესტნის ასსრ-ს საზღვარში ცვლილებები შეეტანათ. ამ ცვლილებების უმთავრეს მოტივს დაღესტნელების აზრით წარმოადგენდა ის რომ თითქოს 1945 წელს მიღებული არასწორი გადაწყვეტილების გამო მათ საზღვარს მიღმა დარჩა სოფ. ჭერო და მიმდებარე ტერიტორია.

უახლესი ისტორიის საარქივო მასალებიდან ირკვევა რომ „ვინაიდან დაღესტნის ასსრ-ს ცუმადის რაიონის ხუშეთის სასოფლო საბჭო ტრადიციულად მომსახურებას უწევს“ სოფ. ჭეროს და მის ირგვლივ მდებარე სოფლებს და ხუშეთის კოლმეურნეობების ბრიგადაც სოფ. ჭეროში მდებარეობს“ ამიტომ მათი აზრით „მთათუშეთში დაღესტნისათვის საქართველოს უნდა დაეთმო დაახლოებით 40 კმ. ტერიტორია“. მათი ვარიანტით საზღვრის ხაზი უნდა გატარებულიყო ზღვის დონიდან 4086,1 მ. სიმაღლეზე მდებარე მწვერვალიდან (რომელიც დიკლოს მთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს 3200 მეტრში) სამხრეთით, 3702,7 მეტრის სიმაღლის მთასა და მ. შუნგალავანის მთის (3033,6 მ.) გავლით სოფ. ჭეროს დასავლეთით. შემდეგ საზღვარი გაჰყვებოდა მდ. ანდის ყოისუს და ვევოს ქედის თხემს - 2858,4 მ. 2952,7 მ. და 2918,8 მეტრის სიმაღლეების გავლით⁶. როგორც გაირკვა ამ მოთხოვნებზე დაღესტნელებმა საქართველოს მთავრობისაგან უარი მიიღეს. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ 1961 წ. გამოცემული ტოპოგრაფიული რუკები 1:200000 და 1:500000 მასშტაბებში.

შეიძლება აღინიშნოს რომ 1920 წ. 7 მაისიდან 2002 წ. ჩათვლით საქართველომ სულ გაასხვისა 18 498 კმ² ტერიტორია.

⁶ უახლესი ისტორიის არქივი, ფონ. 2119, ან 1, საქ.58.

1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გამოსცა მანიფესტი რუსეთთან საქართველოს (აღმოსავლეთი საქართველოს) შეერთების შესახებ. მანიფესტთან ერთად იმავე დღეს გამოქვეყნებულ იქნა დებულება „საქართველოს მმართველობის შესახებ“ სადაც განსაზღვრული იყო აღმოსავლეთი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა.⁷

საქართველოს იმ მიწებს რომლებიც 1801 წელს რუსეთის იმპერიას შეუერთდა და მისი პროვინცია გახდა, დაკანონებული ადმინისტრაციული საზღვრები არ გააჩნდა. მიწების მფლობელობა უმეტესად ეფუძნებოდა არა ნასყიდობისა და სხვა უდავო დოკუმენტებს რომლებიც საკუთრების უფლებას ადასტურებდა, არამედ მხოლოდ მიწების ფაქტობრივ მფლობელობას რომლის წარმოშობის წყარო მიტაცება ან დაპყრობა იყო.

1890 წელს, ამიერკავკასიის მხარეში გამიჯვნითი სამუშაოების დამთავრებამდე შედგენილ იქნა ამიერკავკასიის რუკა 20 ვერსის მასშტაბით (1: 840.000) სადაც აღნიშნული იყო გუბერნიების, მაზრების, საპოლიციო უბნებისა და სასოფლო თემების საზღვრები. რუკის შედგენას საფუძვლად დაედო 1886 წელს საოჯახო სიების მიხედვით შედგენილი სტატისტიკური მონაცემების კრებული ამიერკავკასიის მოსახლეობის შესახებ რომელიც სტატისტიკურმა კომიტეტმა გამოსცა. იმავე ცნობების საფუძველზე სამხედრო ტოპოგრაფიულმა განყოფილებამ 1889-1914 წლებში შეადგინა კავკასიის 5-ვერსიანი (1/210000) რუკა რომელიც ზუსტ კარტოგრაფიულ საფუძველზე მეცნიერულად იქნა დასაბუთებული.⁸

1918 წლის 26 მაისს ქართველმა მენშევიკებმა შექმნეს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით გამოცხადდა.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა იყო. მას სურდა საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრთან კეთილმეგობრული განწყობის შექმნა და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. საქართველოს

⁷ Полное собрание законов Российской империи (ПСЗРИ), 1-е издание, том XXVI, статья 2007.

⁸ Кавказский календарь на 1902 г., Грузинское издательское товарищество. 1901г., Ткачёв Г.К. „Межевое дело в Закавказском крае“, стр. 44-48.

მთავრობა ენერგიულად იბრძოდა რათა საერთაშორისო იურიდიული აღიარება მოეპოვებინა. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა გერმანიამ, პოლონეთმა, ლიტვამ, ლატვიამ, ჩეხოსლოვაკიამ, უნგრეთმა და არგენტინამ.

მთელი 1919-1920 წლების მანძილზე საქართველოს მთავრობის დელეგაცია პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილე დიდ სახელმწიფოებს სთხოვდა ეცნოთ დამოუკიდებელი საქართველო „დე ფაქტოდ“ და „დე იურედ“ მაგრამ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიისა და სხვა ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლობები ამ კონფერენციაზე ფეხს ითრევდნენ და ამ მიმართულებით კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას აჭიანურებდნენ. მრავალ მიზეზთაგან მთავარი მაინც ის იყო რომ ანტანტის ქვეყნები ელოდნენ იმ ლაშქრობების წარმატებას რომლებიც კოლჩაკმა, დენიკინმა, იუდენიჩმა, ვრანგელმა და სხვებმა წამოიწყეს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ყველა ეს თეთრი გენერალი მთლიანი და განუყოფელი რუსეთის ლოზუნგით გამოდიოდა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება იმას ნიშნავდა რომ ანტანტა უპირისპირდებოდა მონარქისტული რუსეთის ინტერესებს რომლის განუყოფელ ნაწილადაც მათი აზრით საქართველოც განიხილებოდა. თუმცაღა მიუხედავად ამ სიტუაციისა 1920-1921 წლებში ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და სხვებმა დე იურედ ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა.⁹

საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის ივლისში განსახილველად წარადგინა საზღვრების ტექსტობრივი აღწერა რომელიც შეესაბამებოდა თბილისის გუბერნიის ყარსის ოლქის და ნაწილობრივ შავიზღვისპირეთის გუბერნიის საზღვრების გრაფიკულ მოხაზულობას და დატანილი იყო ამიერკავკასიის მხარის 20-ვერსიან (1/840000) რუკაზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარდგენილი საზღვრები ერთა ლიგამ აღიარა.

1918 წლის 4-6 ივლისის კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე წარსადგენად ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ მოამზადა სპეციალური

⁹ ა. დემეტრაშვილი, „მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები“, თბილისი 1992, გვ. 22-23.

მოკლე სამახსოვრო ცნობარი საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ რომელიც დაიბეჭდა კონსტანტინოპოლში, კათოლიკე ქართველთა სავანის სტამბაში 1918 წელს. მართალია აღნიშნული დაკუმენტი სამართლებრივი ხასიათის არ არის მაგრამ მას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ვინაიდან მასში სრულყოფილადაა განხილული საზღვართან დაკავშირებული გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული საკითხები. სწორედ ამიტომ სრულად მოგვყავს ეს მონაცემები: „საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს მთლიანს წარმოადგენს ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად და ეთნოგრაფიულად.

ჩრდილოეთით: კავკასიონის მთავარი ქედი და მისი შტო კავკასიონის პირიქითელი ქედი.

საზღვარი დაიწყება მაკოფსეს შესართავიდან შავ ზღვასთან - საცა კავკასიონის მთავარი ქედი უახლოვდება შავ ზღვას და რომლის ჩრდილოეთით ეს ქედი ჰკარგავს ველურ ხასიათს. საზღვრის ხაზი გასდევს ჯერ მდინარე მაკოფსეს - შესართავიდან დაწყებული ვიდრე სათავეებამდე, გაივლის დიდი ფსეუშხოს მწვერვალს, მიჰყვება წყალთა გამყოფ ხაზს მდინარეების ტუაფსესა და აშეს შუა და მიადგება კავკასიონის მთავარ (წყალთაგამყოფ) ქედს გოითხის უღელტეხილიდან 20 კილომეტრზე სამხრეთ აღმოსავლეთით. მოკიდებული ამ პუნქტიდან საქართველოს საზღვარი მიჰყვება კავკასიონის ქედს: ვიდრე ვაინქ-ფარსის მწვერვალამდე კავკასიონის მთავარ (წყალთაგამყოფ) ქედს; ვაინ-ფარსის მწვერვალიდან ვიდრე შავი კლდის მწვერვალამდე - ყაზბეგის მთის სისტემას, ეგრედ წოდებულ კავკასიონის პირიქითელ ქედს რომელიც ერთი უმთავრეს მთაგრეხილთაგანია კავკასიონის ქედზე; შავი-კლდის მწვერვალიდან მოკიდებული - ხელახლა კავკასიონის მთავარ (წყალთაგამყოფ) ქედს ვიდრე მწვერვალამდე 11389 ფუტის სიმაღლისა რომელიც მდებარეობს ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ მიჯნაზე.

მთელი ეს ჩრდილოეთი საზღვარი საქართველოსი კავკასიონის ქედებზე, - მიჰყვება დღევანდელ ადმინისტრაციულ საზღვრებს შავი ზღვის სანაპირო გუბერნიისას, სოხუმის ოლქისას, ქუთაისის გუბერნიისას, ტფილისის

გუბერნიისას, ზაქათალის ოლქისას - შემდეგის მცირეოდენის ცვლილებით ტფილისის გუბერნიის საზღვრებზე: საქართველოს საზღვრებში შემოდის სოფ. ლარსის რაიონი (მდინ. თერგის ხეობა - ვიდრე პუნქტამდე სოფ.ლარსიდან ორ კილომეტრზე ჩრდილოეთით) რაც შეადგენს საქართველოს მხარის ხევის ნაწილს; ხოლო ტფილისის გუბერნიიდან გადადის საჩქნოს საზღვრებში სოფ. სახანოს რაიონი (მდ. არღუნის ხეობის ნაწილი - დაწყებული პუნქტიდან რომელიც მდებარეობს მდ. ბლუხას შესართავის და მდ. მეშხის შესართავის შუა ნაწილზე).“

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა პირველი ქვეყანა იყო რომელმაც ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკა როგორც კანონიერი წარმონაქმნი. შესაბამისად, 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ხელშეკრულებას დებს რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასთან.¹⁰ ეს დოკუმენტი მიჩნეულია სახელმწიფო საზღვრის მარეგულირებელ მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტად. ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუს გასწვრივ ახახჩის მთამდე, გადადის ახახჩისა და აგანეტის მთამდე და მიდის ყოფილი შავიზღვისპირეთის, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების ჩრდილოეთი საზღვრით ზაქათალის ოლქამდე, აქედან კი ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთი საზღვრით მიდის სომხეთის საზღვრამდე. ხელშეკრულების მე-4 მუხლით რუსეთმა ვალდებულება იკისრა რომ საქართველოს უდავო შემადგენელ ნაწილებად აღიაროს თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის ყველა მაზრა და ოლქი, აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოლქები, გარდა შავიზღვისპირეთის გუბერნიის ნაწილებისა რომლებიც საქართველოს საზღვრებში გადადის პირველი და მესამე მუხლების ძალით. რუსეთმა აგრეთვე მზადყოფნა გამოთქვა საქართველოს შემადგენელ ნაწილად სცნოს ყოფილი სანამესტნიკოს ესა თუ ის ნაწილი რომელიც აღნიშნული ხელშეკრულებით გადავიდა საქართველოს ხელში ამ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულების ძალით. გარდა ამისა, რუსეთ - საქართველოს

¹⁰ საქ. კომ. პარტ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტების ყოველდღიური გაზეთი „კომუნისტი“, 1920 წლის 8 ივნისი, N 5. გაზეთი „ერთობა“, 1920 წლის 8 ივნისი, N 126.

შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების 1-ლი მუხლის თანახმად საქართველოს და აზერბაიჯანის საზღვრების და ზაქათალის ოლქის სადავო ნაწილების საკითხი გადასაწყვეტად გადაეცა შერეულ კომისიას. აღნიშნული შეთანხმება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად იქნა აღიარებული. ხელშეკრულება და დამატებითი შეთანხმება რატიფიცირებას არ საჭიროებდა ვინაიდან ხელმოწერისთანავე შევიდა ძალაში. ხელშეკრულებაში ვადა განსაზღვრული არ ყოფილა. ამრიგად, 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის გაფორმდა ძალზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი რომელმაც განამტკიცა საქართველოს სტატუსი საერთაშორისო მასშტაბით და გაზარდა მისი დამოუკიდებლობისადმი მსოფლიოს სახელმწიფოთა ნდობა. ამით საფუძველი ჩაეყარა ახალ, თანასწორუფლებიან ურთიერთობებს რუს და ქართველ ხალხებს შორის.¹¹ აქვე უნდა აღინიშნოს რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1919 წლის 15 ივლისის დირექტივით ადმინისტრაციული საზღვრების გამიჯვნის საკითხი შინსახკომს უნდა გადაეწყვიტა. 1920 წლის თებერვალში სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან შეიქმნა ადმინისტრაციული კომისია რომელსაც დაეკისრა ახალი ადმინისტრაციული გამიჯვნის პრინციპების შემუშავება. აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის საზღვრების საბოლოო გაფორმება დაიწყო 1921 წელს და მას საფუძვლად დაედო ახალი ადმინისტრაციული დაყოფის დებულება რომელიც სრულიად რუსეთის მე-8 მოწვევის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1921 წლის მარტში მიიღო. საზღვრების შეცვლის საკითხს იმ პერიოდში წყვეტდა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისია, მის მიერ გამოცემული ცირკულარებისა და ინსტრუქციების საფუძველზე. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: იმ საკითხთა განხილვის წესი რომლებიც ცალმხრივ დაყოფას

¹¹ ლ. თოიძე, „ქართული დიპლომატია“, ტომი I, გვ. 193. თბ. 1994 წ.

ეხება - 1922 წლის 18 მაისს მიღებული და ტერიტორიის გადაცემის წესი - 1923 წლის 21 ნოემბერს მიღებული.

ინფორმაცია მოპოვებულია წყაროებიდან რომლებიც შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ გადარქმენებს რუსეთის იმპერიაში ყოფნისას და აგრეთვე რსფსრ-ის იმ ნორმატიული აქტების ნუსხიდან რომლებიც აწესებდნენ ან ცვლიდნენ საქართველოს სსრ რესპუბლიკასთან მომიჯნავე ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებს 1927 წლის მდგომარეობით (საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი)¹².

განსახილველი პერიოდისათვის რომელიც 1921-1927 წლებს მოიცავს, საქართველოს არქივებში მიკვლეული არ არის დოკუმენტები მიწათმოწყობის განხორციელების დროს საქართველო-რუსეთის საზღვრის გამო წარმოქმნილი დავების შესახებ. ასევე მიკვლეული არაა რაიმე დოკუმენტები მიწათმოწყობის დარგში უფლებათა დარღვევებისა და მოშლილი მფლობელობის აღდგენის შესახებ თხოვნა-მიმართვების შესახებ. 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კონსტიტუცია რომლის მე-6 მუხლით სახელმწიფოს ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელი ხდებოდა. სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლებოდა მხოლოდ კანონმდებლობის მიხედვით. მე-7 მუხლით განისაზღვრა რომ ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა უნდა მომხდარიყო მხოლოდ კანონმდებლობის საფუძველზე. კონსტიტუციის 107-ე მუხლით საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს აფხაზეთს (სოხუმის ოლქს), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარეს) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქს) მიენიჭათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის უფლება.

მენშევიკურმა მთავრობამ ძალიან ცოტა დროში (ორწელიწადნახევარში) ყველა ღონე იხმარა იმისთვის რომ სამართლებრივად გაემიჯნა რუსეთ-საქართველოს საზღვარი რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიის ფართობი

¹² Систематическое собрание законов РСФСР, действующих на 1-е января 1928 года (7 ноября 1917 г. – 31 декабря 1927 г.), том первый. Юридическое издательство НКЮ РСФСР, Москва, 1929 г.

შეადგენდა 82,8 ათას კვ.კმ-ს ყარსის ოლქის გარეშე რომლის ფართობი იყო 19,2 კვ. კმ.¹³ მენშევიკურმა მთავრობამ ვერ მოასწრო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უღელტეხილებისა და ნეიტრალური ტერიტორიების სამართლებრივად მოწესრიგება თუმცა ამის გამამართლებელი მიზეზი ნამდვილად ჰქონდა. ისტორიულად ცნობილია რომ 10-იანი წლების დამლევს რუსეთს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა დაეპყრო საქართველო რადგანაც საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, წიაღისეულს, უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ და ეკონომიკურ გზებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცებისათვის. როგორც ისტორიულ მასალებშია აღწერილი ბოლო დროს რუსეთი ანგარიშს აღარ უწევდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას, ადგილი ჰქონდა სასაზღვრო პროვოკაციებსა და დივერსიულ აქტებს. საქართველოს სათანადო ორგანოები გარკვეულ რეაგირებას ახდენდნენ რუსეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტებზე. ყოფილა მცდელობები როდესაც რუსეთი თვითონ ადანაშაულებდა საქართველოს თითქოს ეს უკანასკნელი არღვევდა რუსეთ-საქართველოს შეთანხმებას.¹⁴

1921 წლის დასაწყისისათვის ბოლშევიკებს მიაჩნდათ რომ ყველა პირობა არსებობდა საქართველოში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დაწყებისა და გამარჯვებისათვის. ეს გაითვალისწინა საქართველოს კ.პ.ცკ-მა და მიიღო დადგენილება შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ. 16 თებერვალს შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი რომელმაც დახმარება სთხოვა საბჭოთა რუსეთს. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თხოვნით დასახმარებლად მოსული წითელი არმიის ნაწილები 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქ თბილისში შემოვიდნენ. რევოლუციურმა კომიტეტმა საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა.¹⁵

¹³ Кавказский календарь 1902 г. Данные о пространстве Кавказского Края, стр.226 стр.24., стр.36, стр. 38.

¹⁴ ლ.თოიძე, „ქართული დიპლომატია“ ტომი I, თბ.1994 წ., გვ. 197.

¹⁵ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი „საქართველოს სსრ.“, გვ.83, თბილისი 1981 წ.

1922 წლის 2 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს სსრ კონსტიტუცია რომლის 1-ლი მუხლის შენიშვნაში აღნიშნულია: საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ეს უკანასკნელი საქართველოს დაუკავშირდა მათ შორის დადებული განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-5 მუხლში აღნიშნულია რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა რომელიც არ იწყნარებს არავის სწორუფლებიან მფლობელობას (თავის ტერიტორიაზე. სამაგიეროდ არც თვითონ განაგრცობს თავის უფლებებს თავის საზღვრებს გარეთ. 62-ე მუხლით სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობას და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობას ექვემდებარებოდა რესპუბლიკის ტერიტორიის საერთო ადმინისტრაციული დაყოფა და რესპუბლიკის საზღვრების დაწესება, დამატება და შეცვლა, ასევე მისი ტერიტორიის ნაწილების ან მისთვის მინიჭებულ უფლებათა ჩამორთმევა, უცხო სახელმწიფოსთან ზავის დადება და საზავო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია.¹⁶ 1936 წლის 5 დეკემბერს ამიერკავკასიის სფსრ გაუქმდა და საქართველოს სსრ შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში.¹⁷

1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია. როგორც ცნობილია, საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე 1936 წლის 5 დეკემბერს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა ი. სტალინმა. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია კონსტიტუციის პროექტის მე-17 მუხლის შესწორებამ, მოითხოვდნენ რომ კონსტიტუციის პროექტიდან სრულიად ამოღებულიყო მე-17 მუხლი რომელშიც საუბარი იყო სსრ კავშირიდან მოკავშირე

¹⁶ 1922 წლის 2 მარტის საქართველოს სსრ კონსტიტუცია. ტფილისი 1922 წელი.

¹⁷ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი I. თბილისი 1976 წელი გვ. 389.

რესპუბლიკების თავისუფლად გასვლის უფლების შენარჩუნებაზე. ი. სტალინის აზრით ეს წინანდადება სწორი არ იყო და ყრილობას არ უნდა მიეღო რადგანაც სსრ კავშირი თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი გაერთიანება იყო. კონსტიტუციიდან რომ ამოშლილიყო მუხლი სსრ კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლების შესახებ, ეს ამ კავშირის ნებაყოფლობითი ხასიათის დარღვევა იქნებოდა და ეს ნაბიჯი არ უნდა გადადგმულიყო.

1943 წლის 12 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლიკვიდირებულ იქნა ყარაჩაის ავტონომიური ოლქი რომელიც სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის 22-ე მუხლით რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში შედიოდა. ბრძანებულების 1-ლი პუნქტით გაუქმდა ყარაჩაის ავტონომიური ოლქი. მე-2 პუნქტით, ყარაჩაის ავტონომიური ოლქის გაუქმებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში შევიდა ყოფილი ყარაჩაის ავტონომიური ოლქის უჩკულანის და მიქოიანის რაიონების ნაწილი და შეიქმნა ახალი - ქლუხორის რაიონი რომლის ცენტრიც ქალაქი მიქოიან-შაჰარი იყო.

ქალაქ მიქოიან-შაჰარს გადაერქვა სახელი და ეწოდა ქლუხორი. რუსეთის სფსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის ქლუხორის რაიონში დადგინდა შემდეგი საზღვრები: დასავლეთიდან - ყოფ. მიქოიანის რაიონის არსებული საზღვრის გასწვრივ, შემდეგ ქ. ქლუხორის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შემდგომ მდინარე მარას გასწვრივ - სოფ. ქვემო მარას გამოკლებით, ყოფ. უჩკულანის რაიონის საზღვარზე გავლით, სოფ. ზემო მარას სამხრეთით და შემდეგ სამხრეთით მდებარე ყოფ. უჩკულანის რაიონის აღმოსავლეთ საზღვარზე გავლით. ყოფ. მიქოიანის რაიონის ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი და დასახლებული პუნქტები შევიდა სტავროპოლის მხარის უსტ-ჯეგუტინსკის რაიონის შემადგენლობაში¹⁸. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1944 წლის 8 იანვარს გამოსცა ბრძანებულება¹⁹ - ქლუხორის რაიონის საქართველოს სსრ შემადგენლობაში შესვლისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

¹⁸ Ведомости Президиума Верховного Совета СССР, N10, октябрь, 1943г.

¹⁹ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებები N1. 1994 წლის იანვარი.

პრეზიდიუმის 1943 წლის 10 დეკემბრის ბრძანებულების - „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თებერდის რაიონის ორგკომიტეტის შექმნის შესახებ“ - ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებულების - „ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციისა და მისი ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ“ - საფუძველზე ყოფილი ყარაჩაის ოლქის უჩკულანისა და მიქოიანის რაიონების ნაწილებისგან შეიქმნა ახალი ქლუხორის რაიონი რომელიც გადავიდა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში. ქლუხორის რაიონის ცენტრად შერჩეულ იქნა ქ. ქლუხორი - ყოფილი მიქოიან-შაჰარი.

ქლუხორის რაიონში დადგინდა შემდეგი საზღვარი რსფსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის: დასავლეთიდან საზღვარი გადის - ყოფილი მიქოიანის რაიონის არსებული საზღვრის გასწვრივ, შემდეგ აღმოსავლეთიდან - ქ. ქლუხორის ჩრდილოეთით, შემდეგ მდინარე მარას გასწვრივ სოფ. ქვემო მარას გამოკლებით ხოლო შემდგომ გადის ყოფილი უჩკულანის რაიონის საზღვრამდე, სოფ. ზემო მარას სამხრეთით და შემდეგ სამხრეთით არსებული ყოფილი უჩკულანის რაიონის აღმოსავლეთ საზღვარზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თებერდის რაიონის ორგკომიტეტს (რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 10 დეკემბრის ბრძანებულებით შეიქმნა) ეწოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ქლუხორის რაიონის ორგკომიტეტი.²⁰

1944 წლის 7 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლიკვიდირებულ იქნა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ²¹ რომელიც სსრკ 1936 წლის კონსტიტუციის 22-ე მუხლის საფუძველზე რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში შედიოდა. შესაბამისად საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1944 წლის 21 მარტს გამოსცა ბრძანებულება საქართველოს სსრ-თვის ყოფილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ს ტერიტორიის ნაწილის და ჩრდილოეთ-ოსეთის ასსრ-ს გიზელდონის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის გადაცემის და საქართველოს სსრ ახალხევის

²⁰ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებები N1. 1944 წლის იანვარი.

²¹ Ведомости Президиума Верховного Совета СССР, N3, март 1944 г.

რაიონის შექმნის შესახებ²². სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 მარტის ბრძანებულების 1-ლი პუნქტის შესაბამისად - „ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ს ლიკვიდაციის და მისი ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ“ - საფუძველზე საქართველოს სსრ შემადგენლობაში შევიდა: ყოფილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ს ითუმ-ყალეს რაიონი არსებული საზღვრებით, შაროის რაიონის დასავლეთი ნაწილი, გალანჩოჟის, გალაშკის და პრიგოროდნის რაიონების სამხრეთი ნაწილი და აგრეთვე ჩრდილო ოსეთის ასსრ-ს გიზელდონის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. შეიქმნა საქართველოს სსრ ახალხევის რაიონი, ცენტრით - სოფელ ახალხევში (ყოფილი ითუმ-ყალე). მე-2 პუნქტის შესაბამისად ახალხევის რაიონის შემადგენლობაში შევიდა ყოფილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ს ითუმ-ყალეს, გალანჩოჟისა და შაროის რაიონების ტერიტორიები. ჩრდილოეთი ოსეთის გიზელდონის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი რომელიც გადაეცა საქართველოს სსრ-ს, შევიდა საქართველოს სსრ ყაზბეგის რაიონის შემადგენლობაში. მე-3 პუნქტის საფუძველზე ცვლილებები იქნა შეტანილი რსფსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის არსებულ სახელმწიფო საზღვრებში.

1944 წლის 8 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ყაზარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკა გარდაქმნა ყაზარდოს ასს რესპუბლიკად რის შემდეგაც საქართველოს სსრ-ს ზემო-სვანეთის რაიონის შემადგენლობაში გადავიდა ყაზარდოს ასსრ იალბუზისა და ნაგორნის რაიონების სამხრეთ-დასავლეთი ნაწილები. ამასთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკასა და საქართველოს სსრ-ს შორის საზღვარი შემდეგნაირად შეიცვალა: საზღვარმა გაიარა ბურუნ-თაშის უღელტეხილიდან იალბუზის ჩრდილოეთ ფერდობზე, აღმოსავლეთით მდინარე მალკის გასწვრივ საზღვრის ხაზმა გაიარა 2877,0 მ. სიმაღლეზე, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე ისლამჩაიზე - 3242.00 მ. სიმაღლეზე, კირტიკ-აუშის უღელტეხილზე, მდინარე ყირთიქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაბა ზემო ბაქსანის დასავლეთით და სამხრეთით - მდინარე

²² საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებები N3, 1944 წ. მარტი.

ალირ-სუს გაყოლებით და ბოლოს მივიდა მესტიის უღელტეხილამდე²³. აღნიშნული ტერიტორიების რსფსრ-სგან საქართველოს სსრ-სთვის გადმოცემით შესაბამისი ცვლილება შევიდა საქართველოს სსრ კონსტიტუციაში.²⁴

1955 წლის 14 მარტს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება - „საქართველოს სსრ-ს ქლუხორის რაიონი რსფსრ-ს შემადგენლობაში გადავიდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებების საფუძველზე ქლუხორის რაიონის საქართველოს შემადგენლობიდან რსფსრ-ს სტავროპოლის მხარის შემადგენლობაში გადასვლის შესახებ. ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას ნაწილობრივი ცვლილება რსფსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის არსებულ საზღვარში“. 1956 წლის 28 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ შესაბამისი კანონით ცვლილება შეიტანა საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-19 მუხლში.

1957 წლის 10 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების ტერიტორიის ნაწილის საქართველოს სსრ შემადგენლობიდან რსფსრ შემადგენლობაში გადასვლის შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნულია: „საჩაჩნო-ინგუშეთის ასსრ აღდგენასთან დაკავშირებით გადაეცეს რსფსრ-ს დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების ჩრდილოეთი ნაწილები რომელთა საზღვრებშიც შედის ყოფილი ითუმ-ყალეს რაიონი და აგრეთვე ყოფილი გალანჩოყის, გალაშკის, შაროის, პრიგოროდნის და გიზელდონის რაიონების ნაწილები. დადგენილება დასამტკიცებლად შეტანილ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.“²⁵

1957 წლის 11 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების ტერიტორიების ნაწილის საქართველოს სსრ-დან რსფსრ-ს შემადგენლობაში გადასვლის შესახებ.

²³ Ведомости президиума верховного совета СССР, N4, апрель 1944 г.

²⁴ საქ. სსრ 1937 წლის კონსტიტუციაში საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1947 წლის 24 ივლისს მიღებულ იქნა ცვლილებები და დამატებები. სახელ. გამ. „პოლიტიკურატურის სექტორი“, თბილისი 1947 წ. გვ. 8,9.

²⁵ საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებები 1957 წლის იანვარი, N27 გვ. 133.

1957 წლის 9 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე - „ყაზარდოს ასსრ-ის გარდაქმნის შესახებ“, შეიქმნა ყაზარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკა რომელსაც დაუბრუნდა 1944 წლის 8 აპრილს რუსეთის მიერ საქართველოს სსრ-სთვის (ზემო-სვანეთისთვის) გადაცემული ტერიტორია²⁶. ეს მოვლენა დამტკიცებულ იქნა სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონის 1-ლი მუხლით.

²⁶ Ведомости президиума Верховного Совета СССР, 1957г. N4. ст.78, стр. 134.

VII თავი

საქართველოს უკიდურესი დასავლეთი საზღვარი და კავკასიონის ქედზე გამავალი საქართველო-რუსი-ს საზღვარი

საქართველოს უკიდურესი დასავლეთი საზღვარი იწყება შავ ზღვაზე მდ. ფსოლს შესართავთან (ჩ.გ. 43°23'31" და ა.გ. 40°00'30"). ამ ნაწილში საქართველოს 73,3კმ-ის სიგრძის სახმელეთო საზღვარი აქვს რუსეთის კრასნოდარის მხარესთან (1:500000 მასშტაბის რუკის მიხედვით). მდ. ფსოლს შავი ზღვის შესართავიდან საზღვარი მიუყვება ამავე მდინარეს და ადის აცეტუკის ქედზე მდებარე მ. აგეფსთაზე (3256 მ.), მიუყვება მის თხემს გაივლის ზ. დ. 2791 მეტრის სიმაღლის მთას. შემდეგ მდინარეების - მზიმთასა და ავადჰარას წყალგამყოფი სერით საზღვარი მიადგება ახუკდარას გადასასვლელს, იღებს ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებას და ადის კავკასიონის ცენტრალური ქედის წყალგამყოფზე, მიუყვება მას, გაივლის მ. აჟარას, აქედან კი სამხრეთ-აღმოსავლეთით 100კმ-ის გავლის შემდეგ იგი მიადგება საქართველო-სტავროპოლის მხარის საზღვრის უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილს. საზღვრის შემდეგ ნაწილში კავკასიონის ქედის თხემით საქართველოს ესაზღვრება ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა. 173,5 კმ-ის სიგრძის ეს საზღვარი მიუყვება კავკასიონის ქედის წყალგამყოფს, გაივლის დამბურცის უღელტეხილს, მ. ჩამხარას (2664 მ.), უღელტეხილებს - ჩამხარას (2486 მ.), აძათს (2497 მ.), სანჩაროს (2589 მ.), ალაშტრახუს (2723 მ.), ლაბას (2575 მ.), ზ.დ. 2928 მეტრზე მდებარე მწვერვალს, უღელტეხილ მაგანას (2265 მ.), 2794 მ-ის სიმაღლის მთას, გადასასვლელს - წყალგებულის (2539). შემდეგ საზღვარი აკეთებს რკალს და ჩრდილოეთის მიმართულებით მიემართება 3451 მ. სიმაღლის მთამდე, კვლავ მიუყვება თხემს, გაივლის ნაურის უღელტეხილს (2839 მ.) და 3489 მეტრის სიმაღლის მთას, შემდეგ გაივლის კიზგიჩის უღელტეხილს (2997 მ.) და რიგი სიმაღლეების (3443 მ., 3434 მ.) გავლის შემდეგ მიდის მარუხის უღელტეხილამდე (2746 მ.). ყარაკაიას მწვერვალიდან (3892 მ.) საზღვარი მიემართება სამხრეთისაკენ ხოლო შემდეგ აღმოსავლეთისაკენ მ. ერწახომდე (3910მ.). შემდეგ საზღვარი კვლავ მიუყვება კავკასიონის მთავარ ქედს

და გაივლის მ. საფურუჯუს (3786 მ.), მ. ჯუგუტურლუჩატს, პტიშის უღელტეხილს (2995 მ.), ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით კი მ. დომბაი-ულგენს (4046 მ.), მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გაივლის მ. ჩაკელას (3645 მ.), ქლუხორის უღელტეხილს (2781 მ.), აკეთებს რკალს ჩრდილოეთისკენ და ნახარის უღელტეხილის გავლით მიდის მ. ღვანდრამდე (3984 მ.). შემდეგ საზღვარი გაივლის და დალარისა (3291 მ.) და ჩიპერის (3285 მ.) უღელტეხილებს და აქ მთავრდება საქართველოსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის საზღვარი.

საზღვრის შემდგომ მონაკვეთზე საქართველოს ესაზღვრება ყაზარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა. იგი იწყება ჩიპერაზაუს (3264 მ.) უღელტეხილიდან და გაივლის დონღუზ-ორუნბაშის (3203 მ.) და ბეჩოს (3367 მ.) უღელტეხილებს, შემდეგ კი მ. შხელდას (4368 მ.). შემდეგ მ. ჩატინ-თსურთან (4411 მ.) საზღვარი მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთით, გაივლის მ. კავკასოს (4280 მ.), ჯანტუგანის (3483 მ.) გარვაშის (3769 მ.), მესტიის (3757 მ.), რეხზირის (3687 მ.) ტვიბერის (3607 მ.), კოტლოდის (3629 მ.), სემის (3769 მ.) და წანერის (3887 მ.) უღელტეხილებს. აქედან საზღვარი გაივლის შ. რუსთაველის სახელობის მწვერვალს (4856 მ.) და მ. შხარას (5068 მ.) ჩრდილოეთიდან შემოუვლის. შაროვცენელიდან აღმოსავლეთით 4 კმ-ში მთავრდება 120 კმ-ის სიგრძის საზღვარი ყაზარდო-ბალყარეთის რესპუბლიკასთან.

გეზევცეკის უღელტეხილიდან აღმოსავლეთით იწყება საზღვარი საქართველოსა და ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკას შორის. მთლიანობაში საზღვრის ამ მონაკვეთის სიგრძე 170 კმ-ს შეადგენს.

აღნიშნული წერტილიდან საზღვრის ხაზი მიმართება გეზევცეკის (3461 მ.), გურბიევცეკის (3349 მ.) და მამისონის (2820 მ.) უღელტეხილებით და გაივლის სამხრეთის მიმართულებით - მდინარეების კინჭახისა და მამიხდონის წყალგამყოფზე (კოზიკომრახის ქედზე). აქედან კედარის (2952 მ.), ძედოს (2994 მ.), ზეკარის (3506 მ.), ბახთანდაგის (3037 მ.), კუთხას (2995 მ.) და როკის (2995 მ.) უღელტეხილებისა და მ. ვაციგპარსის (3573 მ.) გავლით საზღვარი მიემართება ჩრდილოეთისკენ. თრუსოს (3132 მ.) უღელტეხილიდან იგი მიუყვება ხოხის ქედის თხემურ ნაწილს და მწვერვალ ყაზბეგიდან (5033 მ.) მიემართება ჯერ

ჩრდილოეთისაკენ და შემდეგ კი აღმოსავლეთისაკენ. მ. კაიჯონის (3914 მ.) და ზღვის დონიდან 3159 მ. სიმაღლის მთის გავლით საზღვარი ეშვება თერგის ხეობაში, კვეთს მას და ადის ოხნურის ქედზე. აქ მთავრდება საქართველოსა და ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკას შორის მდებარე საზღვარი.

ოხნურის ქედის უსახელო მთიდან (რომლის კოორდინატებია ჩ.გ. 42°50' 10" და ა.გ. 44°41'05" ხოლო სიმაღლე 3330 მ.) აღმოსავლეთით, 134,9 კმ-ის სიგრძეზე საქართველოს ესაზღვრება ინგუშეთი (36,5 კმ.) და ჩეჩნეთი (98,4 კმ.).

ოხნურის ქედიდან საზღვრის ხაზი მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, გაივლის მ. მალჩეკორტს (3669 მ.), მ. შანს (4451 მ.), მ. ბაჩახოს (4291 მ.), შემდეგ მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ, გაივლის ორ უსახელო უღელტეხილს, საჯიხვეს ღელეს (3725 მ.), სალაშქროს ღელეს (3647 მ.), მ. მარტინის მთას (3898 მ.) და არჯელომის ქედის თხემით და მ. ტერხკორტის (3209 მ.) გავლით ეშვება მდ. ასას ხეობაში. ამის შემდეგ საზღვარი კვეთს მდინარე ასას და მ. მახისმაღალის (3890 მ.) და მ. ცუზუნკორტის გავლით მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით, კვეთს მდ. არლუნს, ადის მუცოს ქედზე, შემდეგ კი თებულოს ქედის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის თხემზე. ამის მერე საზღვარი უხვევს დასავლეთით - თუშეთის ქედისკენ და მისივე თხემით და მთების - კამიტოს (4261 მ.), დონოსმთის (4174 მ.) და უსახელო მწვერვალის (3965 მ.) გავლით ადის დიკლოსმთაზე (4285 მ.).

დიკლოსმთიდან სამხრეთით, 143 კმ-ის სიგრძის სასაზღვრო მონაკვეთზე საქართველოს ესაზღვრება დაღესტნის რესპუბლიკა. დიკლოსმთიდან საზღვრის ხაზი მიემართება სამხრეთისაკენ - ბუციბაცის ქედის თხემით, მ. სარმაგღელეს (2596 მ.) გადასასვლელის გავლით კვეთს მდ. ანდის ყოისუს, ახტლის ქედის ყოდორის (2363 მ.) უღელტეხილს და მ. ნინიკასციხეს (3116 მ.). აქედან რუსეთ-საქართველოს საზღვარი უხვევს სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით და მთავრდება აღმოსავლეთით, ტინოვროსის მთაზე.²⁷

²⁷ ჯანსუღ კეკელია. „ საქართველოს ტერიტორია და საზღვრები“, თბ. 2006 წ., გვ.75-78.

VIII თავი

საქართველო-რსფსრ-ს საზღვრისპირა ზოლის განსახლება

საქართველო-რუსეთის საზღვრისპირა ზოლში 1989 წლის სტატისტიკური ცნობების მიხედვით სულ ცხოვრობდა 72410 ადამიანი. მოსახლეობის ეს რაოდენობა განლაგებული იყო 260 სოფელში. ეროვნების მიხედვით - 180 დასახლებულ პუნქტში (ყოველ მათგანში ცალ-ცალკე) 70%-ზე მეტი ქართველი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა. იგივე პროპორციით 35 დასახლებულ პუნქტში ჭარბობდა ოსი ეროვნების მოსახლეობა, 10-ში სომეხი ეროვნების, 9-ში აფხაზი, 8-ში რუსი ეროვნების. დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში კი ჭარბობდა სხვა 3-4 ეროვნების მოსახლეობა და ყოველი ეროვნების ხვედრით წილი მოცემული სოფლების მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან მერყეობდა 25-38%-ის ფარგლებში.

15 კმ-იანი სიგანის სასაზღვრო ზოლში, მთიანი რელიეფის პირობების პარალელურად განსახლების სისტემაში ასევე შეინიშნება ერთგვარი ტერიტორიული სხვაობებიც რომლებიც გამომდინარეობს განსახლების ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, სოფელთა განლაგების ხასიათიდან, მათი ხალხმრავლობის დონიდან და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობიდან.

თუ ამ ნიშნებით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ამ ზოლში შეიძლება გამოიყოს განსახლების ცხრა უბანი:

1. დასავლეთის (მდ. ფსოუ-შავიზღვისპირეთის) უბანი,
2. დოურ-ანჩხოს (ბზიფის სათავეების) უბანი,
3. აფხაზეთის სვანეთის (გენჭვიშ-საკენის) უბანი,
4. სვანეთის უბანი,
5. დები-გლოლას უბანი,
6. კვაისა-როკის უბანი,
7. მდ. თერგის ზემო წელის (ყაზბეგის) უბანი,
8. შატილი-ომალოს უბანი.
9. ნაფარეული-შილდის უბანი

განსახლების ეს უბნები უშუალო შეხებაშია საქართველოს საზღვართან.

1. დასავლეთის (მდ. ფსოუ-შავიზღვისპირეთის) უბანში სულ მოქცეულია 14 დასახლებული პუნქტი და მათში მცხოვრები მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენს 13287 კაცს. 1926 წელთან შედარებით აქ მოსახლეობის საერთო რაოდენობა (6556 კაცი) გაიზარდა ორჯერ.

სოფლები ძირითადად განლაგებულია მდ.ფსოუს ხეობაში და ზღვის პირას. ამ უბანში ძირითადი სამეურნეო სპეციალიზაციაა საკურორტო მომსახურება და სუბტროპიკული მიწათმოქმედება.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ეს უბანი ჭრელია. მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან სომხები - 41,7 %, რუსები - 25%, ქართველები - 22,2%. დაბალი იყო აფხაზი მოსახლეობის ხვედრითი წილი - 3,2%.

ამ უბანში სომეხი და რუსი ეროვნების მოსახლეობა ძირითადად XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩნდა. მაგალითად - ამ უბნის პირველი მსხვილმამუტაბიანი ტოპოგრაფიული აგეგმვის საფუძველზე შედგენილ ტოპოგრაფიულ რუკებზე დასახლებულ პუნქტებთან მინიშნებულ კომლთა რაოდენობასთან ერთად აგრეთვე მინიშნებულია რუსული ასო „А” ე.ი. აფხაზი²⁸. მოგვიანებით შედგენილ ტოპოგრაფიულ რუკებზე აფხაზური და ქართული სოფლების კომლთა რაოდენობის მაჩვენებელი აღნიშვნების გვერდით გამოჩნდა აღნიშვნები „Ap” და „P” ე.ი სომხები და რუსები²⁹.

ჩვენ არ დავიწყებთ ამ ვითარების ახსნას მაგრამ შევნიშნავთ რომ ეს რუსული იმპერიული პოლიტიკის დამსახურებაა.

2. დოურ-ანჩხოს (ბზიფის სათავეების უბანი) განსახლების უბანი ტერიტორიულად მდებარეობს მდ. ბზიფის ზემო წელში. აქ თავმოყრილია 11 დასახლებული პუნქტი. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1989 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით აქ შედგენდა 250 კაცს.

²⁸ Генеральная карта Абхазии, 1:210000, 1830г.; Отчётная карта съёмки общества Джигет и Аибг. До реки Мзымты, 1:84000, 1864г.

²⁹ Топографическая карта, XVII-17, 1903.

თერთმეტი სოფლიდან 6 სოფელში ცხოვრობს რუსი ეროვნების მოსახლეობა, ერთში აფხაზი ეროვნების, ოთხში ჭარბობენ ქართველები ხოლო დანარჩენში შერეულია ოთხი ეროვნების მოსახლეობა. მეოთხე ეროვნება აქ სომხებია და მათი რაოდენობა მცირეა.

ეს უბანი სპეციალიზაციით სახორცე-სარძევე მეცხოველეობის მიმართულებისაა. მოჰყავთ მარცვლეული კულტურებიც.

3. აფხაზეთის სვანეთის განსახლების უბანი მოიცავს მდ. აწგარას და მდ. კოდორის ზემო წელს. 1991 წლის სტატისტიკური მონაცემებით აქ ცხოვრობდა 2500 ადამიანი. ისინი განლაგებულნი იყვნენ 18 დასახლებულ პუნქტში. 1926 წელთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა ამ უბანში თითქმის ორჯერ გაიზარდა. მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით აქ წარმოდგენილია მხოლოდ მცირემოსახლეობიანი სოფლები.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მიხედვით 99% ქართველებია. მათი სამეურნეო საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლება მეცხოველეობით და მემინდვრობით.

4. სვანეთის განსახლების უბანი ძირითადად მოიცავს ზემო სვანეთის სოფლებს. 134 დასახლებული პუნქტიდან ყველაზე მსხვილ პუნქტს წარმოადგენს დაბა მესტია - 2763 მცხოვრებით. მთლიანად, XX საუკუნის დასაწყისში აღნიშნულ რაიონში ცხოვრობდა 14709 ადამიანი. 1926 წელთან შედარებით მოსახლეობა 3530 კაცით გაიზარდა. მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით აქაც მცირემოსახლეობიანი სოფლებია წარმოდგენილი. ეროვნული შემადგენლობის 100% ქართველებია. მათი სამეურნეო საქმიანობა მეცხოველეობაა.

5. ღები-გლოლას (ზემო რაჭის) განსახლების უბანი სხვებთან შედარებით სუსტადაა დასახლებული. მცირეა დასახლებათა რაოდენობაც (4 სოფელი და კურორტი შოვი) მაგრამ მათი მოსახლეობა არ არის პატარა. ისინი მოქცეულია საშუალო ხალხმრავლობის სოფელთა ჯგუფში.

რაც შეეხება ეროვნულ შემადგენლობას - ეს უბანი მთლიანად ქართველებითაა დასახლებული რომელთა საერთო რაოდენობა 1542 კაცს შეადგენს.

მათი ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობაა, მისდევენ მემინდვრობასაც.

6. კვაისა-როკის განსახლების უბანი მოიცავს მდ. ჯოჯორას, მდ. ქეშელთას და მდ. დიდი ლიახვის ზემო წელის ხეობას. 1989 წლის სტატისტიკური მონაცემებით აქ ცხოვრობდა 3321 კაცი. ამ არეალში განლაგებულია 23 დასახლებული პუნქტი, მათ შორის დაბა კვაისა. მისი მოსახლეობა 2271 კაცს შეადგენს. ამ არეალში მოცხოვრები მოსახლეობის 81% ოსი ეროვნებისაა. მათ ძირითად სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენს მეცხოველეობა და მემინდვრობა.

7. მდ. თერგის ზემო წელის (ყაზბეგის) განსახლების უბანი მდებარეობს მთიულეთის ქედის ჩრდილოეთით და მთლიანად მოიცავს მდ. თერგის ზემო წელს. აქ მოსახლეობის საერთო რაოდენობა 4496 კაცს შეადგენს. დასახლებული პუნქტების რაოდენობა 19-ია, აქედან ერთი - დაბა ყაზბეგი ადმინისტრაციული ცენტრია და მისი მოსახლეობა 1924 კაცს შეადგენს. სოფელთა მოსახლეობის რაოდენობა ძირითადად მცირეა.

რაც შეეხება მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას - 8 სოფელი ორი ეროვნების მოსახლეობითაა წარმოდგენილი ხოლო დანარჩენში კი ქართველი ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს. 1926 წელს ამ არეალში 3190 ოსი ეროვნების მოსახლე ცხოვრობდა, 1991 წლისთვის კი მათი რაოდენობა 1,5-ჯერ გაიზარდა.

მოსახლეობის ძირითად სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენს მეცხოველეობა (მეცხვარეობა). აქ მცირეა მემინდვრობისათვის ვარგისი სავარგულები.

8. შატილი-ომალოს განსახლების უბანი მაღალი მთებითაა შემოფარგლული და მოიცავს მდ. ასას ზემო წელს, მდინარეების არღუნის, ანდაქის, თუშეთისა და პირიქითა ალაზნის ხეობებს.

ეს უბანი მოიცავს 15 დასახლებულ პუნქტს. მოსახლეობის რაოდენობა 336 კაცს შეადგენს. ეროვნული შემადგენლობის კუთხით აქ მხოლოდ ქართველი მოსახლეობაა წარმოდგენილი. 1926 წელთან შედარებით აქ მოსახლეობის მატება არ შეინიშნება. ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მეცხოველეობაა (მეცხვარეობა).

9. ნაფარეული-შილდის განსახლების უბანი მოიცავს მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირსა და კავკასიონის ქედს შორის მოქცეულ ტერიტორიას. ეს უბანი ყველაზე

მჭიდროდაა დასახლებული. XX საუკუნის დასაწყისში 21 დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდა 32219 ადამიანი. ხალხმრავლობის თვალსაზრისით აქ წარმოდგენილია პატარა, საშუალო და მსხვილი დასახლებული პუნქტები.

ეროვნული შემადგენლობის კუთხით ოთხ დასახლებულ პუნქტში ჭარბობს ოსი ეროვნების მოსახლეობა, ერთში აზერბაიჯანული ეროვნების (სოფ. კაბალში) ხოლო დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში 80% მოდის ქართველი ეროვნების მოსახლეობაზე.

IX თავი

გადასასვლელთა (უღელტეხილთა) ზოგადი მახასიათებლები

მთიანი ქვეყნის საზღვრების სტრატეგიული და ეკონომიური შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მთიანი გადასასვლელების (უღელტეხილების) ზოგადგეოგრაფულ შეფასებას - მდებარეობას, სიმაღლეს, იქ არსებულ გზებს და მოქმედების პერიოდს.³⁰ ინფორმაციული თვალსაზრისით საჭიროდ მივიჩნით იმ უღელტეხილების აღწერა რომლებიც საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას აკავშირებენ.

საქართველო-სტავროპოლის (დასავლეთი) საზღვრის 73კმ-იან ზოლში განლაგებულია მხოლოდ ახუკდარას გადასასვლელი (2072 მ.). ეს გადასასვლელი მოქმედებს წლის V-IX თვეების განმავლობაში როცა იგი თოვლისგან თავისუფალია. ამ გადასასვლელით ერთმანეთს უკავშირდება მხოლოდ ორი მდინარის - მდ. ავადჰარას და მდ. მზიმთას ხეობები. მდ. ავადჰარას ხეობაში შედის კეთილმოწყობილი საავტომობილო გზა (გაგრა-რიწის ტბა, კურორტი ავადჰარა). კურორტ ავადჰარასთან უღელტეხილზე გადის მხოლოდ საურმე გზა რომელიც მდ. მზიმთას (სტავროპოლის მხარე) ხეობაშიც იგივე ფუნქციას ინარჩუნებს.

საქართველო-ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე კი 12 გადასასვლელი გვხვდება. უნდა აღვნიშნოთ რომ 176,8 კმ-ის სიგრძის საზღვარზე ყოველ 14 კმ-ში ერთი გადასასვლელი მდებარეობს და მათი მოქმედების პერიოდი განსხვავებულია. მაგალითად - დამხურცას (2425 მ.), ჩმახარას (2486 მ.), ამათას (2497 მ.), სანჩაროს (2589 მ.) უღელტეხილების მოქმედების პერიოდი მხოლოდ ხუთი თვეა (V-X თვეები) ხოლო მაგანას (2265 მ.), წყარგეხულირის (2539 მ.), ლაბას (2575 მ.) და მარუხის უღელტეხილების მოქმედების პერიოდი ოთხი თვე (VI-X თვეები). ნახარის (2839 მ.), ბზიფკიზიჩის (2997 მ.), პტიშის (2995 მ.), ქლუხორის (2781მ.), დალარის (3291 მ.) და ჩიპარის

³⁰ ზოგადგეოგრაფიული შეფასება შესრულებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოცემული 1:200000 მასშტაბის ტოპორუკებით.

(3285მ.) გადასასვლელები მოქმედებენ მხოლოდ სამი თვე (VII-X თვეები) და ისიც მხოლოდ ცხენით და ფეხით მოსიარულეთათვის. მათ შორის გამონაკლისს წარმოადგენს ქლუხორის გადასასვლელი რომლითაც ინტენსიური ავტოსატრანსპორტო კავშირები ხორციელდება ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკასთან (და არა მარტო მასთან). ზოგ შემთხვევაში მაღალი კლასის ტრანსპორტით შესაძლებელი ხდება მარუხის უღელტეხილზე გადასვლა ივნისის ბოლოდან სექტემბრის პირველ რიცხვებამდე.

საქართველო-ყაზახეთის რესპუბლიკის მონაკვეთის სასაზღვრო ზოლზე განლაგებულია 8 გადასასვლელი, მათგან არცერთი არ არის სამანქანო, აქ გადაადგილება ცხენით და ფეხით ხდება. ყველაზე ხანგრძლივად - ხუთი თვის მანძილზე მოქმედებს მხოლოდ ერთი - ბეჩოს გადასასვლელი (3367 მ.), დანარჩენი გადასასვლელები - დონღუზ-ორუნბაშის (3202 მ.), ჯანტუგანის (3483 მ.), გარვაშის (3665 მ.), მესტიის (3757 მ.), ტბიბერის (3607 მ.), კიტლოდას (3629 მ.), სემის (3789 მ.), წანერის (3887 მ.) გადასასვლელები მოქმედებენ მხოლოდ სამი თვე. მოქმედების ყველაზე მოკლე პერიოდით გამოირჩევიან შარივცეკის (3434 მ.) და გეზეცეკის (3462 მ.) უღელტეხილებზე განლაგებული გადასასვლელები.

საქართველოსა და ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკის საზღვრის ხაზის მონაკვეთზე განლაგებულია 12 უღელტეხილი. აქედან - ხუთი თვის განმავლობაში ინტენსიური სამანქანო მიმოსვლა ხორციელდება მხოლოდ მამისონის გადასასვლელზე (რაჭის ტერიტორიაზე, მდ. ჭანჭახის ხეობით). დანარჩენი გადასასვლელები გამოსადეგია ცხენით და ფეხით მოსიარულეთათვის. ამ თვალსაზრისით ხუთი თვის (V-X თვეები) განმავლობაში მოქმედებს გურძიევცეკის (3349 მ.), ბახფანდაგის (2925მ.), კუტხის (2681მ.), როკის (2995მ) და საბავის (2904მ) გადასასვლელები. მოქმედების მოკლე პერიოდით გამოირჩევა თრუსოსა (3132მ.) და ზეკარის (3270მ) გადასასვლელები. მოქმედების ყველაზე ხანგრძლივი პერიოდით ხასიათდება მხოლოდ ძედოს (2994მ) გადასასვლელი.

საქართველოსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთს შორის განლაგებულ საზღვრის ზოლზე მხოლოდ ოთხი გადასასვლელი მოქმედებს და ყველა ისინი მხოლოდ ცხენითა და ფეხით მოსიარულეთათვისაა გამოსადეგი. მათ შორის ხუთი თვით (V-X თვეები)

მოქმედებს უკერგოს (3023მ.) გადასასვლელი. დანარჩენი გადასასვლელები: სამხრისღელე (3691 მ.), სალაშქროღელე (3023 მ.) და გირევი (3552 მ.) მხოლოდ ოთხი თვე (VI-X თვეები) მოქმედებენ.

საქართველოსა და დაღესტნის რესპუბლიკას შორის მოქცეული საზღვრის ხაზზე განლაგებულია ექვსი გადასასვლელი. ყველაზე ხანგრძლივად მოქმედებს ბანთლიშეთის (2441 მ.) გადასასვლელი. აქ ექვსი თვის მანძილზეა შესაძლებელი გადასვლა. დანარჩენი გადასასვლელები - სარმაგრელეს (2596 მ.), ყოდორის (2363 მ.), ხიმრეკის (2760 მ.) მსხალგორის (2940 მ.) და მაწყალროსის (3066 მ.) მხოლოდ ოთხი თვის მანძილზე ფუნქციონირებენ.

მთლიანად საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის ხაზზე განლაგებულია 44 გადასასვლელი.

X თავი

საქართველო-რუსეთის სახმელეთო საზღვრის გზები და გადასასვლელი -

„ცხელი წერტილები“

როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი ისტორიის განმავლობაში ყველაზე ნაკლებად განიცდიდა ცვლილებებს რადგან გადიოდა ბუნებრივ ზღუდეზე - კავკასიონის ქედზე რის გამოც მკაფიოდ იყო დაფიქსირებული. თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ როდესაც რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, კავკასიის რეგიონმა განიცადა მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული ცვლილებები. მათ შორის იყო ის რომ საქართველო-რუსეთის საზღვრის სიგრძე de-facto თითქმის განახევრდა (694 კმ-დან 365 კმ-დე) და თან ეს საზღვარი ორ ნაწილად გაიხლიჩა. De-jure კი საქართველო-რუსეთის საზღვრის სიგრძე შემდეგნაირად გამოიყურება: 1. კრასნოდარის მხარე (აფხაზეთის მონაკვეთი) - 76 კმ. 2. ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა (აფხაზეთის მონაკვეთი) - 175 კმ. 3. ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა (ლენტეხისა და მესტიის რაიონების მონაკვეთი) - 114 კმ. 4. ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკა (ონის რაიონის, ე.წ. სამხრეთი ოსეთის, და ყაზბეგის რაიონის მონაკვეთები) - 166 კმ. 5. ინგუშეთის რესპუბლიკა (ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების მონაკვეთი) - 62,4 კმ. 6. ჩეჩნეთის რესპუბლიკა (ახმეტისა და დუშეთის რაიონების მონაკვეთი) - 84 კმ. 7. დაღესტნის რესპუბლიკა (ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის და ახმეტის რაიონების მონაკვეთი) - 148 კმ.

საბჭოთა პერიოდში რუსეთი საქართველოს სამი ძირითადი სატრანსპორტო დერეფნით უკავშირდებოდა: მდ. ფსოლზე გადებული საავტომობილო და სარკინიგზო ხიდებით, როკის საავტომობილო გვირაბით და ლარსიდან - საქართველოს სამხედრო გზით³¹. ამჟამად მხოლოდ ლარსი დარჩა ერთადერთ ლეგალურ დერეფნად საქართველო-რუსეთის საზღვარზე. თუმცა, როგორც ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არემიძე მიიჩნევს ამჟამად რუსეთი

³¹ „დაუყოვნებლივ გაარემონტეთ, ჩვენ საქართველოში მიმავალი კიდევ ერთი გზა გვჭირდება!“ - პუტინი // კვირის პალიტრა. - 2014. - 20 ოქტომბერი

ცდილობს საქართველოს სამხედრო გზის ხელში ჩაგდებას, ისევე როგორც ოსეთის სამხედრო გზის³².

საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ხელში ჩაგდება არის ნაწილი იმ რბილი ძალის პოლიტიკისა რომლის გატარებაც აგვისტოს ომის შემდგომ რუსეთმა დაიწყო საქართველოს მიმართ. ასევე, რუსეთისთვის ეს არის საშუალება დაუახლოვდეს თავის უახლოეს მოკავშირეს სამხრეთ კავკასიაში - სომხეთს და ამავე დროს შეძლებისდაგვარად გაამლიეროს ეკონომიკური კავშირები საქართველოსთან რამაც უნდა მოახდინოს საქართველოს პოლიტიკური გეზის კორექტირება. მიუხედავად ამ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებისა, მნიშვნელოვან საკითხად რჩება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთი ოსეთის მისამართით გატარებული მოსკოვის პოლიტიკა და ასევე საქართველო-რუსეთის საზღვრის მოწესრიგება.

2010 წელს როდესაც რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოსკოვსა და თბილისს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, საქართველომ დააყენა არაკონტროლირებად რეგიონებში მდებარე სასაზღვრო-გამშვები პუნქტების (ფსოუს და როკის) ადმინისტრირების - ანუ ერთობლივი გაკონტროლების საკითხი საერთაშორისო ორგანიზაციების მონიტორინგის თანხლებით³³ თუმცა ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. რუსეთი გაწევრიანდა ამ კავშირში მაგრამ ფსოუს და როკის სასაზღვრო პუნქტები კვლავ საქართველოს კონტროლის მიღმა რჩებიან.

1.1. სოხუმის სამხედრო გზა

საქართველო-რუსეთის საზღვრის ოკუპირებული აფხაზეთის მონაკვეთის გასწვრივ მდებარეობს 18 უღელტეხილი რომლებიც საქართველოს ტერიტორიას აკავშირებს ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკასთან. სახმელეთო საზღვრის

³² ეკა ბასილაია, კოდორის ხეობის გავლით აფხაზეთისა და ჩრდილო კავკასიის დამაკავშირებელი გზა გაჰყავთ, http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=155

³³ კახა მჭედლიძე: როგორ განხორციელდება ფსოუს და როკის სასაზღვრო-გამშვები პუნქტების ადმინისტრირება თუ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების სანაცვლოდ მათი ლეგალიზება მოხერხდა <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1549950.html>

მონაკვეთის თითქმის უმეტესი ნაწილი მოდის მაღალმთიანეთზე რომელიც დაფარულია მცინვარების უწყვეტი ზოლით და სადაც უღელტეხილთა სიმადლე 2,5 კმ-ს აღწევს. თუმცა ზაფხულის გარკვეულ მონაკვეთში შესაძლებელია ამ უღელტეხილებზე გადასვლა. ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტად ამ მხრივ რჩება კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის დასავლეთ ნაწილში მდებარე, ქლუხორის უღელტეხილზე გამავალი სოხუმის სამხედრო გზა რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ჩრდილოეთი კავკასიიდან საქართველოში შემოდღევა. კერძოდ, ეს გზა შემოდის კოდორის ხეობაში (დალის ხეობა) რომელსაც ყოველთვის ეჭირა სტრატეგიული მნიშვნელობა რადგან შავი ზღვის ნავსადგურებზე გასასვლელ დერეფანს წარმოადგენს.

1992-93 წლების აფხაზეთის ომის დროს და ომის შემდგომაც კოდორის ხეობა კონტროლირდებოდა ქართული მხარის მიერ რაც 2008 წლის აგვისტოს ომამდე ქართული მხარის მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობად ითვლებოდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კოდორის ხეობასთან ერთად დაიკარგა არსებული 12 სასაზღვრო პუნქტი და უღელტეხილები. ერთ-ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის წერტილი ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასიის დამაკავშირებელ ჯაჭვში არის - ქლუხორის უღელტეხილით გამავალი სოხუმის სამხედრო გზა³⁴. აფხაზეთის ოკუპაციისთანავე კოდორის ხეობა მთლიანად მოექცა რუსეთის კონტროლის ქვეშ რამაც გამოაცოცხლა სამხედრო გზის აღდგენის პროექტი - ყარაჩაი-ჩერქეზეთის და აფხაზეთის დაკავშირება საავტომობილო გზით კოდორის ხეობის გავლით³⁵. აფხაზეთის ყოფილი დე-ფაქტო ხელმძღვანელი ალექსანდრე ანქვაბი არ იყო სოხუმი-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის გადრმავების მომხრე რაც სხვათა შორის გამოიხატებოდა იმაში რომ ის არ უჭერდა მხარს და ეწინააღმდეგებოდა სოხუმის სამხედრო გზის აღდგენას. მისგან განსხვავებით აფხაზეთის ამჟამინდელი დე-ფაქტო მეთაური რაულ ხაჯიმბა მიიჩნევს რომ რუსეთთან უნდა განვითარდეს ყველანაირი კავშირი, მათ შორის -

³⁴ სიმონ კილაძე: „სოხუმის სამხედრო გზა” - ისტორია და თანამედროვეობა, http://expertclub.ge/portal/cnid_5448/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx

³⁵ კოდორის ხეობის გავლით აფხაზეთისა და ჩრდილოეთი კავკასიის დამაკავშირებელი გზა გაკავთ: http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=155

ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა³⁶. სოხუმის სამხედრო გზა რუსეთს ძირითადად ესაჭიროება სტრატეგიული მიზნებისათვის როგორც რუსეთიდან აფხაზეთში გამავალი ალტერნატიული მარშრუტი. ჯერჯერობით რუსეთიდან აფხაზეთში გადის მხოლოდ ერთი სახმელეთო მარშრუტი - სოჭიდან (კრასნოდარის მხარე). ასე რომ რუსეთს ამომრავებს არა იმდენად დომბაის კურორტების შავიზღვისპირეთის სანაპიროსთან დაკავშირების სურვილი რამდენადაც „არაფრით არ უნდა რომ ჩრდილოკავკასიელებს კიდევ ერთი დამოუკიდებელი დამაკავშირებელი არტერია ჰქონდეთ შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან, უპირველეს ყოვლისა კი თურქეთთან“³⁷.

1.2. მამისონის უღელტეხილი

საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკის მონაკვეთზე, (რომელიც მოიცავს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ე.წ. სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ნაწილსაც) მდებარეობს რამდენიმე უღელტეხილი: ბახფანდაგი, ზეკარა, როკის და მამისონის უღელტეხილები. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს რადგანაც აკავშირებს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას (ამ უღელტეხილზე გადის ე.წ. ოსეთის სამხედრო გზა) და გარდა ამისა წარმოადგენს ე.წ. სამხრეთი ოსეთის მარცხენა ფლანგის სტრატეგიულ პუნქტს. ქართველი ექსპერტების ნაწილის აზრით როკის გვირაბი სამხედრო თვალსაზრისით საკმაოდ დაუცველია რაც იმის მიზეზი გახდა რომ რუსეთი აუცილებლად მიიჩნევს სარეზერვო გზის გაყვანა-განახლებას მამისონის უღელტეხილის გავლით³⁸ რადგან ჯავასა და ცხინვალში ჩასვლა (სადაც რუსეთის საოკუპაციო ჯარების სამხედრო ბაზებია განთავსებული) ამჟამად მხოლოდ როკის

³⁶ ეკა ბასილაია: კოდორის ხეობის გავლით აფხაზეთისა და ჩრდილოეთი კავკასიის დამაკავშირებელი გზა გაჰყავთ; http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=155

³⁷ გოჩა გუნიავა: ასე იყო 200 წლის წინათაც. http://rus.expertclub.ge/portal/cnid_2299/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx

³⁸ ოკუპანტები როკის გვირაბის ალტერნატიული გზის მშენებლობას შეუდგნენ; http://expertclub.ge/portal/cnid_9098/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx

გვირაბით არის შესაძლებელი³⁹. მეორე მხრივ კი რუსეთი ხვდება რომ მის შემადგენლობაში შემავალი კავკასიური რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია ტურისტულ-ინფრასტრუქტურული ბაზის განვითარებაზეც და ამიტომ ამ რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობას გეგმავს⁴⁰. გამომდინარე აქედან რუსეთს არ სურს რომ ეს ტერიტორია უშუალოდ ესაზღვრებოდეს საქართველოს რის გამოც მაგალითად 2009 წელს მამისონის უღელტეხილზე ქართულ მხარეს მუქარით დაათმობინა 20 კმ. ტერიტორია. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ ამჟამად საქართველო-რუსეთის საზღვარზე 44 გადასასვლელიდან 20-ს რუსეთი აკონტროლებს⁴¹.

1.3. როკის გვირაბი

საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკის მონაკვეთზე, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს როკის უღელტეხილი რომელიც ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას და აკავშირებს საქართველოს მეორე ოკუპირებულ რეგიონს - ე.წ. სამხრეთ ოსეთს ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკასთან. საბჭოთა ხელისუფლების დროს საფუძველი ჩაეყარა როკის უღელტეხილის გავლით დამაკავშირებელი სამანქანო გზის მშენებლობის იდეას რომელიც 1986 წელს განხორციელდა კიდეც. კავკასიის ქედი იყო ბუნებრივი ზღუდე და ბუნებრივი ზღუდის „გაჭრის“ იდეა ემსახურებოდა არა მხოლოდ რეგიონის ეკონომიკური საკომუნიკაციო გზების განვითარებას არამედ ამას ასევე თან ახლდა პოლიტიკური მომენტიც რომელმაც „უდიდესი უარყოფითი როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებისა და

³⁹ მოსკოვი და ცხინვალი როკის გვირაბის ალტერნატიულ გზას მამისონის ხეობაში აშენებენ; <http://www.interpressnews.ge/ge/konfliqtebi/6749-moskovi-da-ckhinvali-rokis-gvirabis-alternatiul-gzas-mamisonis-kheobashi-asheneben.html?ar=A>

⁴⁰ სწორედ საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნური მონაკვეთის მახლობლად, არღუნის ხეობაში ჩეჩნეთის რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი არის სამთო-სათხილამურო კურორტის მშენებლობა. „კადიროვი არღუნის ხეობის ათვისებას იწყებს“; http://expertclub.ge/portal/cnid_3196/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx

⁴¹ „საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ტერიტორიების დაკარგვა გაგრძელდება“: საქართველო-რუსეთის საზღვარზე 44 გადასასვლელიდან 20-ს რუსეთი აკონტროლებს: ინტერვიუ/მამუკა არემიძე; ესაუბრა ხათუნა პაიჭაძე//კვირის პალიტრა. - 2010. - 1 - 7 თებერვალი. - N5 (809). - გვ. 5;

ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში 1990 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე და დღემდე⁴².

2008 წლის აგვისტოს ომამდე როკის გვირაბში (რომლის სიგრძე დაახლოებით 4 კმ. შეადგენს) კონცენტრირებული იყო რუსული სამხედრო ტექნიკა რაც შემდგომ გამოყენებულ იქნა საქართველოს წინააღმდეგ. სამხედრო თვალსაზრისით ამ გვირაბის მწყობრიდან გამოყვანა რთული ამოცანა იყო თუმცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. როგორც ჯერ კიდევ ომამდე აღნიშნავდა რუსი სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი - „როკის გვირაბის მწყობრიდან გამოყვანის ან განადგურების შემთხვევაში რუსეთის ჯარს არ შეეძლებოდა არც ერთი სახმელეთო ოპერაციის განხორციელება სამხრეთ კავკასიაში“⁴³. საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნების თვალსაზრისით კი როკის გვირაბის მწყობრიდან გამოყვანა შეიძლება უფრო საშიში ყოფილიყო რადგან ეს გვირაბი რუსული მხარის მიერ განიხილებოდა როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გზა ხალხის ევაკუაციისათვის და ამიტომაც ამ გზის ჩაკეტვა (ან განადგურება) ომის პერიოდში გამოიწვევდა იმას რომ რუსეთის ფედერაცია ჰუმანიტარული დერეფნის გახსნის საფუძველზე დაიკავებდა საქართველოს რომელიმე სხვა ტერიტორიას (მაგალითად დარიალის ხეობას).

1.4. თრუსოს ხეობა

კიდევ ერთი ტერიტორია რომელიც მომავალი სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების კუთხით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად შეიძლება იქცეს - არის კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში (ყაზბეგის რაიონში) მდებარე თრუსოს ხეობა. ოსური მოსახლეობით დასახლებული ხეობის სოფლები 1990-იან წლებში, საყოველთაო მატერიალური სიდუხჭირის გამო თანდათანობით დაიცალა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ კი ოსურ რეალობაში ე.წ. სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო ყოფილი მეთაურის ე. კოკოითის მიერ შემოგდებულ იქნა

⁴² „შავი ხვრელი“ საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე ჩაწყობით გაუთხარეს (!) კვირის პალიტრა. - 2010. - 7 - 13 ივნისი. - N23 (827). - გვ.8

⁴³ М. Урушадзе. Рокский Тоннель // Псевдоконфликты и квазимиротворчество на Кавказе. Тбилиси 2009. С. 123

თრუსოს ხეობის (ასევე გუდის და კობის ხეობების) - როგორც ოსური ისტორიული მიწების თემა რომლებიც „ოსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ და მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ, უცნობი მიზეზების გამო, ხელოვნურად იქნენ მიერთებული საქართველოსთვის“⁴⁴.

ოსური მედიით გაჟღერებული კოკოითის მსგავსი განცხადებები თრუსოს ხეობის „დაბრუნებაზე“ და „ერთიანი ოსეთისთვის მიერთებაზე“⁴⁵ უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ოსი „პოლიტიკოსის“ პოპულისტური განცხადებები რომლებიც შიდა მოხმარებისთვისაა გამიზნული პოლიტიკური ქულების დასაწერად არამედ ასევე შეიძლება განხილულ იქნას როგორც პოლიტიკური გზავნილი ქართული მხარისათვის რომლის სარჩული შეიცავს შემდეგ მიზანს: მიუთითოს საქართველოს რომ მოსკოვს გააჩნია მასზე ზემოქმედების ბერკეტები. საქმე იმაში მდგომარეობს რომ ყაზბეგის რაიონში მდებარე თრუსოს, კობის და გუდის ხეობები ძალზე სტრატეგიული მნიშვნელობისაა, ისინი საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობენ. ამასთან ერთად ამ ხეობებს სტრატეგიული როლის გვირაბიდან მხოლოდ 15 კმ. აშორებთ. სამხედრო თვალსაზრისით, თეორიულად ქართულ მხარეს შეუძლია სამხედრო ამოცანის შესრულება და თრუსოს ხეობიდან სპეციალური საარტილერიო დანადგარების საშუალებით იერიშის მიტანა როკის გვირაბის სამხრეთი პორტალიდან გამომავალ გზაზე და უღელტეხილის ფერდობებზე. მათი ჩამოშლის შემდეგ ჯავისა და ცხინვალისკენ მომავალი გზა დროებით მაინც ჩაიკეტება⁴⁶.

მეორე მხრივ, რუსეთისათვის „ამ რაიონის (თრუსოს ხეობის - კ.ლ) კონტროლი საქართველოს სამხედრო გზის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მონაკვეთის გაკონტროლების საშუალებას იძლევა რომელიც რუსეთიდან სომხეთში ყველაზე მოკლე გზას წარმოადგენს“⁴⁷.

⁴⁴ გოგი მაისურაძე, მორიგი სამიზნე – თრუსო;

http://expertclub.ge/portal/cnid_2049/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx

⁴⁵ ახალი ტერიტორიული პრეტენზიები ახალი ომის დაწყების საბაზად? კვირის პალიტრა. - 2009. - 3 - 9 აგვისტო. - N31(783). - გვ.9

⁴⁶ როკის გვირაბის საიდუმლოებანი... : "შავი ხვრელი" საქართველოს კოსიგინთან საქმის ჩაწყობით გაუთხარეს(!) // კვირის პალიტრა. - 2010. - 7 - 13 ივნისი. - N23 (827). - გვ.8

⁴⁷ მოსკოვი ე.წ. ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის გაერთიანებაზე მუშაობს; http://www.for.ge/view.php?for_id=37143&cat=3

ამიტომ ოსური საინფორმაციო გზავნილები თრუსოს ხეობის თაობაზე იდეოლოგიური ომის ნაწილია და ემსახურება ნიადაგის მომზადებას მომავალი მოქმედებისათვის მაგრამ რაში შეიძლება გამოიხატოს ეს მოქმედება? ექსპერტმა კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძემ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დააანონსა რომ შესაძლოა რუსეთმა „სამხედრო გზა გადაჭრას გუდაურამდე და ყაზბეგი დაიკარგოს“⁴⁸. თუმცადა მოვლენების ასეთი განვითარება მხოლოდ უფრო მასშტაბური პოლიტიკური-სამხედრო მოვლენების ფონზეა შესაძლებელი.

1.5. ყაზბეგი - ზემო ლარსი

საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკის მონაკვეთთან მოსაზღვრე კიდევ ერთი რაიონი - ყაზბეგის რაიონი, დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული წერტილია საქართველო-ჩრდილოეთი კავკასიის დამაკავშირებელ ჯაჭვში რადგანაც ზუსტად კავკასიონის მთავარ ქედზე - ჯვრის უღელტეხილზე და დარიალის ხეობაზე მრავალი საუკუნის განმავლობაში გადიოდა ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასიის დამაკავშირებელი გასასვლელი - საქართველოს სამხედრო გზა რომელიც თბილისსა და ვლადიკავკაზს აკავშირებდა (სიგრძე 208 კმ).

1993 წელს თბილისსა და მოსკოვს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე - „სასაზღვრო საბაჟო-გამშვები პუნქტების შესახებ“ - ფუნქციონირება დაიწყო საკონტროლო-გამშვებმა პუნქტმა - „ყაზბეგი-ზემო ლარსი“ - როგორც ერთადერთმა ლეგიტიმურმა გამშვებმა პუნქტმა რომლითაც შესაძლებელია სახმელეთო მიმოსვლა საქართველოს და რუსეთს შორის.

თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეს სასაზღვრო პუნქტი წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ბერკეტს კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში. 2006 წელს გართულებული რუსულ-ქართული ურთიერთობების ფონზე, რუსეთმა ყაზბეგი ზემო-ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი რემონტის საბაბით დაკეტა. ერთი მხრივ მან ამით დასაჯა საქართველო, მეორე მხრივ კი

⁴⁸ „საქართველოს დიდი საფრთხე ემუქრება“// „სარკე“, 22 აგვისტო, 2009 წელი.

დააზარალა მოკავშირე სომხეთი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გზაა სომხეთისთვის რადგანაც ის მას გარესამყაროსთან აკავშირებს. გარდა ამისა სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებულია რუსეთის სამხედრო ბაზა რომლის ფუნქციონირება და არსებობა სხვათა შორის დამოკიდებულია იმ გზაზეც რომელიც საქართველოზე გადის.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ - „ლარსი წმინდა გეოსტრატეგიული მნიშვნელობისაა. საბჭოთა დროიდან ლარსიდან იყო რუსეთის სამხედრო ტექნიკის სატრანზიტო კვანძი სომხეთის მიმართულებით. ის უმოკლესი გზაა რუსეთიდან სომხეთისაკენ. დღეს ლარსის გავლით რუსეთი სამხედრო ტექნიკას ვერ გადაიტანს მაგრამ სომხეთში არსებული რუსული სამხედრო ბაზისათვის არასამხედრო ტვირთების გადატანა ხორციელდება. ამას გარდა, ლარსი ეკონომიკური თვალსაზრისით სომხეთისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სატრანზიტო კორიდორია“⁴⁹.

რუსეთი არა მხოლოდ იყენებს საზღვრის გახსნის-დაკეტვის ბერკეტს არამედ თვითნებურად ახდენს საზღვრის დემარკაციასაც. ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროს რუსულმა მხარემ ლარსის გამშვები პუნქტიდან ორი კილომეტრით გადმოწია საზღვარი რის შედეგადაც მოუხერხებელი გახდა მყინვარწვერზე მოხვედრა⁵⁰. საზღვრის თვინებური მიტაცების მსგავსი მაგალითები მოხდა 2009 წელს თუშეთშიც როდესაც დიკლოსმთის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსმა მესაზღვრეებმა საზღვარი თვითნებურად სამი კილომეტრით გადმოსწიეს და მიიტაცეს 24 კვ.კმ

1.6. ასას ხეობა

საქართველო-რუსეთის საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთს (რომელსაც საქართველოს მხრიდან ესაზღვრება ყაზბეგის და დუშეთის რაიონი - პირიქითა

⁴⁹ ვახტანგ შამუგია. კარგი საბაჟო და ცუდი გზა - საქართველოს სამხედრო გზაზე მოძრაობა ყოველწლიურად იზრდება http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=19374

⁵⁰ საქართველოს ტერიტორიის 5 % უომრადაა დათმობილი - საზღვრების გადმოწევის საგანგაშო სტატისტიკა, http://intermedia.ge/სტატია/12462-საქართველოს_ტერიტორიის_5%_უომრადაა_დათმობილი_საზღვრების_გადმოწევის_გამო/20/

ხევსურეთი) კვეთს ორი გასასვლელი - ასას და ჯეირახის ხეობები. ქართულ-ინგუშური კეთილი ურთიერთობებიდან გამომდინარე საზღვრის ეს მონაკვეთი არასოდეს არ იყო არც საშიში და არც საფრთხისმომცველი თუმცა რუსულ-ჩეჩნური საომარი მოქმედებების დროს საზღვარი არაერთხელ იქნა გადაკვეთილი ჩრდილოეთკავკასიელი მეზრძოლების მიერ. სასაზღვრო ტერიტორია (პირიქითა ხევსურეთი) შედგება სამი ხეობისაგან: მიღმახევის, შატილის და არხოტის. არც ქართულ და არც რუსულ საგუშაგოებთან არც ერთი დასახლებული პუნქტი არ არის და ტერიტორია მთლად დაცლილია. შატილიდან სამ კილომეტრში, არღუნის ხეობაში, ერთმანეთისგან 700 მეტრის დაშორებით მდებარეობს ქართული და რუსული პოსტები. „ქართულ საგუშაგომდე და რუსების საგუშაგომდე არც ერთი ქართული სოფელი არ არის“⁵¹. ქართულ მხარეს მდებარეობს ნასოფლარი ანატორი, ჩეჩნურ მხარეს კი ნასოფლარი მალხისტა. შატილის ხეობის პარალელურად მისგან ქედით გამოყოფილი მიღმახევის ხეობაა განლაგებული.

ამ ეტაპზე ამ რეგიონში სხვა რეგიონებთან შედარებით ნაკლებად სავარაუდოა დესტაბილიზაციის განვითარება.

1.7. პანკისის ხეობა

საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთი დაახლოებით 82 კილომეტრს შეადგენს და აქ მრავლად არის საცალფეხო გადმოსასვლელები. ამ მონაკვეთის მახლობლად, მდინარე მდინარე ალაზნის ზემო წელზე მდებარეობს პანკისის ხეობა (ტერიტორიულად მიეკუთვნება ახმეტის რაიონს) რომელიც დაახლოებით 15 კმ. სიგრძესა და 4 კმ. სიგანეზეა გადაჭიმული. ისტორიულად პანკისის ხეობა იყო დამაკავშირებელი ჯაჭვი და გადასასვლელი საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში (ჩეჩნეთში). ხალხთა მიმოსვლამ ზეგავლენა იქონია იმაზე რომ XVI საუკუნიდან მოყოლებული ხეობაში ვაინახური ტომის წარმომადგენლების (ქისტების) კომპაქტური დასახლებები გაჩნდა.

⁵¹ ლელა ოჩიაური: ჩამოსახლდნენ თუ არა ჩეჩნები შატილში;
http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=6&id_artc=1136

1990-იანი წლების დამლევდიან მოყოლებული პანკისის ხეობა რჩებოდა ერთ-ერთ მთავარ პრობლემატურ წერტილად საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში, განსაკუთრებით რუსეთ-ჩეჩნეთის ომების დროს როდესაც ხეობას თავი შეაფარა როგორც ჩეჩენმა ლტოლვილმა მოსახლეობამ, ასევე რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლმა ფორმირებებმა⁵².

1999-დან 2001 წლამდე პანკისის ხეობა კრიმინალურ ანკლავად გადაიქცა რომელზეც ქვეყნის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა⁵³. ამან ხელი შეუწყო ხეობაში არაბული ქვეყნების იმ წარმომადგენლების ზეგავლენის ზრდას რომლებიც პანკისის გავლით ჩეჩნეთში ჩადიოდნენ. ამის შედეგად პანკისის ხეობის მოსახლეობის ნაწილი მიემხრო რადიკალურ ისლამს - ვაჰაბიზმს. ამან რუსეთს საშუალება მისცა რომ ესარგებლა სიტუაციით და პანკისის ხეობა ტერორისტების საწვრთნელ ბაზად გამოეცხადებინა ხოლო 2001 და 2002 წლებში დაეპოშა კიდევ.

2004 წლის შემდეგ, ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულმა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ თანდათანობით აღადგინა წესრიგი ხეობაში. ამასთანავე ამ მოვლენებს დაემთხვა ჩეჩნეთის მეორე ომის დასრულება რამაც ხეობას თანდათანობით ჩამოაშორა ფეთქებადსაშიში წერტილის სახელი.

საქართველოში ანკლავად მოქცეული პანკისის ხეობა როგორც სტრატეგიული ობიექტი ნაკლებად შეიძლება იქნას განხილული როგორც რუსეთის დაინტერესების მიზანი, იმის მიუხედავადც კი რომ რომ *„პანკისის მიმდებარე ტერიტორიაზე ქედის იქით არის სიმაღლე რომლის მფლობელიც პრაქტიკულად დაღესტნიდან, ინგუშეთიდან და ჩეჩნეთიდან გადმომავალ სამ ხეობას აკონტროლებს“*⁵⁴.

წლების განმავლობაში რუსეთის ტაქტიკა ამ ხეობასთან მიმართებაში შემოიფარგლებოდა ჩეჩნური ფაქტორის გამოყენებით და მომავალშიც საჭიროების

⁵² რატომ ჰყავს რუსეთს მობილიზებული სამხედრო ძალა საქართველოს ყველა უღელტეხილთან და რატომ ემუქრება საქართველოს „რუსეთის ჟანდარმად“ ქვეყნის საფრთხე // თბილისელები 2010 N 19.

⁵³ ირაკლი ალასანია: პანკისის ხეობა ისევ საფრთხეშია?: "პიტერ შოუს გათავისუფლება ბევრი დამთხვევის წყალობაა" : ინტერვიუ / ირაკლი ალასანია ; ესაუბრა იზო რიკაძე // კვირის პალიტრა. - 2009. - 26 ოქტომბერი - 1 ნოემბერი. - N42(795). - გვ.11

⁵⁴ ზაალ კასრელიშვილი: „რუსეთი ხედავს, რომ კავკასია ხელიდან დომინოს პრინციპით ეცლება“ : "ვინც პანკისის ხეობას ფლობს, ის პრაქტიკულად სამ ხეობას აკონტროლებს" : ინტერვიუ / ზაალ კასრელიშვილი ; ესაუბრა ეკა ასათიანი // კვირის პალიტრა. - 2009. - 4 - 10 მაისი. - N18 (770). - გვ.8

შემთხვევაში რუსეთი სწორედ ამ ფაქტორს შეიძლება დაეყრდნოს. კერძოდ, ხეობა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც რადიკალური ისლამის გავრცელების არეალი. თანამედროვე პროცესების კონტექსტში მნიშვნელოვანია იმ ფაქტორის გათვალისწინება რომ ხეობის ზოგიერთი მკვიდრი (ქისტები) ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე ბრძოლებში იღებს მონაწილეობას, კერძოდ სირიასა და ერაყის ჩრდილოეთში მოქმედი „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფებებში რომელიც სხვათა შორის რუსეთსაც მიიჩნევს გასანადგურებელ სამიზნედ. ამრიგად, შესაძლოა რამდენიმე წლის წინანდელი ისტორია განმეორდეს და კრემლმა „კვლავ წინა პლანზე წამოსწიოს პანკისის ხეობის თემა და განაცხადოს, რომ რუსეთის უსაფრთხოებას საშიშროება ემუქრება“⁵⁵.

თუმცა იმ დროდან როდესაც რუსეთი პანკისის ხეობის განეიტრალებას საჭირო საშუალებებით ცდილობდა, ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის სახმელეთო გზები ხეობამდე. როგორც ექსპერტი კავკასიის საკითხებში ზაალ კასრელიშვილი აღნიშნავს - „2009 წელს რუსეთის ძალისხმევით დამთავრდა არღუნის ხეობიდან შატლამდე ცენტრალური მაგისტრალის მშენებლობა... ეს გზა არ არის ავტობანი მაგრამ ტექნიკის გადასაადგილებლად და ცოცხალი ძალის გადმოსასროლად სავსებით ვარგისია“⁵⁶.

1.8. ავარეთ-კახეთის გზა

საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთს (რომელსაც საქართველოს მხრიდან ესაზღვრება ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის, ახმეტის რაიონები) კვეთს რამდენიმე მნიშვნელოვანი უღელტეხილი: ვანტლიაშეთი, ჩილასალდისთავი, ხიმრიკი, ყადორი, მსხალგორა და მაჩხალროსა. საზღვრის გადაკვეთა შესაძლებელია მხოლოდ საცალფეხო გადასასვლელებით. ფაქტობრივად, აღმოსავლეთი საქართველოსა და ჩრდილოეთი კავკასიის დამაკავშირებელი გზა არ არსებობს.

⁵⁵ რუსეთი და საქართველო პანკისის ხეობაში ერთობლივ სპეცოპერაციას ჩაატარებენ?

⁵⁶ ზაალ კასრელიშვილი...- გვ.8

ასეთი გზის მშენებლობის აუცილებლობა განსაკუთრებულად აქტუალური გახდა მოსკოვისათვის 2008 წლის ომის შემდეგ. თუმცა „გზის აღდგენაში რუსეთის ინტერესები ჯერ კიდევ 2008 წელს გამოიკვეთა როდესაც აგვისტოს ომამდე რამდენიმე თვით ადრე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი დაღესტნის მთიანეთში არსებულ სამხედრო ბაზას ესტუმრა. პუტინი კამერების წინ დაინტერესდა, რამდენად შეძლებდა სამხედრო აღჭურვილობა ამ მიმართულებით მოძრაობას“⁵⁷

2014 წელს კრემლი შეეცადა გაეცოცხლებინა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს არსებული ავარეთ-კახეთის დამაკავშირებელი გზის პროექტი რომელიც „დაღესტნის ბეჟტის რაიონიდან ჰკვეთს კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს და უერთდება ყვარლის მუნიციპალიტეტში არსებულ გრუნტის გზას. აღსანიშნავია, რომ ამ გზის მონაკვეთი კავკასიონის ქედის ყველაზე დაბალ წერტილში მდებარეობს, რაც შესაძლებელს ხდის მაგისტრალის შეუფერხებელ მუშაობას ყველა სეზონის განმავლობაში. სწორედ ეს განაპირობებს გზის რესპექტაბელობას“.⁵⁸

გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს ამ გზის მშენებლობა ადგილობრივი დაღესტნელების წარმომადგენელთა ინიციატივით დაიწყო თუმცა 1997 წელს საქართველო-რუსეთის საზღვარზე რუსებმა სასაზღვრო-გამშვები პუნქტი დააყენეს და მალე გზის საკითხი დაიხურა. ჩვენს დროში გაცოცხლებულმა პროექტმა ქართველი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების რადიკალურად განსხვავებული შეფასებები დაიმსახურა. მთავარი კითხვა რომელიც დაისვა ასე ჟღერს: რას ემსახურება გზის ამ მონაკვეთის აღდგენა ანუ რამდენად შეუწყობს ხელს ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას ამ რეგიონში და რამდენად იქნება გამოყენებული სამხედრო მიზნებისათვის?

ნაკლებად მისაღებია რუსეთის არგუმენტები იმის შესახებ რომ გზის მშენებლობა ემსახურება ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ მიზნებს „რათა საქართველომ ეფექტურად შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის როლი და

⁵⁷ თიკა ნიკოლაძე, ავარეთ-კახეთის მაგისტრალი - რბილი ძალა თუ სამხედრო დანიშნულება; <http://www.24saati.ge/news/story/43951-avaret-kakhetis-magistrali-rbili-dzala-tu-samkhedro-danishnuleba>

⁵⁸ დაღესტან-კახეთის გზა, როგორც მეორე როკის გვირაბი; <http://www.fmabkhasia.com/news/9142-daghestan-kaxethis-gza-rogorc-meore-rokis-gvirabi.html>

მაგალითად, ევრაზიული კავშირის წევრი სომხეთიდან პროდუქცია უფრო მარტივად მოხვდეს დაღესტანში და პირიქით”. დღეისათვის არსებობს საქართველოს სამხედრო გზა რომელიც ამ ფუნქციას საკმარისად ასრულებს ხოლო ალტერნატიული მარშრუტის საკითხის დაყენება, ეკონომიკური თვალსაზრისით და არსებული რეალობიდან გამომდინარე სრულიად არაადამაჯერებელია⁵⁹.

ქართველ ექსპერტთა და პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილი არ იზიარებს საქართველოს მთავრობის ხედვას რომ „რაც უფრო მეტი გზა იქნება, მით უკეთესია”⁶⁰ და ხაზს უსვამს იმ საფრთხეებს რომლებიც ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაშია შესაძლებელი. შექმნილ ვითარებას ეს ექსპერტები აფასებენ როგორც *“როკის გვირაბის სინდრომი”*⁶¹ ანუ მიიჩნევენ რომ ამ გზის მშენებლობა ყველაზე პესიმისტური სცენარით შეიძლება ისეთივე საფრთხის შემცველი გახდეს როგორც არის როკის გვირაბი⁶². უდავოა რომ ეს გზა შეასუსტებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას რუსეთთან მიმართებაში.

ის ფაქტი რომ *„კრემლს მუშაკის უღელტეხილზე სამანქანო გზის აღდგენა სურს არა ეკონომიკური, არამედ სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების გამო”*⁶³ თითქმის ყველა სამხედრო ექსპერტის მიერაა აღიარებული. ისინი ამას უკავშირებენ ირანის მიერ ბირთვული იარაღის შემუშავებას და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ადეკვატური ზომების მიღებას რაც სხვათა შორის სამხედრო ინტერვენციასაც ითვალისწინებს. გზის მშენებლობით რუსეთი ცდილობს სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ აზერბაიჯანში შესაღწევად შესაბამისი

⁵⁹ 2010 წელს რუსეთმა დაასრულა ზემო ლარსის საბაჟო გამშვები პუნქტის რეაბილიტაცია, რომლის მიზანი იყო გამტარიანობის გაზრდა;

⁶⁰ კვირიკაშვილი ავარეთ-კახეთის გზაზე: რაც უფრო მეტი გზა იქნება, მით უკეთესი// <http://www.tabula.ge/ge/story/88540-kvirikashvili-avaret-kaxetis-gzaze-rac-ufro-meti-gza-iqneba-mit-uketesi>

⁶¹ ავარო-კახეთის გზა - როკის გვირაბის სინდრომი კახეთში; <http://newposts.ge/?l=G&id=58523-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%90,%20%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D,%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98>

⁶² ვითარებას ამძიმებს ის გარემოებაც რომ ახალი გზა დაღესტანს კახეთის იმ სოფლებს დაუკავშირებს რომლებიც ძირითადად ავარელებითაა დასახლებული (ტივი, სარუსო, ჩანტლისყურე). სავიზო რეჟიმის არსებობის პირობებში, გზის მშენებლობა სულაც არ უხსნის გზას ავარელებს მშობლიურ დაღესტანამდე მაგრამ კრემლი შეეცდება ამ ადამიანების მანიპულაციით (რუსული პასპორტების დარიგების სცენარით) არიოს სიტუაცია კახეთში;

⁶³ სამხედრო ექსპერტი დაღესტანის ახალი გზის წინააღმდეგ გამოდის. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=17525>

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნას. ავარეთ-კახეთის გზის პროექტის განხორციელების შემთხვევაში ეს იქნება უმოკლესი გზა საქართველოსთან დასაკავშირებლად და „კრემლს საშუალებას მისცემს აღმოსავლეთ საქართველოში ოპერატიულად გადმოისროლოს რუსული სამხედრო შენაერთები, მათ შორის - მძიმე საბრძოლო ტექნიკა“⁶⁴.

როგორც საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი აღნიშნავს - „ავარეთ-კახეთის გზით რუსეთი შექმნის დერეფანს სომხეთში (გიუმრი) განლაგებულ რუსეთის სამხედრო ბაზამდე. ერთადერთი გზა გიუმრისკენ, გადის თბილისის გავლით. საიდანაც არ უნდა შემოვიდნენ რუსები, ისინი იჭედებიან გზაზე რომელიც თბილისისკენ მოდის. სამხედრო თვალსაზრისით ეს მათთვის რთული ამოცანაა. ჩრდილოეთ ირანში სამხედრო მოქმედებების შემთხვევაში მათ ესაჭიროებათ 100-ათასიანი სამხედრო კორპუსი რომლის გატარებაც ამ ხეობაში შეუძლებელია, ეს სახიფათოა სამხედრო თვალსაზრისით. ნატახტარი-თბილისის მონაკვეთზე ტანკი ვერ გავა, ეს გზა სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე სუსტი წერტილია შემოჭრის შემთხვევაში. ამიტომაც რუსები გზის გაყვანას კახეთის გავლით ცდილობენ, იქ მდებარეობს, და ნებისმიერი ტრანსპორტი გაივლის“⁶⁵

გარდა ამისა, ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში ამ გზის მშენებლობით (ან ყოველ შემთხვევაში ამ გზის მშენებლობაზე საინფორმაციო ფონის შექმნით) რუსეთი ცდილობს ორ მიზანს მიაღწიოს: 1) კონფლიქტის განახლების შემთხვევაში დაბლოკოს შესაძლო თურქული დახმარება აზერბაიჯანული მხარისათვის; 2) უშუალოდ გამოიყენოს ეს გზა როგორც აზერბაიჯანულ მხარეზე ზეწოლის ბერკეტი.

ზოგიერთი ექსპერტი შიშობს რომ ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობის შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ ინტერესებს საფრთხე დაემუქრება დალესტნიდან და ჩრდილოეთი კავკასიის სხვა რესპუბლიკებიდან ტერორისტების

⁶⁴ დაუყოვნებლივ გაარემონტეთ, ჩვენ საქართველოში მიმავალი კიდეც ერთი გზა გვჭირდება! - პუტინი // კვირის პალიტრა. - 2014. - 20 ოქტომბერი;

⁶⁵ რუსეთი საქართველოს სხვადასხვა რეგიონთან ხელშეკრულების დადებას გეგმავს - შაშკინი; <http://www.newposts.ge/print.php?id=55083>

შესაძლოა გადმოსვლის თვალსაზრისით⁶⁶. ტერორისტების შემოსვლის შემთხვევაში კი ავარეთ-კახეთის გზის მეშვეობით კრემლს საქართველოში ჯარების შემოყვანის ახალი საბაზი გაუჩნდება ვინაიდან რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დოქტრინა მთავრობას უფლებას აძლევს ტერორისტების წინააღმდეგ მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებები აწარმოოს⁶⁷.

1.9. გადასასვლელების იურიდიული პრობლემები

საზღვარზე მრავალი გადასასვლელის არსებობა სულაც არ გულისხმობს თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობას. ბევრ შემთხვევაში ეს მიმოსვლა დამოკიდებულია ქვეყნების ურთიერთობებზე. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები გასული საუკუნის 90-იან წლებში ძალიან დაიძაბა თუმცა უფრო მნიშვნელოვნად ეს საუკუნის მიწურულს აისახა - მას შემდეგ რაც საქართველომ პროდასავლური გეზი აიღო, რუსეთში კი ქვეყნის სათავეში პუტინი მოვიდა. 2000 წელს მოსკოვმა საქართველოს მოქალაქეებს სავიზო რეჟიმი დაუწესა. სავიზო რეჟიმის დაწესების მთავარ მიზეზად დასახელებული იყო პანკისის ხეობიდან რუსეთის ტერიტორიაზე ტერორისტთა შესვლის საფრთხე. თუმცა საქართველოს მოქალაქეებს დღემდე ეკრძალებათ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე (მათ შორის მოსაზღვრე ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში) ვიზის გარეშე შესვლა. ამან თავის მხრივ განაპირობა ის რომ საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებმა დაიწყეს საქართველოს პასპორტებზე უარის თქმა და რუსეთის პასპორტების აღება. რუსეთის მხრიდან ეს იყო მიზნობრივი პოლიტიკის განხორციელება რათა შემდგომში მას რუსეთის მოქალაქეების დაცვის საბაზით თავისი ინტერესები გაეტარებინა.

⁶⁶ ავარეთ-კახეთის გზა: საფრთხეები და შესაძლებლობები; <http://regional-dialogue.com/ge/articles/avaro-kakheti-road/>

⁶⁷ ნ. ესიტაშვილი, კახეთ-დაღესტანის გზა მორიგი რუსული ნაღმი; <http://www.knews.ge/ge/kakhetinews/news/1151/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%98.htm>

2010 წლის ოქტომბრიდან საქართველოს ხელისუფლების ბრძანებით ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებში ჩაწერილი რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას 90-დღიანი უვიზო რეჟიმი ამოქმედდა. ეს გახლდათ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის ნაწილი.

XI თავი

საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე მოვლენების განვითარების შესაძლო გზები და პერსპექტივები

1.1 აფხაზეთის მონაკვეთი

სეპარატისტულ აფხაზეთში თბილისთან ურთიერთობების განვითარებაზე ყველაზე დიდი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ორმა ძირითადმა ასპექტმა: პირველი არის რუსეთის არაპროგნოზირებადი და აგრესიული პოლიტიკა რეგიონში, მეორე - შიდა პოლიტიკური ცვლილებები თავად აფხაზეთში. ნამდვილად გასათვალისწინებელია აგრეთვე სოციალურ-ეთნიკური მდგომარეობა ამ სადავო ტერიტორიაზე.

პირველ რიგში აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება რომელიც როგორც საქართველოს სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ანექსიისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეფასდა. ასევე უნდა ითქვას რომ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის (რუსული სამხედრო ძალების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე, სრული კონტროლი) პირობებში, კრემლის მიერ თბილისის გვერდის ავლით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება აფხაზეთთან მიმართებაში - სამართლის კონტექსტში არანაირ ახალ რეალობას არ ქმნის. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა 2014 წლის 31 ოქტომბერს, რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სპეციალური საინფორმაციო-ანალიტიკური გამოშვება მოამზადა⁶⁸ სადაც რუსეთისა და აფხაზეთის ე.წ. ხელშეკრულების მიზნებისა და შესაძლო შედეგების ანალიზი მოხდა.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულება 10 წლის ვადით გაფორმდა, ხუთწლიანი გაგრძელების პერსპექტივით. იგი ითვალისწინებს ე.წ. აფხაზური და რუსული

⁶⁸ საინფორმაციო-ანალიტიკური თემატური გამოშვება (ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულებების შედარება და პოლიტიკური იმპლიკაციები საქართველოსთვის), 5 თებერვალი 2015 წ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი. მიმოხილვა მომზადებულია ღია წყაროების მიხედვით, გვ. 2;

ჯარების გაერთიანებას, კოორდინირებული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, საერთო თავდაცვის და უსაფრთხოების სივრცის და ასევე საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის შექმნას, აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერას და ა.შ.⁶⁹

აღსანიშნავია რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს რუსული ძალების განთავსებას ფსოუზე და სეპარატისტული ტერიტორიის კიდევ უფრო ღრმა ინტეგრაციას მოსკოვთან. ეს ნიშნავს რომ მომავალში სავარაუდოდ კოდორის ხეობაში რუსეთი ახალ სამხედრო გზას გაიყვანს რაც კიდევ უფრო გაზრდის რუსულ გავლენას რეგიონში და პრინციპში, გამეორდება ყირიმის შემთხვევა. თუმცა ყირიმისგან განსხვავებით ფორმალურად რუსეთს გამოცხადებული ექნება აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა.

საერთაშორისო სამართლის თანახმად ამ დოკუმენტს არანაირი სამართლებრივი ღირებულება არ აქვს მაგრამ ნამდვილად არსებობს რისკი რომ რუსეთი გააგრძელებს დიპლომატიურ მუშაობას საერთაშორისო არენაზე, განსაკუთრებით წყნარი ოკეანის ტერიტორიაზე არსებულ პატარა სახელმწიფოებთან რათა გაზარდოს იმ ქვეყნების რიცხვი ვინც აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას.⁷⁰ ხელშეკრულებამ ასევე დიდი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს პოლიტიკურ პროცესებზე სოხუმში, რისი პირველი ნიშნებიც უკვე ნელ-ნელა ჩნდება.

აფხაზეთის ამჟამინდელი ლიდერის - რაულ ხაჯიმბას პრიორიტეტია აფხაზეთის სრული ინტეგრაცია რუსეთთან. ალექსანდრე ანჟევაბისგან განსხვავებით იგი არ ზრუნავს აფხაზეთის სახის შენარჩუნებაზე აფხაზეთში. რა თქმა უნდა არ შეიძლება ვივარაუდოთ რომ ანჟევაბი უარყოფითად იყო განწყობილი მოსკოვის მიმართ. პირიქით, მოსკოვი მისთვისაც ძირითადი მოკავშირე იყო ოლონდ იმ განსხვავებით რომ ანჟევაბს სურდა სტატუს-კვო დაემყარებინა ურთიერთობებში. ეს კი პირველ რიგში ნიშნავს დამოუკიდებელ შიდაპოლიტიკურ

⁶⁹ პიოტრ კოზლოვი: პარტნიორობა დასავლეთის იგნორირებით! ანუ რას ითვალისწინებს რუსეთ-აფხაზეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება; 25.11.2014; <http://iverioni.com.ge/9470-partnioroba-dasavlethis-ignirebith-anu-ras-ithvalistsinebs-ruseth-afkhazethis-samokavshireo-khelshekruleba.html>

⁷⁰ მაია აბაიაძე: „აფხაზეთის ანექსია დაიწყო“, რეზონანსი, 25.11.2014; http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=22696

ორგანოებს, სამხედრო ძალებს და აფხაზეთის შემთხვევაში ასევე ეთნიკური აფხაზების გაძლიერებას ბევრ ასპექტში, რასაც ფაქტობრივად ახლა ეწინააღმდეგება ხაჯიმბა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია რომ ახლოდან შევხედოთ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. საქმე აგრეთვე ეხება ეთნიკურ ქართველებს რომელთა რაოდენობა მაინც იმდენად დიდია რომ მათი პოზიციის სრული იგნორირება ძალზე სარისკოა გრძელვადიან პერსპექტივაში. ხაჯიმბას ძალიან ანტიქართული პოლიტიკა ერთი მხრივ მოსწონს კრემლს, მეორე მხრივ კი აძლიერებს მის მოწინააღმდეგებს.

აღსანიშნავია ხაჯიმბას მიდგომა რკინიგზის განვითარებისადმი. ის ამბობს რომ „რკინიგზა სახელმწიფოზე უნდა მუშაობდეს და ჩიხში შემყვანი არ უნდა იყოს. ამ რკინიგზაზე უნდა გაიარონ არა მხოლოდ სამგზავრო მატარებლებმა არამედ ეშელონებმა რომლებიც ჩვენ [აფხაზებს] საშუალებას მოგვცემენ ტრანზიტის ფული მივიღოთ და ამით ჩვენი ბიუჯეტის ზრდის პირობები შევქმნათ. ჩვენ რკინიგზის გახსნის მომხრეები ვართ და ასევე ვართ მომხრეები იმისა რომ ამ რკინიგზამ აფხაზეთს დივიდენდები მოუტანოს მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ქართული მხარე და მისი დასავლელი მფარველები თითქოს ამ სამუშაოს ჩატარების აუცილებლობას ეთანხმებიან მაგრამ სინამდვილეში სრულებით ეწინააღმდეგებიან ამ პროცესს.“⁷¹ ამ ადგილას უნდა ითქვას რომ ხაჯიმბა არ ითვალისწინებს ერთ მნიშვნელოვან ტექნიკურ ასპექტს: რკინიგზის აღდგენა უნდა მოხდეს აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ რაც იმას ნიშნავს რომ ეს დაასუსტებს ტურისტულ პოტენციალს საკმაოდ გრძელ მონაკვეთზე სადაც რელიეფის გამო სხვა გზით რკინიგზის გაყვანა უბრალოდ შეუძლებელია. ტურიზმი კი ერთადერთი ბერკეტი გახლავთ რომლის საშუალებითაც აფხაზეთს შეუძლია ცოტათი მაინც განავითაროს თავისი ეკონომიკა. მეორე მხრივ რუსეთთან ურთიერთობებში ეს იყო მათი ბოლო კოზირი რომლის დაკარგვაც საბოლოოდ ასუსტებს აფხაზთა ისედაც ძალზე მარიონეტულ პოზიციას რუსების თვალში. ამის გამო ეთნიკურ აფხაზთა წრეში რკინიგზის იდეა

⁷¹ რაულ ხაჯიმბა: ჩვენ რკინიგზის გახსნის მომხრეები ვართ, 29.07.2014, <http://www.ghn.ge/com/news/view/112518>

არც ისე პოპულარულია როგორც ეს პირველი შეხედვით ჩანს და ძირითადად ამ ინიციატივას ყველაზე მეტი მომხრე სომხებსა და რუსებს შორის ჰყავს გეოპოლიტიკური ასპექტების გამო⁷². ამ რკინიგზის შესაძლო აღდგენამ მომავალში რუსეთი და სომხეთი უნდა დააკავშიროს რომლებიც 2015 წლის 1 იანვრიდან ოფიციალურად ინტეგრირებულნი არიან ევრაზიულ კავშირში და მათი დაახლოების სურვილი ბუნებრივი და გასაგებია.

მეორე ასპექტი რომელსაც ხაჯიმბას მოწინააღმდეგეები არ ეთანხმებიან გახლავთ ინიციატივა „უცხო ქვეყნის“ მოქალაქეებზე უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ. ამ საკითხში აფხაზეთის ლიდერის პოზიცია ასეთია: „ვიცი რომ არსებობს გარკვეული შიში. ადამიანები ამ საკითხს საკმაოდ ხისტად სვამენ და ამბობენ, რომ ეს დაუშვებელია. რატომ არ სვამთ საკითხს ისე რომ მთელი ეს წლები ომის შემდეგ ბინები და მიწის ნაკვეთები, იმის გათვალისწინებით, რომ მიწები ჩვენთან არ იყიდება, ხომ არ იყიდება? ხომ არ შოულოებენ ცალკეული მოქალაქეები ფულს მიწების უკანონო ყიდვა-გაყიდვით? მოდით, ეს პროცესი კანონის ქვეშ მოვაქციოთ და უძრავი ქონება ჩვენს კონტროლს დავუქვემდებაროთ“.⁷³ ხაჯიმბა თვლის რომ გარიგებების განხორციელებისთვის კანონების განსაზღვრის და უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მექანიზმის შემუშავება უნდა მოხდეს. მისი აზრით მხოლოდ დროის საქმეა თუ როდის დაიწყებენ რუსები მასობრივად აფხაზური ანუ პრინციპში ქართული მიწების და სხვა უძრავი ქონების არალეგალური შეძენის პროცესს. ხაჯიმბა მიიჩნევს რომ უძრავი ქონების რეალიზებით მიღებული ფულადი სახსრების გარკვეული ნაწილი შესაძლოა ახალი საცხოვრებლების მშენებლობისთვის იქნას გამოყენებული რაც სუფთა პოპულიზმია რადგანაც ეს სფერო ნამდვილად რუსული კონტროლის ქვეშ მოექცევა (თუკი საერთოდ დიდი კორუფციის მორიგი ნაყოფიერი წყარო არ გახდა). ასე თუ ისე გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ინიციატივა ზარალს მოუტანს ეთნიკურ აფხაზებს და უამრავი

⁷² ზურაბ შენგელია - თავად აფხაზებსაც ძალიან ეშინიათ, რომ ამომრჩევლების სიების საკითხმა საქმე შეიძლება სისხლისღვრამდეც მიიყვანოს, 19.08.2014; <http://www.interpressnews.ge/ge/interviu/294077-zurab-shengelia-thavad-afkhazebisac-dzalian-eshiniath-rom-amomrchevlebis-siebis-sakithkhma-saqme-sheidzleba-siskhlisghvramdec-miiyvanos.html>

⁷³ რაულ ხაჯიმბა უძრავი ქონების უცხოელებზე მიყიდვის დაკანონების ინიციატივით გამოდის; 12.08.2015, http://pia.ge/show_news.php?id=47174&lang=geo

სახლი რომელიც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდე ქართველების საკუთრებაში იყო პრინციპში გაუჩინარდება.

მესამე წინააღმდეგობრივი საკითხია ე.წ. „ტრანს-ენგურის“ ვაჭრობა. გამომდინარე იქიდან რომ 2007 წელს სოხუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით ყველანაირი ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსთან უკანონოდ ითვლება (უსაფრთხოების მიზნით), ყველა სავაჭრო პროდუქტი, რომელიც თბილისის მხრიდან გადადის აფხაზეთში – განიხილება კონტრაბანდად.⁷⁴

საქართველომ ამ ცოტა გაურკვეველ სავაჭრო საკითხთან დაკავშირებით სხვა გამოსავალი მოძებნა. ერთი მხრივ, პროდუქციის გადაადგილება თბილისის მხრიდან სეპარატისტულ აფხაზეთში ითვლება როგორც შიდა საქონლის ბრუნვა ხოლო მეორე მხრივ 2008 წლიდან, „ოკუპირებული რეგიონების შესახებ“ კანონის მიხედვით ყველა სახის ეკონომიკური ურთიერთობა - მათ შორის სავაჭრო კონტაქტები აფხაზეთის ტერიტორიაზე – მიიჩნევა უკანონოდ (მაგრამ არსებობს გარკვეული გამონაკლისები).

როგორც აღნიშნულ პროცესზე დაკვირვება გვიჩვენებს, ქართულ-აფხაზური ვაჭრობა მდინარე ენგურზე მიმდინარეობს 1 ოფიციალური (მთავარი ხიდი ზუგდიდის მხრიდან) და 3 არაოფიციალური გზის გადაკვეთით:

- ენგურის ხიდი – გადაადგილდება საქონლის 80% და მოსახლეობის 75%;
- ე.წ. ზედა ზონა – გადაადგილდება მოსახლეობისა და საქონლის 5%-ზე ნაკლები;
- ე.წ. ქვედა ზონა – გადაადგილდება საქონლის 15% და მოსახლეობის 20%.⁷⁵

აღსანიშნავია რომ აფხაზეთის მონაკვეთზე გამოიყენება შემდეგი მიმართულებები:

- ოტობაია - ორსანტია;
- ხურჩა-ნაბაკევი-კოკი-ორსანტია;
- ჭუბურხინჯი-რუხი;
- ფახულანი-ლია.

⁷⁴ ვახტანგ ჭარაია: აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, 27.11.2014; <http://regional-dialogue.com/ge/articles/analytics/economic-and-social-state-of-abkhazia/>

⁷⁵ Trans-Inguri economic relations: a case for regulation, Volume 2, April 2015, Author: Natalia Mirimanova
Researchers: Vakhtang Charaia, Lolita Zade and Irma Jgerenaia, page 6;

თუ სად მდებარეობს ეს ადგილები შეიძლება ვნახოთ ქვემოთ განთავსებულ რუკაზე:



სავაჭრო მიმართულებები.

ავტორი: ვახტანგ ჭარაია, „აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა“, თბილისი 2014

პროდუქტებს შორის რომელიც მდინარე ენგურის გავლით გადაადგილდება ძირითადად არის ისეთი საკვები პროდუქტები როგორცაა კარტოფილი, სტაფილო, კიტრი, მწვანელი, თხილი და მცირე რაოდენობით ხორცი. ამას გარდა გადადის ტექნიკა და ავეჯი (ამ საქონლის შექმნა საქართველოში, კერძოდ კი თბილისის, ქუთაისისა და ზუგდიდის საბითუმო ბაზრებში და ტექნიკის სპეციალიზირებულ მაღაზიებში მიმდინარეობს). უნდა ითქვას რომ საქართველოდან შესული საქონლის დაახლოებით 80% სოხუმისა და გაგრის ბაზრებისთვისაა განკუთვნილი და მხოლოდ დანარჩენი 20% რჩება გალის ტერიტორიაზე რაც გამომდინარეობს მოთხოვნა-მიწოდებიდან.⁷⁶

აღსანიშნავია რომ აფხაზეთში დანარჩენი საქართველოდან გადატანილი საქონელი ძალიან ძვირად იყიდება. გალში ფასის სხვაობა თითქმის 100%-ის ფარგლებში მერყეობს სხვა რეგიონებში კი გაცილებით უფრო მატულობს. ყველაზე მაღალი ფასები სოხუმშია სადაც ძირითადად ზუგდიდიდან, ქუთაისიდან და თბილისიდან ჩატანილი საქონელი 300%-ით ძვირი ღირს.

ამ ფონზე გასაგები ხდება თუ რა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ე.წ. „ტრანს-ენგურის“ ვაჭრობა უამრავი ადამიანისთვის ეკონომიკური თვალსაზრისით. ეს ასპექტი კიდევ უფრო აქტუალური გახდა სოჭში ჩატარებული ოლიმპიადის დასრულების შემდეგ. 2014 წლის სპორტული ღონისძიებების

⁷⁶ ვახტანგ ჭარაია, აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, 27.11.2014; <http://regional-dialogue.com/ge/articles/analytcs/economic-and-social-state-of-abkhazia/>

დაწყებამდე საკმაოდ დიდი რაოდენობის ეთნიკური სომეხი სეპარატისტული აფხაზეთიდან რუსეთში გადავიდა სადაც ბევრი სამუშაო ადგილი გაჩნდა ოლიმპიურ ინვესტიციებთან დაკავშირებით. ბევრი მათგანი აღარ დაბრუნდა და ადგილობრივ ბაზარზე ბუნებრივად შეიქმნა პატარა „ნიშები“ რომელთა შევსება დროთა განმავლობაში მოახერხეს აფხაზეთმა და ქართველებმაც კი. საუბარია ისეთ საქმიანობაზე რომელიც ისტორიულად სომხებთან ასოცირდებოდა: ვაჭრობა, ხელოსნობა, სხვადასხვა საამქროების გაძლოლა და ა.შ. ამ გზით ბოლო პერიოდში პირველად მრავალი წლის შემდეგ გაჩნდა ქართულ-აფხაზეთური თანამშრომლობის პატარა საყრდენი.

რუსებმა რა თქმა უნდა დაინახეს ეს პრეცედენტი რომელიც ამ ეტაპზე მაინც ძალიან დაბალ დონეზეა. მიუხედავად ამისა, ამ თანამშრომლობის შესაწყვეტად მათ გამოიყენეს ყველაზე ადვილი ბერკეტი - „ტრანს-ენგურის“ ვაჭრობის ბლოკირება. რასაკვირველია ზემოაღნიშნული საქონლის გადაადგილება კორუფციული მექანიზმის მეშვეობით ხდებოდა. გადასვლა ერთი ან მეორე მიმართულებით ხდება თითქმის მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რუს ჯარისკაცებს ქრთამს გადაუხდიან. ქრთამის რაოდენობის მატების შემთხვევაში ვაჭრობა უბრალოდ არამომგებიანი გახდება და დროთა განმავლობაში შეიძლება გაცილებით შეიზღუდოს რაც საბოლოო ჯამში ზარალს მიაყენებს ქართველებსა და აფხაზებს. ამას გარდა რადიკალურად ანტი-ქართულად განწყობილი ხაჯიმბა გეგმავს ყველა შესაძლო გადასასვლელის ჩაკეტვას. ერთ-ერთი ვერსიით, ოკუპირებული ტერიტორიის დე-ფაქტო პრეზიდენტი ენგურზე განლაგებულ ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილების შეზღუდვას და ექვსი "გამშვები პუნქტის" ნაცვლად ერთის დატოვებას უჭერს მხარს.⁷⁷ ხაჯიმბას არგუმენტი ასეთია: „საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე საქონლის უკანონო ბრუნვის საკითხი უმოკლეს დროში უნდა გადაიჭრას. პროდუქციის შემოტანა და გატანა კონტრაბანდული გზით ხორციელდება, სახელმწიფოს კი აქედან არავითარი სარგებელი არა აქვს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს მხოლოდ კანონიერ

⁷⁷ რაულ ხაჯიმბა ენგურზე ხუთი გადასასვლელის ჩაკეტვის პირობას დებს, 03.10.2014; <http://www.interpressnews.ge/ge/politika/299416-raul-khajimba-engurze-5-gadasasvlelis-chaketvis-piobas-debs.html?ar=A>

საფუძველზე. დღეს ბევრი საუბრობს რომ ეს შეუძლებელია რადგან ჩვენ არ გვაქვს საქართველოსთან სახელმწიფოებრივ-სამართლებლივი ურთიერთობა მაგრამ ეს ხელს არ უშლის ზოგიერთ ჩვენს მოქალაქეს დაკავდეს კონტრაბანდით და დიდი რაოდენობით შემოიტანოს საქონელი ენგურიდან. ამასთან, ისინი ბიუჯეტში არაფერს არ იხდიან. ჩვენ ან უნდა დავუშვათ საქონლის უკანონოდ გადატანა, ან მთლიანად ჩავკეტოთ საზღვარი“.⁷⁸

ამჟამად ადმინისტრაციულ საზღვარზე გალის და ზუგდიდის რაიონებს შორის ექვსი გადასასვლელი ფუნქციონირებს, მათ შორის ერთი ცენტრალური და ხუთი დამატებითი. ცენტრალური გამშვები პუნქტის გარდა ხუთი დამატებითი გადასასვლელი (4 საფეხმავლო და 1 საავტომობილო) 2013 წლის მაისში ალექსანდრე ანჭავაძის მმართველობის დროს გაიხსნა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხაჯიმბას სურს გააქროს აფხაზურ-ქართული თანამშრომლობის ერთადერთი პლატფორმა რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მის პოლიტიკურ ოპონენტებს გააძლიერებს. ამ კონტექსტში არ იგულისხმებიან მარტო ქართველები არამედ აფხაზებიც რომელთა დიდი ნაწილი როგორც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, ეწინააღმდეგება რკინიგზის აღდგენას, რუსული ინფრასტრუქტურის გაფართოებას, უძრავი ქონების გასხვისებასა და შემოსავლის წყაროს გაქრობას. ქართველების შემთხვევაში ამ ფაქტორებს კიდევ ემატება საარჩევნო უფლებების წართმევა და ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვა. საყურადღებოა რომ გალში ქართულ სკოლებში 2015 სასწავლო წლიდან სწავლება რუსულ ენაზე წარიმართება და ქართული მხოლოდ როგორც ერთ-ერთი რიგითი საგანი ისე დარჩება. ამას უკვე დიდი ხნის განმავლობაში აანონსებდა აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ლიდერი და ამის ძირითადი მიზეზია ის რომ მისთვის მიუღებელია "რესპუბლიკაში" მოსწავლეებმა თბილისში დაბეჭდილი ისეთი სახელმძღვანელოებით ისწავლონ რომლებიც "აფხაზეთის სახელმწიფოს არსებობას უარყოფენ".⁷⁹ აღსანიშნავია რომ გალის ტერიტორიაზე, მარტო ქვედა ზონის ფარგლებში მხოლოდ 11 სკოლას აქვს ქართული სკოლის სტატუსი.

⁷⁸ რაულ ხაჯიმბა „საქართველო-აფხაზეთის საზღვრის“ გაკონტროლებას, ან ჩაკეტვას ითხოვს; 13.08.2015, <http://www.ghn.ge/com/news/view/136823>

⁷⁹ ერთი კარიკატურის გამო ხაჯიმბამ აფხაზეთში ქართულად სწავლება აკრძალა, 14.03.2015; http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=24025

თავისთავად ეს პოლიტიკა საბოლოო ჯამში ქართველების გაღიზიანებას გამოიწვევს.

ზემოთ აღნიშნული ასპექტები ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ რეგიონში პოლიტიკური და ეთნიკური პროცესების განვითარების თვალსაზრისით მაგრამ ასევე საყურადღებოა შიდაპოლიტიკური საკითხები რომელთა დიდი ნაწილი დაკავშირებულია აქამდე გაანალიზებულ პრობლემებთან.

პირველი აზრთა სხვადასხვაობა აფხაზეთის გავლენიან პოლიტიკოსებს შორის გაჩნდა აფხაზეთისა და რუსეთის შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი საინფორმაციო ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით. სტრუქტურა რომელიც ზოგადად აფხაზეთის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და მათ სუვერენიტეტს ზღუდავს, საბაზი გახდა ანტირუსული განწყობების გაძლიერებისთვის სეპარატისტთა პარლამენტში.⁸⁰ აფხაზეთის დიდმა ნაწილმა გააკეთა ყველაზე უფრო მკაცრი განცხადებები მოსკოვის მიმართ ბოლო პერიოდის განმავლობაში. აღსანიშნავია რომ ფაქტობრივად რუსებს სურთ შეიქმნას ცენტრი რომელსაც რუსეთის პრეზიდენტის მიერ დანიშნული უფროსი უხელმძღვანელებს და პრინციპში ყველაფრის გაკეთება შეეძლება. კრემლის მიზანია მათმა ძალოვანმა სტრუქტურებმა შეძლონ აფხაზეთში დაკავებებისა და ჩხრეკების განხორციელება, გამოიყენონ იარაღი და სხვა სპეციალური საშუალებები, აწარმოონ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, სატელეფონო საუბრების მოსმენები, საფოსტო გზავნილების კონტროლი და ა.შ. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში რომ ზოგი გამოცდილი აფხაზი პოლიტიკოსი ამ ინიციატივის წინააღმდეგ გამოვიდა. შესაბამისი კანონი მაინც იქნა მიღებული მაგრამ ამ სიტუაციამ აჩვენა რომ პოლიტიკური სცენა მაინც დაყოფილია და აზრთა სხვადასხვაობა სულ უფრო მეტად ძლიერდება.

შემდეგი მსგავსი თვალშისაცემი მომენტი გამოჩნდა 2015 წლის ივნისში როცა ცნობილი გახდა რომ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული და შეპირებული 5 მილიარდი რუბლის ოდენობის დახმარებას წელს აფხაზები არ

⁸⁰ აფხაზეთის უარი კრემლის ახალ შეთავაზებაზე, 29.06.2015;
<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/47171/>

მიიღებდნენ.⁸¹ პრინციპში არავინ იცის მიიღებს თუ არა საერთოდ სოხუმი ამ თანხას, მით უმეტეს რომ რუსეთი ეკონომიკურ კრიზისშია ევროკავშირის სანქციების გამო. ეს სიტუაცია აჩვენებს მოსკოვის მიდგომას აფხაზეთის მიმართ - არარეალური შეპირებები, სუვერენიტეტის დასუსტება, აგრესიული ჩარევა შიდა პოლიტიკაში და ა.შ. ამ ყველაფრის ფონზე ბუნებრივია რომ პოლიტიკურ არენაზე უნდა გამოჩენილიყო ოპოზიციური ძალა რომელიც იქნებოდა არა იმდენად ანტირუსული არამედ უფრო პროაფხაზეთი და რომელიც შეეცდებოდა სტატუს-კვოს შენარჩუნებას მოსკოვთან ურთიერთობებში.

ასეთი ძალა შეიქმნა 2015 წლის ივნისში როგორც ოპოზიციური ძალების ბლოკი. მასში შევიდნენ პოლიტიკური პარტია „ამცახარა“, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევების ფონდი „აპრა“, საზოგადოებრივი ორგანიზაციები „ქალები პოლიტიკაში“ და „აბზანხარა“. როგორც ფონდ „აპრას“ წარმომადგენელი ასლან ბჟანია აანონსებდა - „ბლოკი აფხაზეთში გართულებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო შეიქმნა. ეს აფხაზეთის ხელისუფლების არაკომპეტენტური პოლიტიკის შედეგია რომელმაც მიგვიყვანა მძიმე მდგომარეობამდე ქვეყნის შიგნით და ასევე აფხაზეთ-რუსული ურთიერთობების გაუარესებამდე“⁸²

აღსანიშნავია, რომ ასლან ბჟანია აფხაზეთში 2014 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთი კანდიდატი იყო და წაგების მიუხედავად დაახლოებით 35%-იანი მხარდაჭერა მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს რომ მისი პოზიცია პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ ძლიერია. საყურადღებოა ასევე ის ფაქტი რომ ბჟანია ახლო ურთიერთობაშია აფხაზეთის ყოფილ ლიდერ ალექსანდრე ანქვაბთან. ეს გვადლევს საფუძველს ვიფიქროთ ამ პიროვნებაზე როგორც ანქვაბის პოლიტიკის „მემკვიდრეზე“ და ზუსტად მის ირგვლივ შეიძლება მომავალში შეიკრიბოს აფხაზეთის და აგრეთვე ქართველების დიდი ნაწილი რომლებიც ეწინააღმდეგებიან ხაჯიმბას ძალიან ლიბერალურ და ზოგ მომენტში მათთვის

⁸¹ აფხაზეთი მოსკოვს შეპირებული ფულის დაგვიანებისთვის გაუნაწყენდნენ, 17.06.2015; http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=25196

⁸² სოხუმში ოპოზიციური ძალების ბლოკი შეიქმნა, 15.06.2015; http://radioatinati.ge/sokhumshi_opoziciuri_dzaleb/

გაუგებარ საგარეო და შიდა პოლიტიკას. ზოგადად, არც ანქვების პოლიტიკაში დაბრუნებაა გამორიცხული, თუმცა უნდა გავიხსენოთ რომ წარსულში რამდენიმე ტერაქტი იქნა განხორციელებული მის წინააღმდეგ რაც ნიშნავს რომ ახლა ნამდვილად უფრო ფრთხილად იმოქმედებს აფხაზური პოლიტიკის რისკიან პირობებში. მეორე მხრივ, იქნება ეს ბჟანია თუ ანქვაბი, ზემოთ აღნიშნული სცენარის განხორციელების შემთხვევაში სოხუმი ისევ შეიძლება გახდეს პოლიტიკური ქაოსის ცენტრი რაც შემდგომში რეგიონის პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის გაუარესებას მოიტანს. გასაგებია რომ ხაჯიმბა და მისი მომხრეები ასე ადვილად არ დაემშვიდობებიან გავლენიან სამთავრობო თანამდებობებს რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ კეთილდღეობასთანაა დაკავშირებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ რომ აფხაზეთს მომავალში ელის პოლიტიკური ბრძოლის შემდეგი ეტაპი რომელიც სამწუხაროდ შეიძლება ზედმეტად დაგვიანებული იყოს აფხაზური იდენტობის დასაცავად რადგანაც როგორც ჩანს რუსები უახლოეს პერიოდში თითქმის ყველა მათთვის სტრატეგიულ მიზანს მიაღწევენ.

1.2 მამისონის უღელტეხილის მონაკვეთი

როგორც უკვე წინა თავში იყო ნათქვამი, მამისონის უღელტეხილი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილია. ამ რეგიონში გადის ამჟამად ამორტიზებული ოსეთის სამხედრო გზა რომელიც როკის გვირაბის ალტერნატივად განიხილება⁸³. მამისონიდან ცოტა მოშორებით, კუდარის უღელტეხილიდან ეშვება მაუჯიყაუ-ცხინვალის ახლადგახსნილი გაზსადენი. აღსანიშნავია რომ ამ ობიექტის მშენებლობისთვის მოსკოვმა დაახლოებით 500 მილიონი დოლარი დახარჯა და რაც მთავარია ამ ტერიტორიაზე მოვლენების განვითარების თვალსაზრისით - რუსეთი სულ მალე დაიწყებს მილიარდი დოლარის ღირებულების ისეთ პროექტს როგორცაა ზამთრის კურორტი მამისონი. კურორტი ჩრდილოეთი ოსეთის კუთვნილ ტერიტორიაზე აშენდება.

⁸³ რუსეთმა საქართველოს მამისონის უღელტეხილიც წაართვა, 02.05.2015;
<http://info1.ge/?p=2407>

როგორც რუსეთის მთავრობის მეთაურის მოადგილე ალექსანდრ ხლოპონინი აღნიშნავს - „მამისონი ყველაზე ამბიციური პროექტია ჩრდილოეთი ოსეთისა და საქართველოს საზღვარზე. კურორტი დაგეგმა ავსტრიულმა ფირმამ „გაისლერ უნდ ტრიმელმა“. ეს ფირმა ოთხვარსკვლავიანზე ნაკლებპრესტიჟულ პროექტებს ხელს არ კიდებს. მათი აშენებულია სპორტული ქალაქი ნიურბურგრინგში და ასევე მიუდგნენ ისინი დასვენების ორგანიზებას ოსეთში. ეს იქნება კავკასიის კურშეველი.“ აქედან გამომდინარე თვალშისაცემია ის დიდი ყურადღება რომელსაც კრემლი ამ ინვესტიციას უთმობს პრესტიჟის გამო. ეს ნიშნავს რომ ახლო მომავალში რუსული პოლიტიკური ელიტა კიდევ უფრო დაინტერესდება ამ ტერიტორიით რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ ამ რეგიონზე როგორც დამაბულობის შემდეგ წყაროზე. ამის პირველი ნიშნები 2015 წლის გაზაფხულზე უკვე გამოჩნდა, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ პროპაგანდისტულ დონეზე.

საქმე ეხება მამისონის უღელტეხილზე რუსეთის ფედერაციის დროშის აღმართვას. მაშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად რაჭაში მდებარე ე.წ. სამხრეთი ოსეთის საზღვარზე რუსმა ჯარისკაცებმა საზღვრის ცალმხრივი დემარკაცია დაასრულეს. ამ ფაქტს ადასტურებდნენ აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებნიც. ერთ-ერთი მათგანი ჰყვებოდა რომ „იმ ადგილას სადაც მამისონზე მეტეოსადგური იყო ახლა დგას რუსის ჯარი. ჩვენი ჯარი დგას შოვს რომ გაცდები ასე 2 კილომეტრში, არ გაგიშვებენ. არც ჩვენ არ გვიშვებენ ჯერ (სამოვრებზე), ეშინიათ. რომ ამოვიდნენ რუსის ჯარი და დროშები რო აფრიალესო, რაღაცა ხდება, მთელი პოლიცია და ჯარი იქ იყო.“⁸⁴

ასეა თუ ისე, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს რუსები ბოლო დროს რეგულარულად დგამენ ან ბანერებს ან დროშებს ე.წ. სამხრეთი ოსეთის საზღვრის გასწვრივ რაც ინფორმაციული ან უფრო სწორად ამ შემთხვევაში დეზინფორმაციული ომის ნაწილია. მამისონის უღელტეხილის შესახებ მსგავსი ხასიათის დეზინფორმაცია გავრცელდა აგრეთვე 2010 წლის 20 მაისსაც თუმცა

⁸⁴ რუსეთმა საქართველოს მამისონის უღელტეხილიც წაართვა, 02.05.2015; <http://info1.ge/?p=2407>

მეზობელი ქვეყნის მხრიდან ტერიტორიის მიტაცების ფაქტი მაშინ საბოლოოდ არ დადასტურდა.⁸⁵

აღსანიშნავია რომ ინფორმაცია ამ მეორე ინციდენტის შესახებ გავრცელდა ზუსტად იმ დღეს როცა თინა ხიდაშელი ინიშნებოდა თავდაცვის მინისტრის პოსტზე. როგორც ჩანს რუსებს უბრალოდ თავიანთი „პოზიციის გახმაურება“ სურდათ ასეთი მეთოდით რომელსაც სხვათა შორის ისინი ხშირად იყენებენ თავიანთ პოლიტიკაში საქართველოს მიმართ ანუ დაშინებით, შანტაჟით და დეზინფორმაციით. ასეთი ტიპის შემთხვევები ნამდვილად კიდევ ბევრჯერ განმეორდება. აქედან გამომდინარე ქართველი მესაზღვრეები და პოლიციელები ამ ტერიტორიაზე მით უმეტეს უფრო ყურადღებიანები უნდა იყვნენ რათა თავი აარიდონ ნებისმიერ პოტენციურ პროვოკაციას.

საყურადღებოა რომ მამისონის უღელტეხილის საკითხით „თამაშობენ“ აგრეთვე სხვადასხვა კონფერენციებზეც, მაგალითად ერევანში. ამის დასტურია 2014 წელს ჩატარებული ღონისძიება სახელად - „უსაფრთხოება და თანამშრომლობა ამიერკავკასიაში“ სადაც ექსპერტმა მიხაილ ჩერნოვმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა პოლიტიკურ სცენარს რომლის მიხედვითაც რუსეთში არსებობს საქართველოს დაქუცმაცების კონკრეტული გეგმა რომელიც უკვე განხორციელების სტადიაშიცაა.⁸⁶

ჩერნოვი ამბობს რომ „უნდა ვიფიქროთ იმ ასი ათას ოსზე რომლებიც საქართველოს შიდა რაიონებიდან განდევნეს. მე-20 საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში სამხრეთი ოსეთის შემადგენლობაში თრიალეთის ოსეთიც უნდა შესულიყო და მათი დაკავშირება გორის რაიონის მეშვეობით უნდა მომხდარიყო. ახლა გვაქვს შესაძლებლობა რომ ისტორიული შეცდომები გამოვასწოროთ. ეს უნდა მოხდეს მშვიდობიანად, ევრაზიული კავშირის წევრი ქვეყნების არბიტრაჟის მეშვეობით. პროექტის განხორციელების შემთხვევაში რუსეთი გააკონტროლებს ყველა ტრანსკავკასიურ სატრანსპორტო დერეფანს, მათ შორის კი - მამისონის უღელტეხილს და ყოფილ სამხედრო გზას. შესაბამისად იქიდან ახლოსაა

⁸⁵ შსს: რუსეთის მიერ მამისონის უღელტეხილის წართმევა სრული დეზინფორმაციაა, 02.05.2015; <http://www.ipress.ge/new/5421-shss-rusetis-mier-mamisonis-ugheltekhlis-tsartmeva-sruli-dezinformaciaa>

⁸⁶ რუსეთმა საქართველოს დანაწევრების კონკრეტული გეგმა გაასაჯაროვა! 09.01.2014; <http://press.mediamall.ge/?id=9199>

ქუთაისიდან და ბათუმში... რეგიონის უსაფრთხოება მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. მხოლოდ მისი მეშვეობით შეუძლია სომხეთს რომ საკუთარი პირობები წაუყენოს თურქეთს. რაც შეეხება საქართველოს, იგი ამერიკავკასიაში არაფერს წყვეტს და რეგიონისთვის მხოლოდ დესტაბილიზაციის ფაქტორს წარმოადგენს”.⁸⁷

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მამისონის უღელტეხილი გეოპოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება და კრემლის აგრესიული და გაუთვალისწინებელი პოლიტიკის გათვალისწინებით ნამდვილად შეგვიძლია ვივარაუდოთ დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული ომის გაგრძელება ამ მიმართულებით, განსაკუთრებით ე.წ. „თრიალეთის ოსეთის“ მომხრეების მონაწილეობით. ამ „მოძრაობას“ უფრო დეტალურად შევხებით თავში - „სამხრეთი ოსეთის მონაკვეთი“.

კვლევის ამ ნაწილის შეჯამების სახით შეიძლება ითქვას რომ დადებითად უნდა შევაფასოთ თბილისის ინიციატივა ქუთაისი-ალპანა-მამისონის გზაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ⁸⁸. ამ რეგიონის განვითარება და მისთვის მეტი ყურადღების მიქცევა უეჭველად საქართველოს სტრატეგიული უსაფრთხოების ინტერესებში შედის. მეორე მხრივ, მუდმივად არსებობს ერთი პრობლემა რომლის მოგვარებაზეც საუბარი ამჟამინდელ კონიუნქტურაში პრაქტიკულად შეუძლებელია. ლაპარაკია ამ რეგიონის მოსახლეობაზე რომელიც ფაქტობრივად ჩიხშია მოქცეული 2008 წლიდან. მამისონის უღელტეხილით რუსეთთან კავშირი 2008 წლიდან შეწყვეტილ იქნა. რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ რაჭის მოსახლეობისთვის ასევე საბოლოოდ ჩაიკეტა სამაჩაბლოს კარი (რაჭველები დედაქალაქამდე ჩამოსვლას მოკლე გზით - ცხინვალის გავლით ახერხებდნენ)⁸⁹. დღევანდელ მდგომარეობაში კი ე.წ. შემოვლითი გზით 300 კილომეტრის გავლაა საჭირო რომ იქაური მცხოვრებნი საქართველოს დედაქალაქამდე ჩამოვიდნენ. მსგავსი სიტუაცია განვითარდა ფშავ-

⁸⁷ Ibidem.

⁸⁸ დეპარტამენტმა 10 საავტომობილო გზის პროექტირებაზე ხელშეკრულება გააფორმა, 16.04.2015; <http://www.georoad.ge/?lang=geo&act=news&func=menu&uid=1429185650>

⁸⁹ გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობა 200-ს აჭარბებს, 10.02.2015; http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=23594

ხევისურეთშიც. სამწუხაროდ ამ თვალსაზრისით, გეოგრაფიული მდებარეობის გამო სიტუაციის გამოსასწორებლად ბევრი ვერაფერი კეთდება.

1.3 სამხრეთი ოსეთის მონაკვეთი

2008 წლის ომის დასრულების შემდეგ ყველაზე დიდი წინააღმდეგობები არსებობდა ტრიალებდა ე.წ. სამხრეთი ოსეთის ანუ სამაჩაბლოს ირგვლივ. ეს სიტუაცია გამოწვეული იყო „მცოცავი ოკუპაციის“ მიერ რომელსაც რუსეთი დღევანდელ დღემდე იყენებს და სავარაუდოდ დიდხანს არ გაჩერდება რადგანაც ზუსტად ეს გახლავთ საქართველოს მიმართ განხორციელებული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი. მცოცავი ოკუპაცია იმავდროულად ამ რეგიონში მოვლენების განვითარებაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს.

ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევის პირველი, დიდმასშტაბიანი, უკანონო ინიციატივების მოწმეები გავხდით 2013 წელს როცა სოფლებთან - დვანთან და დიცთან ახლოს რუსმა სამხედროებმა მავთულხლართები დაამონტაჟეს. საქართველოს მხარემ მაშინ რუსეთს საპროტესტო ნოტიო უპასუხა რომელმაც მაინც არავითარი შედეგი არ მოიტანა⁹⁰. სულ მალე ამ პროცესში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც ჩაერთო. არც მათი ინიციატივა არ დამთავრდა ნაყოფიერი შედეგით. დღევანდელი გადმოსახედიდან ღიად ჩანს რომ რუსეთი იგნორირებას უკეთებს ნებისმიერ კრიტიკას და ქმედებას ამ მიმართულებით და აგრძელებს დესტაბილიზაციის პოლიტიკას რეგიონში. ამის რამდენიმე მიზეზი შეიძლება განვიხილოთ:

პირველ რიგში, როგორც ჩანს კრემლი საბჭოთა პერიოდის რუკების მიხედვით მოქმედებს და სამხრეთი ოსეთის იმ საზღვრებში მოქცევას ცდილობს რომლებიც იმ დროს არსებობდა.⁹¹ ძირითადად საუბარია 1922 ან 1984 წლის რუკებზე. პრობლემა იმაშია რომ მაშინ ეს საზღვრები ფორმალური იყო და

⁹⁰ საქართველოს ტერიტორიებს კვლავ ართმევენ, „რეზონანსი“, 28 მაისი 2013, ნომერი 138 (7428); საქართველოს შს სამინისტროს პასუხი რუსეთის „მცოცავ ოკუპაციას“, „ვერსია“ 31 მაისი - 2 ივნისი 2013, ნომერი 60 (816);

⁹¹ საბჭოეთის დროინდელი საზღვრების აღდგენა თუ სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება, „რეზონანსი“, 31 მაისი 2013, ნომერი 141 (7431);

სამოვრებისა და სახნავ-სათესი მიწების დემარკაცია არ მიმდინარეობდა. ამჟამად სეპარატისტები და რუსები ამ სიტუაციას კარგად იყენებენ, მათ ლავრების საშუალება მიეცათ. საყურადღებოა რომ ზვიად გასახურდიას დროს სამხრეთი ოსეთის ოლქის ზოგიერთი ტერიტორია რომელიც კომუნისტების დროს ამ ავტონომიის ადმინისტრაციულ ერთეულებად ითვლებოდა, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონებს შეუერთეს. იმ დროს ცხინვალში ამ მიწებს ვერ აკონტროლებდა. სეპარატისტების გვერდით თამარაშენი, კეხვი და სხვა ბევრი სოფელი იყო დიდი ლიახვის ხეობაში რომლებიც 2008 წლამდე ოფიციალური თბილისის კონტროლის ქვეშ იყო.⁹² როგორც ვიცით, ომის დროს რუსებმა დიდი ლიახვის ხეობა და მთელი ახალგორის რაიონი წაართვეს საქართველოს. ამჟამად საბჭოთა რუკებზე დაყრდნობით რუსები დიდ პრეტენზიებს აყენებენ. აღსანიშნავია რომ ამ თვალსაზრისით საუბარია არა ოკუპირებული ტერიტორიების გაფართოებაზე არამედ უფრო საზღვრების „გასწორებაზე“ მოსკოვის პერსპექტივიდან. რუსების თქმით - როცა არსებობდა ე.წ. ავტონომიური ოლქი, დიცი და დვანი ამ რეგიონში შედიოდა.⁹³

მეორე მხრივ, კრემლს სურს დააფიქსიროს თავისი პოზიცია საქართველოს საგარეო კურსთან დაკავშირებით და ამ მეთოდით აჩვენებს რომ თუ საქართველო ამ პოლიტიკას არ შეცვლის მაშინ აღარაფერი შეიცვლება გეოპოლიტიკურ რეალობასთან დაკავშირებითაც. უნდა აღინიშნოს რომ ასეთი არაადეკვატური ქმედებები დაიწყო ზუსტად მაშინ როცა საქართველოს ახალი ხელისუფლება გარკვეული კონსტრუქციული ინიციატივებით გამოდიოდა და ცდილობდა რომ რუსეთთან დიალოგისთვის ახალი მიმართულება მიეცა. ეს სიტუაცია გვიჩვენებს თუ როგორ ეგოისტურად მოქმედებს თავის საგარეო პოლიტიკაში და როგორ ექცევა თავის მეზობლებს კრემლი.

სხვა ვერსიაზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ რომ რუსეთი და ე. წ. ოსეთის მარიონეტული ხელისუფლება ცდილობდნენ (და პრინციპში დღემდე ამას აგრძელებენ) რომ ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ელიტას მეტი

⁹² კიდევ სად უნდა ველოდოთ მავთულხლართებსა და „სასაზღვრო“ ბანერებს, „რეზონანსი“, 18 ივლისი 2015, ნომერი 190 (8184).

⁹³ საბჭოეთის დროინდელი საზღვრების აღდგენა თუ სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება, „რეზონანსი“, 31 მაისი 2013, ნომერი 141 (7431);

ყურადღება დაეთმო საზღვრის დემარკაციის პრობლემისათვის. რეალობა ისაა რომ საქართველოს თურქეთის გარდა არცერთ მეზობელ ქვეყანასთან არ აქვს იურიდიულად გაფორმებული დოკუმენტი სახელმწიფო საზღვრების შესახებ. უეჭველია რომ ეს მდგომარეობა ქმნის წინააღმდეგობებს და აჩენს ბევრ კითხვის ნიშანს საზღვრების პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

საზღვრების გადმოწევისთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი ვერსია რომლის მიხედვითაც რუსეთს უნდა კონკრეტული სტრატეგიული ადგილების დაკავება რათა მომავალში, შესაძლო საბრძოლო მოქმედებების ესკალაციის დროს გარკვეულ სამხედრო უპირატესობას მიაღწიოს.⁹⁴ როგორც ექსპერტი ირაკლი ალადაშვილი ამბობს - „ეს ადგილი [დვანისა და დიცის მიმდებარე ტერიტორიები] კარგად უნდა შევისწავლოთ და გავაანალიზოთ თუ სად გადმოაქვთ საზღვარი და რატომ აკეთებენ ამას. საზღვარი იმიტომ კი არ გადმოსწიეს, რომ ტერიტორია 200-300 მეტრით გაეზარდათ, არამედ იმიტომ რომ მათ გარკვეული სიმაღლეები დაიკავეს რომლებიც სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ან ტაქტიკურად მომგებიანია, თუნდაც იმიტომ რომ შემდგომი საბრძოლო მოქმედებების შემთხვევაში მათ უპირატესობა ჰქონდეთ. აქ შეიძლება საქმე გზების ან სარწყავი არხების უკეთ გაკონტროლებასაც ეხებოდეს და ა.შ. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს რომ მათ გარკვეული ტაქტიკური თვალსაზრისით უპირატესობის მოპოვება უნდათ. ამ მავთულხლართების გავლებით რუსეთს იმის დემონსტრირება სურს რომ იქ საქართველო მთავრდება და რუსეთი იწყება.“⁹⁵

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩანს რომ საზღვრების გადმოწევა უფრო ფართო პოლიტიკის ნაწილია რომლის მთავარი მიზანია სამხრეთი ოსეთის მილიტარიზაცია და საბრძოლო მოქმედებებისთვის მომზადება ასეთი საჭიროების გამოჩენის შემთხვევაში. უნდა დავეთანხმოთ სამხედრო საკითხებში ქართველი ექსპერტის აზრს რადგანაც ბოლო ქმედებები მართლაც გვიჩვენებს რომ რუსეთი ნელ-ნელა იკავებს სტრატეგიულ პოზიციებს და უახლოვდება ისეთ უმნიშვნელოვანეს ობიექტებს როგორცაა მაგალითად ბაქო - სუფსის გაზსადენი.

⁹⁴ საბჭოეთის დროინდელი საზღვრების აღდგენა თუ სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება, „რეზონანსი“, 31 მაისი 2013, ნომერი 141 (7431);

⁹⁵ საბჭოეთის დროინდელი საზღვრების აღდგენა თუ სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება, „რეზონანსი“, 31 მაისი 2013, ნომერი 141 (7431);

2015 წლის 10 ივლისს რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა გორის სიახლოვეს მდებარე სოფელ წითელუბანთან და ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისი - გორის მაგისტრალიდან დაახლოებით 500 მეტრის მოშორებით „სასაზღვრო“ ბანერი აღმართეს. შედეგად ცხინვალის კონტროლის ქვეშ მოახვედრეს ზემოაღნიშნული მილსადენი. როგორც წინა ინციდენტების შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახლაც ღრმა შემფოთება გამოთქვა „მიზანმიმართული პროვოკაციული ქმედების გამო რომელიც მიმართულია დესტაბილიზაციისკენ და საფრთხეს უქმნის ადგილზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას.“⁹⁶ საუბარია მილსადენის დაახლოებით 1250-მეტრიან მონაკვეთზე რომელიც ბანერის მიღმა, ე.წ. სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

ბაქო-სუფსის ნავთობსადენი კომპანია “British Petroleum”-მა 1999 წლიდან ჩაუშვა ექსპლუატაციაში. მას ამჟამად წელიწადში დაახლოებით 7 მილიონი ტონის ხოლო დღეში 140 ათასი ბარელი ნავთობის გატარება შეუძლია.⁹⁷ როგორც ჩანს, ობიექტი ძალიან დიდი და სტრატეგიული მნიშვნელობით გამოირჩევა არა მარტო საქართველოსთვის არამედ მთელი სამხრეთი კავკასიისთვის და პატარა ნაწილის გაკონტროლების შემთხვევაში მაინც, ცხინვალს პოლიტიკური შანტაჟის კიდევ ერთი ბერკეტი მიეცემა. ზუსტად ეს გააკეთეს სეპარატისტებმა ზემოაღნიშნული ბანერის აღმართვიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ე.წ სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო პარლამენტის ვიცე სპიკერმა დმიტრი ტასოევმა განაცხადა რომ „რესპუბლიკა“ მზად არის უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე გამავალი ბაქო-სუფსის ნავთობსადენის უსაფრთხოება, იმ პირობით თუ British Petroleum-ი სატრანზიტო და მომსახურების საფასურს გადაიხდის.“⁹⁸ არ არის გამორიცხული რომ მომავალში მოეწყოს სხვანაირი, უფრო საშიში პროვოკაციები რომელთა შედეგები მთელი რეგიონისთვის იქნება საგრძნობი. ეს ტერიტორია ამჟამად მცოცავი ოკუპაციის ყველაზე „ცხელი წერტილი“ გახლავთ, მით უმეტეს რომ საქმე ეხება

⁹⁶ რუსების კეთილ ნებაზე დამოკიდებული მილსადენი, „რეზონანსი“, 14 ივლისი 2015, 186 (8180).

⁹⁷ განხილვები ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ტრანზიტის გადასახადზე სამხრეთ ოსეთში, 27.04.2015; <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/44207/>

⁹⁸ ე.წ სამხრეთ ოსეთი მზადაა, თანხის სანაცვლოდ ნავთობსადენის უსაფრთხოება უზრუნველყოს, 16.07.2015; <http://newposts.ge/?l=G&id=81693->

მეორე სტრატეგიულ ობიექტსაც როგორცაა ცენტრალური ავტომაგისტრალი თბილისი - გორი. ზოგი ექსპერტი ვარაუდობს რომ თუ სათანადო ზომები არ იქნა სწრაფად გატარებული, ოკუპანტები ასეთ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ და ახლო მომავალში ავტობანის ხელში ჩაგდებას შეეცდებიან რის შედეგადაც მთელი ქვეყნის მასშტაბით სატრანსპორტო მოძრაობა და საქონლის გადაზიდვა ეჭვქვეშ დადგება. როგორც სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია ამბობს - „რუსეთის მთავარი ინტერესია თბილისი - გორის ცენტრალური მაგისტრალის ხელში ჩაგდება და შესაბამისად თავისი გეოსტრატეგიული ინტერესების დაცვა არა მარტო საქართველოში არამედ მთელ კავკასიის რეგიონშიც. როგორც ჩანს, რუსეთის მხრიდან ეს არის საქართველოს საწინააღმდეგო გეოპოლიტიკური შანტაჟის პოლიტიკა.“⁹⁹

ძნელია ვთქვათ თუ რა ზომები უნდა იქნას გატარებული რადგანაც რუსეთთან დიალოგი ამ საკითხზე პრინციპში შეუძლებელია. ქართულმა მხარემ უკვე ბევრჯერ დააანონსა ურთიერთობების ნორმალიზებასთან დაკავშირებით მზადყოფნა მაგრამ საპასუხოდ მოსკოვი სულ უფრო აძლიერებს თავის აგრესიულ პოლიტიკას. ასე თუ ისე, თბილისს უნდა რომ გააგრძელოს ამ პრობლემის დაყენება ჟენევის მოლაპარაკებისა და აბაშიძე - კარასინის დიალოგის ფორმატში. ნამდვილად მეტი ჩართულობაა საჭირო ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და თავად ბრიუსელის მხრიდან. სასურველია ასევე ბლოკ-პოსტების შექმნა სადაც საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილი განთავსდება. ზოგი იტყვის რომ ეს იდეა ცოტა სარისკოა მაგრამ როგორც ჩანს უფრო რბილი მეთოდებით შედეგის მიღწევა შეუძლებელია.

დღევანდელი მდგომარეობით მავთულხლართები და ბანერები განლაგებულია გორისა და ქარელის რაიონების ტერიტორიებზე. ნაწილობრივ ისინი აღმართულია აგრეთვე კასპის რაიონის სოფლებშიც. დღევანდელ რუსულ პოლიტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ რომ მცოცავი ოკუპაცია

⁹⁹ ვახტანგ მაისაია: „რუსეთის მთავარი ინტერესი თბილისი - გორის ცენტრალური მაგისტრალის ხელში ჩაგდება“, „ახალი თაობა“, 14 ივლისი 2015, ნომერი 162 (6782).

მომავალში მინიმუმ კიდევ ერთი ძირითადი მიმართულებით გაგრძელდება: ახალგორისა და დუშეთის ადმინისტრაციული საზღვრების გაყოლებაზე.¹⁰⁰

ამ საკითხის შესაჯამებლად უნდა აღვნიშნოთ რომ თუკი ამჟამად შევხედავთ ოკუპირებული სამხრეთი ოსეთის რუკას, აღმოჩნდება რომ ის მინიმუმ სამ ძალიან მნიშვნელოვან და სტრატეგიულ მაგისტრალს ფარავს ან ძალზე უახლოვდება.¹⁰¹

ჩვენთვის საინტერესო პირველი ადგილი არის ხურვალეთსა და წითელუბანთან მდებარე ტერიტორიები რომლებიც უშუალოდ ავტობანის სიახლოვესაა, დაახლოებით 200 – 300 მეტრის დაშორებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ რუსებმა უკვე მოახერხეს ბაქო - სუფსის მილსადენის მონაკვეთის ხელში ჩაგდება.

მეორე საინტერესო მონაკვეთი რომელიც ახალგორის რაიონის ტერიტორიის მიმდებარედაა განლაგებული მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრითაა დაშორებული საქართველოს სამხედრო გზიდან, კობის მიდამოებში. თუკი მცოცავი ოკუპაცია ამ მიმართულებით გაგრძელდა, რუსებს შეეძლებათ რომ საჭიროების შემთხვევაში გადაკვეთონ ყაზბეგთან განლაგებული საქართველოს სამხედრო გზის ნაწილი და შესაბამისად ეს ტერიტორია ქვეყნის სხვა ტერიტორიებისაგან იზოლირებული აღმოჩნდება.

მესამე მონაკვეთი რომელიც არანაკლებ საფრთხეშია - გახლავთ კორბოულთან ახლოს მდებარე საჩხერის დამაკავშირებელი გზა. აქედან დაახლოებით 500 მეტრის მოშორებით გადის საოკუპაციო ზოლი. რუსების ხელში ამჟამად ისეთი პოტენციალია რომ საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ საჩხერის რაიონში მიმავალი ყველაზე მოკლე გზა გადაკვეთონ და ამის შედეგად ამ ტერიტორიაზე მოხვედრა მხოლოდ დასავლეთი საქართველოს მხრიდან გახდება შესაძლებელი, კონკრეტულად კი - ჭიათურის გავლით.

¹⁰⁰ „კიდევ სად უნდა ველოდოთ მავთულხლართებსა და „სასაზღვრო“ ბანერებს“, „რეზონანსი“, 18 ივლისი 2015, ნომერი 190 (8184);

¹⁰¹ ამ საკითხზე ძალიან საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ექსპერტმა ალექო კვახაძემ: „კიდევ სად უნდა ველოდოთ მავთულხლართებსა და „სასაზღვრო“ ბანერებს“, „რეზონანსი“, 18 ივლისი 2015, ნომერი 190 (8184).

საყურადღებოა რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რუსებს მუდმივად აქვთ საკმაოდ დიდი და ძლიერი იარაღი საქართველოზე გავლენის მოსახდენად იმ შემთხვევისათვის თუკი თბილისი თავის საგარეო პოლიტიკაში არ შეცვლის მათთვის მიუღებელ კურსს. ამ ტერიტორებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უსაფრთხოების თვალსაზრისით. აღნიშნულ მონაკვეთებზე ნამდვილად სასურველი იქნებოდა ადმინისტრაციული საზღვრების გაძლიერება და მეტი მონიტორინგი, განსაკუთრებით ისეთი პოტენციალის გამოყენებით როგორცაა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.

სამხრეთი ოსეთის მონაკვეთთან დაკავშირებით ნამდვილად ხაზი უნდა გავუსვათ კიდევ ერთ მნიშვნელოვან, უფრო პოლიტიკურ ასპექტს. ეს არის რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინისა და სეპარატისტების ლიდერის ლეონიდ თიბილოვის მიერ 2015 წლის 18 მარტს ხელმოწერილი ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ რომელმაც სხვადასხვა ტიპის დამაინტრიგებელი მოვლენები გამოიწვია. აღსანიშნავია რომ სამხრეთი ოსეთის პოლიტიკური ელიტა ლობირებდა ამ ხელშეკრულებაში ცხინვალის რეგიონის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში გაწევრიანების შესახებ შესაბამისი მუხლის შეტანას მაგრამ საბოლოოდ დოკუმენტიდან ეს ნაწილი მთლიანად ამოღებულ იქნა. რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს რომ ეს საკითხი საერთოდ აღარ დგას დღის წესრიგში. პირიქით, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის პროგრამაში ზუსტად რუსეთთან გაერთიანება არის ერთ-ერთი პრიორიტეტი სამომავლო გეგმებში.¹⁰²

შეთანხმება გულისხმობს რუსეთსა და სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის გადრმავებას, მათ შორის ცხინვალის რეგიონის „სახელმწიფო საზღვრის“ დაცვის უზრუნველყოფას. გადაწყდა რომ სამხრეთი ოსეთის საბაჟოს ყველა სამსახური ინტეგრირებული იქნება რუსეთის ანალოგიურ სტრუქტურებთან. თავისთავად რუსეთი გაადიდებს ამ ტერიტორიისთვის ფინანსურ დახმარებას. ვლადიმერ პუტინმა აგრეთვე დააანონსა რომ სამხრეთი ოსეთის აგრომწარმოებლებს მეტი

¹⁰² ცხინვალის ყირიმს მიზამავს, სოხუმი უარზეა; <http://www.amerikiskhma.com/content/georgia-as-will-arrive-after-the-crimena-precedent-of-tskhinvali-and-sokhumi/1873461.html>

შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ უფრო აქტიური მონაწილეობა რუსეთის ფედერაციის ბაზარზე. შემდეგი მნიშვნელოვანი მუხლი დაკავშირებულია ცხინვალის რეგიონში „სახელმწიფო“ და „მუნიციპალური“ დაწესებულებების თანამშრომლების საშუალო ხელფასის იმ დონემდე ზრდასთან როგორც არის რუსეთის ჩრდილოკავკასიურ ოლქში.¹⁰³ დოკუმენტში აგრეთვე გათვალისწინებულია კვალიფიციური და გამოცდილი ახალი კადრების მომზადება სახელმწიფო ადმინისტრაციისათვის რაც პრინციპში ნიშნავს მოსკოვისთვის სასურველი ხალხით ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობების დაკომპლექტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ რომ უახლოეს პერიოდში გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მოვლენები ამ მონაკვეთზე ორი, ერთმანეთთან დაკავშირებული მიმართულებით განვითარდება. პირველი გახლავთ მცოცავი ოკუპაცია საბჭოთა კავშირის რუკების მიხედვით, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის შეიძლება დიდი დაბრკოლება გახდეს სოციალურ-ეკონომიკური კუთხით. მეორე საკითხია სამხრეთი ოსეთის გაერთიანება ჩრდილოეთ ოსეთთან ანუ ფაქტობრივად სრული ანექსია რუსეთის ფედერაციის ფარგლებში. რაც შეეხება ამ მეორე სცენარს, საყურადღებოა „ეხო მოსკვის“ მთავარი რედაქტორის ალექსეი ვენედიქტოვის ბოლო პროგნოზი რომელიც მან 2015 წლის ივლისში ვაშინგტონის კარნეგის ცენტრში გამოსვლისას გააკეთა. როგორც რუსი ჟურნალისტი ამბობს: "ჩემი პროგნოზით გარკვეული, მოკლე დროის შემდეგ ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის გაერთიანების პროცესი და შესაბამისად სამხრეთი ოსეთის შესვლა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, პოლიტიკური თვალსაზრისით გარდაუვალი იქნება. ამიტომ, ამ კუთხით ურთიერთობის გაუმჯობესება რუსეთთან შეუძლებელია. მთავარი რა თქმა უნდა ის არის რომ დევნილები ვერ დაბრუნდებიან და ისინი დაიწყებენ ზეწოლას საქართველოს ნებისმიერ მთავრობაზე. შესაბამისად, აიწევს შიდა ტემპერატურა საქართველოში და

¹⁰³ სამხრეთი ოსეთი: შეთანხმება რუსეთთან და შიდა დაპირისპირება საგარეო პოლიტიკაზე. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/42845/>

ანტირუსული დისკურსი პოპულარული იქნება. ამიტომ, ჩემი პროგნოზით, სამწუხაროდ ცუდი ურთიერთობები შენარჩუნდება".¹⁰⁴

ეს რა თქმა უნდა ჟურნალისტის გამონათქვამია მაგრამ ამას სამწუხაროდ ძალიან დიდი და მდგრადი საფუძველი აქვს სამხრეთი ოსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სხვათა შორის ამ იდეის დიდი მომხრეა დე-ფაქტო პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვიც. ამიტომ, ჟურნალისტების მოსაზრებები არ უნდა ჩავთვალოთ უსაფუძვლო სიტყვებად რომლებიც გაზეთებში გვერდების შესავსებად გამოიყენება არამედ ისინი უნდა განვიხილოთ როგორც უფრო ფართო, პროპაგანდისტული პოლიტიკის ნაწილი. ამის დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ თიბილოვის ერთ-ერთი გამოსვლა ცხინვალში, 2015 წლის ივნისში, სადაც მან აღნიშნა რომ „სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის ხალხი ერთმნიშვნელოვნად ელოდება რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას.“¹⁰⁵

თიბილოვი არ არის პოლიტიკური ელიტის ერთადერთი წარმომადგენელი რომელიც ოპტიმისტურ და თავდაჯერებულ მოსაზრებებს გამოთქვამს. ამ საკითხს უფრო დიდი და ღრმა იდეოლოგიური საყრდენი აქვს რომლის შესახებ უფრო დეტალურად შემდეგ ნაწილში ვიმსჯელებთ სადაც მეტი ყურადღება ექნება დათმობილი სადავო ტერიტორიებს თრუსოს ხეობასა და ზოგადად ყაზბეგის რეგიონში.

1.4 თრუსოს ხეობა და ყაზბეგის რეგიონი

ყაზბეგის რეგიონი, თრუსოსა და დარიალის ხეობების ჩათვლით უშუალოდ ესაზღვრება სამხრეთ და ჩრდილო ოსეთს. ბოლო წლების განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა ამ რეგიონში რეგულარულად მცირდებოდა. ამის გამო მით უფრო საყურადღებო გახდა ამ ტერიტორიების მომავალი ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამ საკითხთან ასევე ძალიან ახლოა

¹⁰⁴ "ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის გაერთიანების პროცესი გარდაუვალი იქნება," - ალექსეი ვენედიქტოვი; <http://rustavi2.com/ka/news/20218>

¹⁰⁵ რა „ისტორიულ მომენტს“ ელოდებიან ოკუპირებულ ცხინვალში რუსეთთან შესაერთებლად? <http://qronikaplus.ge/?p=5596>

დაკავშირებული რამოდენიმე ორგანიზაციის საქმიანობა ვლადიკავკაზსა და ცხინვალში. ზუსტად ამაზე მინდა გავამახვილო მეტი ყურადღება რადგანაც ჩემი აზრით ამ ორგანიზაციებს მოვლენების განვითარებაზე დიდი ზეგავლენა ექნებათ, განსაკუთრებით მაშინ როცა მიიღებენ პოლიტიკურ და შესაბამისად ფინანსურ მხარდაჭერასაც საქართველოს მოწინააღმდეგეების მხრიდან.

პირველ რიგში ვნახოთ რა სტრუქტურას წარმოადგენს ორგანიზაცია „დარიალი“ რომელიც შეიძლება ითქვას რომ ანტიქართული საქმიანობის ინიციატორია. ორგანიზაცია დაარსდა ვლადიკავკაზში, 2009 წელს¹⁰⁶. პირველ ეტაპზე მან გარშემო იმ ადამიანების შემოკრება მოახერხა რომლებიც 90-იანი წლების კონფლიქტის დროს და შემდგომ პერიოდში ყაზბეგის რაიონიდან ჩრდილოეთ ოსეთში, კერძოდ კი ვლადიკავკაზში გაიქცნენ მშვიდობისა და უკეთესი ცხოვრების ძიებაში.¹⁰⁷ „დარილის“ ხელმძღვანელია რუსეთის შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი გაირბეკ სალბიევი. იგი მთელი ყაზბეგის რაიონს კობის ჩათვლით და მთელ თრუსოს ხეობას ოსურ მიწებად თვლის და შესაბამისად მისი აზრით ეს ტერიტორიები ფაქტობრივად საქართველოს მიერაა ოკუპირებული...

აღსანიშნავია, რომ სალბიევთან ახლოს თანამშრომლობდა სეპარატისტების წინა ლიდერი ედუარდ კოკოითი. 2009 წელს მან ახალი ტერიტორიული პრეტენზია ზუსტად „დარილის“ ხელმძღვანელობასთან დეტალური კონსულტაციის შემდეგ წამოაყენა, მანამდე კი კოკოითიმ როგორც რუსეთის პრეზიდენტთან ისე საგარეო საქმეთა სამინისტროსთან გააანალიზა ეს ყველაფერი.

„დარიალი“ ყველაზე აქტიურ ქმედებებს ახორციელებდა 2009 – 2011 წლებში. ამ პერიოდში ეს ორგანიზაცია დროდადრო ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტთან პიკეტებს აწყობდა, მასში გაწევრინადა ძალიან ბევრი ადამიანი. სალბიევი ხალხს ჰპირდებოდა რომ ისინი სულ მალე ყაზბეგის რაიონში, 90-იანი წლებში მიტოვებულ საკუთარ სახლებში დაბრუნდებოდნენ და საერთოდ ეს

¹⁰⁶ არაოფიციალურად ორგანიზაცია მოქმედებდა უკვე 2008 წლის 21 დეკემბრიდან და პირველსავე შეკრებაზე ყაზბეგი, თრუსოს და დარილის ხეობები „აღმოსავლეთ ოსეთად“ გამოაცხადა. „დარიალი“ საქართველოს საზღვართან მსხვილი პროვოკაციის მოწყობას გეგმავს, 30.08.2010; <http://www.kvirispalitra.ge/politic/4752-qdarialiq-saqarthvelos-sazghvarthan-mskhvili-provokaciis-motsyobas-gegmavs.html>

¹⁰⁷ „დარიალი“ ყაზბეგსა და თრუსოს ოსურ მიწებად თვლის; <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1972363.html>

ტერიტორია დამოუკიდებელი სამხრეთი ოსეთის ნაწილი გახდებოდა. ის აგრეთვე ამბობდა რომ - „საჭიროა დაიწყოს ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის პასპორტიზაცია რადგან იქ უმრავლესობას ოსები წარმოადგენენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ორგანიზაციის წევრები პრეზიდენტ კოკოითის 2009 წლის აგვისტოში შეხვდნენ. მან სრული მზადყოფნა გამოთქვა დაიცვას ჩვენი ინტერესები".¹⁰⁸ სალბიევი აღნიშნავდა რომ - "პირადად გამოკითხა ჩრდილოეთ ოსეთისა და ყაზბეგის მოსაზღვრე რაიონებში მცხოვრები ადამიანები და ისინი სამხრეთი ოსეთის მოქალაქეობის მისაღებად მზად არიან"¹⁰⁹.

სამხრეთ ოსეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების გამო ეს საკითხი სამომავლოდ იქნა გადატანილი. კოკოითიმ თავის გადადგომამდე კიდევ გამოთქვა ერთი პროვოკაციული მოსაზრება სადაც მოსახლეობას შეჰპირდა რომ ის საფუძვლიანად დაიცავს ოსურ ინტერესებს თრუსოს ხეობის მიმართულებით. მან მაშინ ისიც დასძინა რომ „თრუსოს, კობის, დარიალისა და გუდის ხეობები ისტორიული ცენტრალური ოსეთის ნაწილია მაგრამ ამ ტერიტორიების დაბრუნებას იარაღით ხელში არავინ არ აპირებს.¹¹⁰ საყურადღებოა ტერმინ „ცენტრალური ოსეთის“ გამოყენება რაც ერთი მხრივ სრულიად უსაფუძვლოა ისტორიული თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი ძალიან დიდ პროპაგანდისტულ როლს თამაშობს სეპარატისტების საქმიანობაში. შემდგომში ეს დიდი პოლიტიკური თამაშის იარაღი გახდა რომელიც დღემდე გამოიყენება როგორც ძლიერი იდეოლოგიური იარაღი ანტიქართული ორგანიზაციების საქმიანობაში.

„დარიალის“ გარდა ვლადიკავკაზში ბოლო წლების განმავლობაში მოქმედებდა აგრეთვე ორგანიზაცია სახელად - „გაერთიანებული ოსეთისთვის“ რომლის პროგრამაში შედიოდა ე.წ. ცენტრალური ოსეთის ანუ ყაზბეგის რაიონის „დაბრუნება“. ორგანიზაციის ლიდერია ალიხან ხუგაევი რომელიც თავის თავს თვლის „ოსი ერის უფლებების დამცველად“. ორგანიზაცია 2004 წლიდან

¹⁰⁸ ჩრდილოეთ ოსეთში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია "დარიალი" ყაზბეგის რაიონის ე.წ. სამხრეთი ოსეთისთვის მიერთების ინიციატივით გამოდის;

<http://club.geurasia.org/index.php?showtopic=9518&mode=threaded&pid=246005>

¹⁰⁹ Ibidem

¹¹⁰ თრუსოს ხეობა არასოდეს ეკუთვნოდა საქართველოს,

http://resonancedaily.com/index.php/index.php?id_rub=2&id_artc=1480

მოქმედებს მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში უფრო გააქტიურდა, სავარაუდოდ გაირბევ სალბიევის ინიციატივის საპასუხოდ. თუ რამდენად აგრესიული და ამავდროულად სრულიად გაუგებარია ალიხან ხუგაევის შეხედულება ქართულ-რუსულ საზღვართან დაკავშირებით, შეიძლება გავიგოთ მისი ერთ-ერთი გამოსვლისას წარმოთქმული სიტყვებიდან. შინაარსში რომ არაფერი შევცვალოთ ავტორმა გადაწყვიტა გამოსვლის სიტყვები ორგინალურ ანუ რუსულ ენაზე დაეტოვებინა: „Осетины никогда не снимали вопрос возвращения своих исконных земель. Грузинские историки, журналисты не хотят признавать исторические факты. По их мнению и убеждению, все северокавказские территории принадлежали Грузии, а все северокавказские народы – гости на грузинских землях. Козырным аргументом грузинских дипломатов являются заявления о том, что граница между Грузией и Россией проходит по естественной границе – Главному Кавказскому хребту. А Казбегский район находится на северных склонах Главного Кавказского хребта, и как тогда быть с такими «аргументами»? Грузины в этом регионе появились в XIX веке. Осетины проживали в Трусовском ущелье, Кобинской котловине, Гудском ущелье. Вся топонимика там имеет осетинское происхождение: реки, горы, ущелья. Там нет ни одного грузинского памятника археологии старше 120 лет. Грузинские власти усердно стараются выкорчевать всю осетинскую топонимику и переименовать на грузинский лад. Даже название поселка Казбеги переименовали в Степанцминда, потому что известный писатель Александр Казбеги имел ингушские корни.“¹¹¹

ხუგაევის სიტყვებს კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ქართველი ისტორიკოსები რადგანაც ეს ფაქტების ფალსიფიცირებაა. აქედან აგრეთვე კარგად ჩანს რომ ამ და ამის მსგავსი ორგანიზაციების პროპაგანდისტული საფუძველი არის მათ მიერ აღიარებული ისტორიის ინტერპრეტაცია, ანტიქართული რიტორიკა და საზღვრების ახალი დემარკაციის სურვილი. აქამდე ამ ორგანიზაციამ ვერ მიაღწია ვერავითარ შედეგს გარდა იმისა რომ ისევე როგორც

¹¹¹ „Осетины никогда не смиряются с потерей своих земель, 10.02.2015;
<http://www.ekhokavkaza.com/content/article/26840770.html>

„დარიალის“ შემთხვევაში, მოახერხა რამდენიმე ათეული მხარდამჭერის შეგროვება. არც „დარიალი“ და არც „გაერთიანებული ოსეთისთვის“ საკუთარ საქმიანობაში არასოდეს არ გადასულან პრაგმატული და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის ეტაპზე. ალბათ ამის გამო, ამ პროპაგანდისტულ ბრძოლაში გამოჩნდა მესამე ძალა რომელიც ამჟამად ლიდერობს ამ საკითხში და რომელმაც პირველმა ამ ტიპის სტრუქტურებს შორის პირდაპირ დაარტყა საქართველოს.

საუბარია ორგანიზაციაზე რომლის სახელიცაა „ყაზბეგი“. ამ სტრუქტურის ლიდერია სერგო თუათი. ბოლო დროს ზუსტად ეს ორგანიზაცია ატარებს ყველაზე ძლიერ პროპაგანდისტულ საქმიანობას რათა აიძულოს საქართველოს მთავრობა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ოსების დასაბრუნებლად ყაზბეგის რეგიონში. ამ მიზნით თუათიმ წერილი გაუგზავნა საქართველოს სახალხო დამცველს 2015 წლის იანვარში (იხილეთ დანართი). „ყაზბეგის“ ლიდერმა გამოთქვა თავისი უკმაყოფილება იმის გამო რომ ქართველი მესაზღვრეები 2014 წლის ივნისიდან აღარ უშვებენ ოსებს თავიანთ ყოფილ სახლებში, სოფელ კობში. ის ამ ფაქტს ადამიანის გადაადგილების უფლების დარღვევად თვლის და ითხოვს რეაგირებას. საქართველოს მხარემ ეს წერილი უკომენტაროდ დატოვა მაგრამ ცოტა ადრე აღნიშნა რომ ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით ზოგიერთი ორგანიზაციის ლიდერი გამოცხადებული იქნება პერსონა ნონ გრატად. ასეც მოხდა და ამჟამად ვერც ზემოთ ნახსენები სალბიევი და ვერც ხუგაევი ვეღარ შემოდინან საქართველოში. ცოტა სხვა სიტუაციაა თუათისთან დაკავშირებით. იგი რუსული პასპორტის გარდა არის ასევე ევროკავშირის ერთ-ერთი ქვეყნის პასპორტის მფლობელი. საუბარია ბელგიაზე რომელშიც ევროკავშირის არაოფიციალური დედაქალაქი ბრიუსელია განლაგებული და იქ აგრეთვე ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბ-ბინაა. ამაზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ რომ თუათის საქმიანობა გაგრძელდება ევროპაში და იქაური ოფიციალური ან არაოფიციალური მხარდაჭერით იბრძოლებს ეთნიკური ოსების ყაზბეგის რეგიონში დასაბრუნებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ორგანიზაცია „ყაზბეგი“ დღეის მდგომარეობით არის ყველაზე საშიში და ყველაზე გავლენიანი სეპარატისტული

სტრუქტურა რომელიც მოქმედებს საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის დესტაბილიზაციის მიზნით. თბილისმა რომც აუკრძალოს საქართველოში შემოსვლა, თუათი უპრობლემოდ შეძლებს ჩამოვიდეს ბელგიური პასპორტით. მას ჰყავს საკმაოდ ძლიერი სანაცნობო არა მარტო თბილისში არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით რაც კიდევ უფრო აადვილებს მის საქმიანობას. აუცილებელია საქართველოს უსაფრთხოების ორგანოების მუშაობა ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ თორემ სხვა შემთხვევაში რუსეთის დახმარებით „ყაზბეგი“ უახლოეს მომავალში შეიძლება გახდეს დესტაბილიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

1.5 პანკისის ხეობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა თავში, პანკისის ხეობა ბოლო წლების განმავლობაში სულ რჩებოდა ერთ-ერთ მთავარ პრობლემატურ კვანძად ქართულ-რუსულ ურთიერთობებში. სირიაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ მას დაემატა კიდევ ერთი რთული საკითხი. ისლამური სახელმწიფოს მხარდასაჭერად და დასახმარებლად პანკისის ხეობიდან მიდის სულ უფრო მეტი ახალგაზრდა რომელთა ნაწილიც სისხლიანი კონფლიქტის მსხვერპლი ხდება. სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა როცა ისლამურმა სახელმწიფომ კავკასიის ტერიტორიაზე საკუთარი პროვინციის დაარსების შესახებ გააკეთა განცხადება 2015 წლის ივნისში. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა მაშინ თქვეს რომ ისლამური სახელმწიფოს მოქმედებები მათი ყურადღების მიღმა არ რჩება და ამასთან ხაზი გაუსვეს რომ შესაბამისი ზომები ნამდვილად იქნება მიღებული.¹¹² თბილისმა იცის რომ ამჟამად ეს დაჯგუფება საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო საქართველოსა და კავკასიის სხვა სახელმწიფოებისთვის არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ამის გამო თბილისის რეაქცია საკმაოდ სწრაფი იყო და პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად რამდენიმე ადგილობრივი

¹¹² ამასთან დაკავშირებით ისლამური სახელმწიფოს პრესამსახურის ხელმძღვანელის მიერ გაკეთებულ იქნა სპეციალური განცხადება: „ვულოცავთ ისლამური სახელმწიფოს ჯარისკაცებს კავკასიაში ხალიფასადმი ერთგულების ფიცის დადებას. ის იღებს თქვენს ფიცს და აბუ მუჰამად ალ-ქადარს ნიშნავს კავკასიის მმართველად“; Vakhtang Maisaia, Islamic Caliphate Establishes Geopolitical Power Centre in the Caucasus, „The Georgian Times“ N. 12 (1555), 29 June 2015;

მცხოვრები დაკავებულ იქნა.¹¹³ აღსანიშნავია რომ მათ შორის იყო აგრეთვე თარხან ბათირაშვილის ბიძაშვილი. ბათირაშვილი ასევე ცნობილია როგორც ომარ ალ-შიშანი და იგი რადიკალი ისლამისტების ერთ-ერთი მეთაურია. თარხან ბათირაშვილი დაიბადა და გაიზარდა სოფელ ბირკიანში სადაც აქამდე ცხოვრობს მისი მამა. ჯიჰადი არ არის ალ-შიშანის პირველი გამოცდილება საომარ კონფლიქტებში. ის საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარისკაცი იყო 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს.

საქართველოს მთავრობის მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია და ინფორმაციის შეგროვება ალ-შიშანის პოტენციური მოკავშირეების შესახებ გვიჩვენებს რომ ტერორიზმის საკითხი ნამდვილად რჩება ყურადღების ცენტრში რაც მისასაღმებელია. ვინაიდან ისლამური სახელმწიფოს პრობლემატიკა ძალიან რთულია და მას ცალკე ანალიზი დასჭირდებოდა, მე ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ პანკისის ხეობაზე და დავეყრდნობი ამჟამინდელ კონიუნქტურას.

პირველ რიგში საყურადღებოა ამ რეგიონში გატარებული შიდა პოლიტიკის ასპექტები. 2015 წლის ივნისში დაიშალა უხუცესთა საბჭო რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელისუფლების არაოფიციალური ორგანო იყო და რომელიც პირდაპირ კონტაქტში იმყოფებოდა საქართველოს თვითმმართველობასა და მთავრობასთან. როგორც საბჭოს თავმჯდომარე სოლცა ქავთარაშვილი აცხადებდა „რამდენიმე უხუცესი მოსახლეობას აზრს არ ეკითხებოდა და პირადი ინტერესების გამო თვითნებურად მოქმედებდა“ რამაც საბოლოოდ გამოიწვია საბჭოს ორ ნაწილად გაყოფა.¹¹⁴ აღსანიშნავია რომ პოლიტიკური კრიზისი ნებისმიერ რეგიონში ყოველთვის დესტაბილიზაციის შესაძლო წყაროა. ასეთი მოვლენების განვითარება განსაკუთრებით საშიშია პანკისისთვის იმის გათვალისწინებით რომ თავისი ინტერესების რეალიზაციისთვის ეს სიტუაცია შეიძლება გამოიყენოს როგორც ისლამურმა სახელმწიფომ ისე კავკასიის ემირატმა და რუსეთმაც კი. უხუცესთა საბჭოს წევრების

¹¹³ პანკისის ხეობაში სპეცოპერაციის შედეგად რამდენიმე ადგილობრივი დააკავეს; <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/334560-pankisis-kheobashi-specoperaciis-shedegad-ramdenime-adgilobrivi-daakaves.html?ar=A>

¹¹⁴ პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭო დაიშალა – რამ გამოიწვია დაპირისპირება; <http://ick.ge/articles/22184-i.html>

მენტალიტეტი და აზროვნება სრულიად განსხვავდება ახალგაზრების იდეებისგან რომელთა დიდმა ნაწილმა განათლება რადიკალურ ისლამურ სკოლებში მიიღო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. მათთვის მიუღებელია ყურანის კანონების დარღვევა ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათ შორის თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლის დალევა, ღორის ხორცის ჭამა და ა.შ. უხუცესთა საბჭოს წევრები კი რომლებიც სულ სხვა, კომუნისტურ რეალობაში არიან გაზრდილები ზემოაღნიშნულ საქციელს არ თაკილობდნენ რაც თაობებს შორის იდეოლოგიური შეტაკების საფუძველი გახდა. ახალგაზრდებისთვის მიუღებელია ისეთი სიტუაცია როცა მათი ხმა ნაკლებად ან საერთოდ არ არის გათვალისწინებული რეგიონში გადაწყვეტილების მიღების დროს. ამ მდგომარეობაში შიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრიზისი პრინციპში ადრე თუ გვიან უნდა დაწყებულიყო. ძალიან ცუდია რომ ეს მომენტი დაემთხვა ისლამური სახელმწიფოს გაძლიერებას კავკასიაში. მით უმეტეს რომ ისლამური სახელმწიფო თავისი პოზიციების გასაძლიერებლად მზად არის დაიწყოს კონფლიქტი ერთი მხრივ კავკასიის საემიროსთან რომელსაც კონკურენტად თვლის და მეორე მხრივ კი რუსეთთან.

აღსანიშნავია ისიც რომ ისლამური სახელმწიფოს ვილაიეთის შემადგენლობაში შეიძლება აღმოჩნდეს ჩეჩნეთი, ინგუშეთი, დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი და სხვა ჩრდილოკავკასიური რეგიონები. ისლამური სახელმწიფოს ტერიტორიების გაფართოება ნამდვილად მოახდენს ზეგავლენას პანკისის ხეობაზეც. ამის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ რომ შემდეგ წლებში ამ რეგიონში მოსალოდნელია შიდა პოლიტიკური კრიზისის მომდევნო ტალღა და იმავდროულად პანკისის რადიკალიზაცია, განსაკუთრებით თაობების ბუნებრივი ცვლის პროცესის ფონზე. ორ ნაწილად გაყოფილი უხუცესთა საბჭო წარმოადგენს ამ შიდა კრიზისის ერთ-ერთ მთავარ წყაროს და ნამდვილად აუცილებელია საჭირო ზომების მიღება რათა საქართველოს საზღვარი ამ მონაკვეთზე სტაბილური და უსაფრთხო დარჩეს. როგორც საქართველოს მთავრობა გვარწმუნებს, ამ რეგიონში სიტუაცია ყურადღების მიღმა არ რჩება და შესაბამისი ორგანოები აწარმოებენ პოლიტიკას რომელიც შეესაბამება ამჟამინდელ კონიუნქტურას. გვინდა გვჯეროდეს რომ ნამდვილად ასეა. მეორე მხრივ

საყურადღებოა ისიც რომ რადგანაც პანკისის ხეობა დაკავშირებულია გლობალურ ისლამიზმთან, საჭირო ზომების მიღება აუცილებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით. მით უმეტეს რომ სირიაში საბრძოლველად ადამიანები აგრეთვე აჭარიდან და ქვემო ქართლიდანაც მიდიან, ხოლო საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა ტერორისტებს ხელს უწყობს ამ ტერიტორიის ტრანზიტის მიზნით გამოყენებაში.

აღსანიშნავია ისიც რომ ისლამური ვაჭაბიტური მოძრაობა არსებობს აჭარაში, ქვემო ქართლსა და სეპარატისტულ აფხაზეთშიც თუმცა ამ რეგიონებში იგი ჯერჯერობით ნაკლებად ორგანიზებულია. მეორე მხრივ საყურადღებოა რომ 2014-2015 წლებში აფხაზეთში მკვეთრად იმატა ისლამის მიმდევართა რაოდენობამ რომელთა ძირითადი საქმიანობა ამ ეტაპზე პროპაგანდა და თანამოაზრეების მეშვეობით ადგილობრივ მოსახლეობაში ლიტერატურის და იდეების გავრცელებაა.¹¹⁵ ქართველი ექსპერტის ვახტანგ მასაიას ინფორმაციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოჩნდნენ ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლები, ე.წ. მოჯაჰედები რომლებიც სირიიდან ჩამოვიდნენ ლტოლვილების სახით. ამ ეტაპზე ნაკლებად შესაძლებელი ჩანს რადიკალური ისლამის გავრცელება აფხაზეთში მაგრამ ეს რეგიონი, ისევე როგორც საქართველის სხვა ტერიტორიები შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრანზიტისთვის და იდეების გასავრცელებლად. რაც შეეხება აჭარასა და ქვემო ქართლს, მუსლიმანების საკმაოდ დიდი რაოდენობის გამო ნამდვილად საჭიროა მეტი ყურადღება და მათი საქმიანობის დეტალური კონტროლი.

1.6 საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი და რუსეთი

საქართველოს საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე მოვლენების შესაძლო განვითარების თვალსაზრისით საჭიროა ასევე რუსული ასპექტის გათვალისწინება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და 2008 წლის საქართველოს წინააღმდეგ ომის შემდეგ რუსეთის

¹¹⁵ „ისლამური სახელმწიფოს“ მიმდევრები აფხაზეთშიც გამოჩნდნენ;
http://www.for.ge/view.php?for_id=41284&cat=3

ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა შტაბმა იმ გეგმის რეალიზაცია დაიწყო რომელიც ნატო-სთან სავარაუდო ომის შემთხვევისთვის შეიქმნა.¹¹⁶

რუსეთისთვის ნატო ყოველთვის იყო და დღემდე არის ყველაზე დიდი მტერი იმის მიუხედავად რომ ამ ორგანიზაციის არც ერთ წევრს არ სურს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყება. ყოველი შემთხვევისათვის მოსკოვმა 90-იან წლებში შეიმუშავა გეგმა რომელიც ამოქმედდებოდა ნატოს მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით შეტევის ცენტრად თურქეთი ითვლებოდა. ამაზე დაყრდნობით გეგმა მოიცავდა სამ ძირითად ზღუდეს: სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრზე (დღევანდელი საქართველო-თურქეთის საზღვარი), კავკასიონის ქედის გასწვრივ და სიღრმეში - როსტოვის ოლქისა და სტავროპოლის მხარის ტერიტორიაზე.¹¹⁷

გეოპოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა მაშინ როცა საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა რომ საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი ნატოში გაწევრიანებაა. რუსული თავდაცვითი პოლიტიკის და გეგმის მიხედვით ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა არა თურქულ-ქართული საზღვარი არამედ პირდაპირ ქართულ-რუსული მონაკვეთი რომელიც ძირითადად მაღალმთიან რეგიონებში გადის. თავისთავად, მოსკოვის პრიორიტეტია ხელში ჩაიგდოს რაც შეიძლება მეტი სტრატეგიული პოზიცია რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს, განსაკუთრებით კი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას. სამწუხაროდ რუსეთის თავდაცვითი გეგმა დღემდე ხორციელდება და მის შედეგებს ყველა ხედავს: სეპარატისტული ტერიტორიების და ამ რეგიონში განლაგებული სტრატეგიული ხეობებისა და უღელტეხილების სრული კონტროლი, კოდორის ხეობის წართმევა 2008 წელს, სტრატეგიული მამისონის ხეობის კონტროლი, მცოცავი ოკუპაცია, ბანერების და მავთულხლართების დადგმა, სეპარატისტული ორგანიზაციების მხარდაჭერა რომელთა მიზანიცაა ე.წ. ცენტრალური ოსეთის შექმნა ყაზბეგის

¹¹⁶ რუსეთი ნატო-სთან ომის შემთხვევისთვის შექმნილი გეგმის ფორსირებულად განხორციელებას იწყებს; <http://www.internet.ge/v3-0/index.php?action=news&category=3&news=68884>

¹¹⁷ Ibidem

რეგიონში და ამ ყველაფრის ფონზე მთიანი რეგიონების ხალხისგან დაცლა რაც ძალზე საშიშია საზღვრების ბუნებრივი კონტროლის თვალსაზრისით.

როგორც ექსპერტი მამუკა არემიძე აცხადებს ზემოაღნიშნული რუსული გეგმის რეალიზაციას ემსახურება ბოლო პერიოდში დაგეგმილი და განხორციელებული რამდენიმე პროექტი: 270 კმ-იანი გზა ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან მარუხის უღელტეხილის გავლით აფხაზეთისკენ, კალაკი-მამისონის გზა და მისი გაგრძელება ჯავისკენ (სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე), ცხინვალი-ახალგორის გზა, უკვე არსებული როკის გვირაბის რესტავრაცია და ახალი გვირაბების გაჭრა, ჩეჩნეთის ითუმ-ყალეს რაიონიდან შატილამდე გზის აღდგენა, ავარეთ-კახეთის გზა საქართველოს საზღვრამდე, რკინიგზის აღდგენა აფხაზეთის მონაკვეთზე.¹¹⁸ ეს მხოლოდ ძირითადი სამუშაოებია რომლებიც ადვილად გვიჩვენებს რომ თავდაცვითი გეგმა მართლაც რეალიზაციის პროცესშია და უახლოეს მომავალში შეიძლება ახალი „ინვესტიციების“ დაწყებას ველოდოთ რაც კიდევ უფრო გაზრდის რისკებს საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის უსაფრთხოების და სტაბილიზაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ამ საკითხებთან დაკავშირებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, უკვე ნახსენები ასპექტი, კერძოდ კი დემოგრაფიული მდგომარეობა. უზარმაზარი რაოდენობის ქართული სოფლები მთიან რეგიონებში თითქმის დაცლილია. ბოლო წლებში მთიან რეგიონებში 200-ზე მეტი სოფელი დაიცალა თუმცა ამ პროცესის ზუსტი სტატისტიკა ჯერ არ არსებობს.¹¹⁹ დაცლის მიზეზი ცხოვრების ძნელი პირობები, უმუშევრობა და გლობალიზაციის ბუნებრივი პროცესია, ეს აგრეთვე დაკავშირებულია შიდა და გარე მიგრაციასთან. ნამდვილად მისასალმებელია საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მთიანი რეგიონების მიმართ პროტექციონისტული პოლიტიკის დაწყების შესახებ.¹²⁰ ახალი ინიციატივის მთავარი მიზანი მთიანი სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის

¹¹⁸ რუსეთი ნატო-სთან ომის შემთხვევისთვის შექმნილი გეგმის ფორსირებულად განხორციელებას იწყებს; <http://www.internet.ge/v3-0/index.php?action=news&category=3&news=68884>

¹¹⁹ გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობა 200-ს აჭარბებს, http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=23594

¹²⁰ კანონი, რომელმაც მთას უნდა უშველოს; <http://www.radiotavisupleba.ge/content/mtis-kanoni/26586911.html>

შეჩერება და ამ რეგიონებში ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაა. როგორც გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გია ჟორჯოლიანი აანონსებს - უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია კიდევ ერთი ახალი - მთის სამინისტროს შექმნა.¹²¹ ამ ინიციატივამ პოლიტიკურ სცენაზე დიდი რეზონანსი გამოიწვია რადგანაც ეს საკითხი თავისთავად დაკავშირებულია ბიუჯეტთან და თანაც პრინციპში ჯერჯერობით გაუგებარია თუ კონკრეტულად რა მიმართულებებით იმუშავებს ახალი სამინისტრო. ასეა თუ ისე, ეს ნაბიჯი ნამდვილად მოუტანს მეტ ყურადღებას მაღალმთიან რეგიონებს ანუ სახელმწიფოს ჩრდილოეთ ნაწილს და ამავდროულად საზღვრის ყველაზე არასტაბილურ მონაკვეთებს. ამიტომ, ამ თვალსაზრისით ინიციატივა ნამდვილად მოწონებას იმსახურებს, ოღონდ საჭიროა გეგმის შემუშავება ყველა მხარის პოზიციის გათვალისწინებით (მათ შორის ოპოზიციისაც).

ზემოთ აღწერილი რუსული თავდაცვითი პოლიტიკის რეალიზაციის ფონზე, მთიან რეგიონებში გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი რომელიც ინვესტიციების მოზიდვასა მოსახლეობის დამაგრებას ისახავს მიზნად დადებით როლს ითამაშებს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. გამომდინარე იქიდან რომ საქმე გვაქვს ძალიან მნიშვნელოვან და სტრატეგიულ საკითხთან, მთავრობის ინიციატივას ნამდვილად სჭირდება კოორდინაცია რომელშიც ჩართულნი იქნებიან მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობა, ასევე ცენტრალური ხელისუფლება და სხვადასხვა უწყებები.

¹²¹ „ქართული ოცნება“ მთის მინისტრის პოსტის შემოღებას აპირებს, „ახალი თაობა“, ნომერი 135 (6755), 12 ივნისი 2015.

კვლევის დასკვნები

- საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი უდიდეს ნაწილში ემთხვევა კავკასიონის მთავარ ქედს რომელიც ყოფს რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიებს;
- საქართველოს ჩრდილო საზღვარი ისტორიის განმავლობაში ყველაზე ნაკლებად განიცდიდა ცვლილებებს რადგანაც გადიოდა ბუნებრივ ზღუდეზე და ამის გამო საკმაოდ მკაფიოდ იყო დაფიქსირებული.
- რუსეთის დაინტერესება კავკასიის რეგიონით შეიმჩნევა ძირითადად მე-16 საუკუნიდან, რამაც შედეგად გამოიწვია რუსეთის გრძელვადიანი კონფლიქტი თურქეთსა და სპარსეთთან და ზეგავლენა მოახდინა რეგიონის როგორც გეოგრაფიულ ისე დემოგრაფიულ მდგომარეობაზე;
- საზღვრის ჩრდილოეთი მონაკვეთი ამჟამად ყველაზე არასტაბილურია და იმყოფება რუსეთის უკანონო და გაუთვალისწინებელი მოქმედებების მუდმივი რისკის ქვეშ;
- საქართველო-რუსეთის საზღვარი დემარკირებული და დელიმიტირებული არ არის; იგივე სიტუაციაა სომხეთსა და აზერბაიჯანთანაც ოღონდ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ეს საკითხი ამჟამად ყველაზე პრობლემატური და მტკივნეული მხოლოდ რუსეთთან მიმართებაშია.
- დემარკაციის პროცესს - რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო - ართულებს სეპარატისტული რეგიონების არსებობა და რუსეთის მიერ განხორციელებული ე.წ. მცოცავი ოკუპაცია;
- საქართველო - რუსეთის საზღვარზე არსებული 44 გადასასვლელიდან 20-ზე მეტს რუსეთი აკონტროლებს და ტერიტორიების წართმევის ბოლო ინციდენტი 2008 აგვისტოს ომის დროს მოხდა;
- 2014 წელს კრემლი შეეცადა გაეცოცხლებინა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს არსებული პროექტი - ე.წ. ავარეთ-კახეთის დამაკავშირებელი გზა რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას საომარი

მიზნებისთვის. აქედან გამომდინარე საქართველო შეიძლება გახდეს სამხრეთი შეტევის მსხვერპლი - დასავლეთი (აფხაზეთის მონაკვეთი), ცენტრი (ცხინვალის რეგიონი), აღმოსავლეთი (დაღესტანი);

- რუსეთი რეგულარულად არღვევს საერთაშორისო კანონებს და 2008 წლის სამშვიდობო შეთანხმების პირობებს საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე. ამის ერთ-ერთი მაგალითია სეპარატისტულ რეგიონებთან გაფორმებული ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულებები რაც შეიძლება ანექსიის მცდელობად შევაფასოთ;
- არსებობს რისკი რომ რუსეთი გააგრძელებს დიპლომატიურ მუშაობას საერთაშორისო არენაზე რათა გაზარდოს იმ ქვეყნების რიცხვი ვინც აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობას მიუხედავად იმისა რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, ამ დოკუმენტებს არანაირი სამართლებრივი ღირებულება არ აქვს.
- ოპოზიციური ძალების ბლოკი რომელიც 2015 წლის გაზაფხულზე შეიქმნა აფხაზეთში, არის პირველი პროაფხაზური ძალა რომლის მიზანია სტატუს-კვოს შენარჩუნება რუსეთთან ურთიერთობებში. ეს შეიძლება გახდეს ამ ძალის პოლიტიკური დაპირისპირებისა და კონფლიქტის მიზეზი ხაჯიმბას მოკავშირეებთან;
- მამისონის უღელტეხილის სიახლოვეს მშენებარე რუსული კურორტი გამოიწვევს ამ რეგიონით უფრო დიდ დაინტერესებას და ამის შედეგად ეს ტერიტორია მომავალში შეიძლება გახდეს დამაბულობის მორიგი წყარო პროპაგანდისტული პროვოკაციების ფონზე;
- „მცოცავი ოკუპაცია“ რომელსაც რუსეთი დღევანდელ დღემდე აგრძელებს, სავარაუდოდ დიდხანს არ გაჩერდება რადგანაც ზუსტად ეს გახლავთ საქართველოს მიმართ გატარებული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი. მცოცავი ოკუპაცია ამავდროულად დღეს ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ამ რეგიონში მოვლენების განვითარებაზე;

- კრემლი საბჭოთა პერიოდის რუკების მიხედვით მოქმედებს და სამხრეთი ოსეთის იმ საზღვრებში მოქცევას ცდილობს რომლებიც იმ დროს არსებობდა;
- რუსულ პოლიტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ რომ მცოცავი ოკუპაცია მომავალშიც გაგრძელდება მინიმუმ ერთი ძირითადი მიმართულებით მაინც: ახალგორისა და დუშეთის ადმინისტრაციული საზღვრის გაყოლებაზე. საფრთხეშია ასევე თბილისი-გორის მაგისტრალი, ყაზბეგთან მდებარე სამხედრო გზის ნაწილი და საჩხერესთან დამაკავშირებელი გზა;
- ვლადიკავკაზსა და ცხინვალში მოქმედი ისეთი სეპარატისტული ორგანიზაციები როგორცაა „დარიალი“, „გაერთიანებული ოსეთისთვის“ და „ყაზბეგი“ წარმოადგენენ საშიშროებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის რადგან მათი მთავარი ამოცანა ე.წ. ცენტრალური ოსეთის შექმნა და მისი ოსეთის დანარჩენ ტერიტორიებთან შეერთებაა;
- პანკისის ხეობაში შიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრიზისი შეიძლება გამოყენებულ იქნას რადიკალური ისლამური დაჯგუფებების მიერ (განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ისლამური სახელმწიფო) თავიანთი ინტერესების გასატარებლად რაც საქართველოში ტერორიზმთან დაკავშირებულ საშიშროებას უდავოდ ზრდის;
- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსულმა გენერალურმა შტაბმა იმ გეგმის რეალიზაცია დაიწყო რომელიც ნატო-სთან სავარაუდო ომის შემთხვევისთვის შეიქმნა. გეგმა სამ ზღუდეს ითვალისწინებს: ყოფილი სსრკ სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრზე (დღევანდელი საქართველო-თურქეთის საზღვარი), კავკასიონის ქედის გასწვრივ და სიღრმეში - როსტოვის ოლქისა და სტავროპოლის მხარის ტერიტორიაზე. გამომდინარე იქიდან რომ საქართველო ნატო-ს უახლოვდება, რუსეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ზღუდე ამჟამად კავკასიონის მაღალმთიან რეგიონებშია. კრემლის ინტერესებშია ხელში ჩააგდოს რაც შეიძლება მეტი სტრატეგიული

პოზიცია რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას;

- ახლო მომავალში გასათვალისწინებელია საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე დესტაბილიზაციის მორიგი მცდელობები, განსაკუთრებით საქართველოს ნატო-სთან ინტეგრაციის დაჩქარების შემთხვევაში.

რეკომენდაციები

- ჩრდილოეთი საზღვრის გაძლიერება პოლიტიკური, დიპლომატიური, იურიდიული და ნებისმიერი სხვა, პრაგმატული გზით;
- რუსეთთან მოლაპარაკების გაგრძელება საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის შესახებ დიალოგის ყველა შესაძლო ფორმატის ფარგლებში;
- მთიანი რეგიონების განვითარება, განსაკუთრებით დემოგრაფიული თვალსაზრისით;
- მთიან რეგიონებში სამუშაო ადგილების შექმნა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, დაცლილი სოფლების აღდგენა ინვესტიციების ზრდის მეშვეობით;
- აფხაზებს, ოსებსა და ქართველებს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არსებული კანონის ლიბერალიზაცია ამ კუთხით;
- ანტიქართული პროპაგანდის შეჩერება და ისეთი სეპარატისტული ორგანიზაციების როგორცაა - „დარიალი“, „გაერთიანებული ოსეთისთვის“ და „ყაზბეგი“ ნეიტრალიზაცია;
- პანკისის ხეობაში საზოგადოებრივი და პოლიტიკური შიდა სტაბილურობის ხელშეწყობა სოციალურ, პოლიტიკურ და რელიგიურ დონეზე;
- ე.წ. ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობის შეჩერება რომელიც რეგიონში საომარი მოქმედებების ესკალაციის შემთხვევაში საქართველოს წინააღმდეგ იქნება გამოყენებული რის შედეგადაც ქვეყანა დარჩება ე.წ. „ზურგის“ გარეშე;

- ეთნიკური აფხაზების ნეგატიური პოზიციის გაზიარება რკინიგზის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მხოლოდ რუსეთს აძლევს ხელს;
- რუსეთთან მოლაპარაკების პროცესის შენარჩუნება;
- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შენარჩუნება და გაფართოება მთელ მაღალმთიან რეგიონში.

რეზიუმე

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს ქვეყნის უსაფრთხოებაში. მიუხედავად იმისა რომ საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოს საზღვარი ამ მონაკვეთზე სხვებთან შედარებით ყველაზე ნაკლებ ცვლილებებს განიცდიდა, ამჟამად ეს რეგიონი ყველაზე არასტაბილურია და მუდმივი რისკის ქვეშ იმყოფება რუსეთის მხრიდან.

ამ კვლევის მიზანია საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის ისტორიული და დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი, ე.წ. „ცხელი წერტილების“ შედარება, პრობლემების გამოვლენა და ამ ყველაფერზე დაყრდნობით საჭირო რეკომენდაციების შემუშავება უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

კვლევაში ყველაზე დიდი ყურადღება დაეთმო ისეთ გეოგრაფიულ რეგიონებს როგორცაა აფხაზეთი, მამისონის უხელტელილი, ცხინვალის რეგიონი, თრუსოს ხეობა, დარიალის ხეობა, მთელი ყაზბეგის რაიონი, პანკისის ხეობა და საქართველო-დაღესტნის საზღვრის გასწვრივ მდებარე მაღალმთიანი ტერიტორია. რასაკვირველია გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე სხვა რეგიონების პრობლემებიც რომლებიც ავტორმა ჩათვალა საინტერესოდ აქ განხილული საკითხის ანალიზისათვის.

რეგიონში არსებული ამჟამიდელი კონიუნქტურის გამო რუსული ფაქტორის გარდა გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე რადიკალური ისლამის პრობლემაც და მისი შესაძლო ზეგავლენა საზღვარზე მოვლენების განვითარების პროცესზე. ეს საკითხი ძირითადად დაკავშირებულია პანკისის ხეობასთან. ვაჭაბიტური ისლამის პრობლემა ეხება მთელ მსოფლიოს და საქართველოც ჩართული უნდა იყოს გლობალურ ბრძოლაში ტერორიზმის წინააღმდეგ.

კვლევაში საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო რუსეთის პოლიტიკურ და სტრატეგიულ სამომავლო გეგმებს საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან მიმართებაში რადგანაც კრემლის თვალსაზრისით ეს ტერიტორია გახლავთ რუსეთსა და ნატო-ს შორის ბუნებრივი საზღვარი. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო

მკაფიოდ გვიჩვენებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს საზღვარი და მთელი აღნიშნული ტერიტორია საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის.

Summary

The strategic passages on the northern border of Georgia and their role in the country's security - geopolitical and historic analysis

The northern part of the Georgian state border plays a key role from the national security point of view. Despite the fact that this part of the border was facing considerably minor territorial changes over the last centuries, today this region is being considered as the most unstable due to the Russian factor.

The main aim of the research is to analyze the past and present geopolitical situation on the Russian – Georgian border as well as to mark the most problematic issues and on the base of it indication of recommendations for the future to secure the stability in the region.

Quite large space in the research was devoted to such regions like Abkhazia, Mamisoni Gorge, Tskhinvali Region, Kazbegi Region including Truso and Darliali gorges, Pankisi Gorge and the whole region along the border with Dagestan. Many other parts of northern border were also analyzed if it was necessary for the better understanding of the whole research.

Duo to the present geopolitical processes in the region, apart from the Russian factor also the issue of radical Islam was scrutinized to some necessary degree. This problem is related in general with the Pankisi George. The problem of “Islamic State” and terrorism has an influence for the whole world and Georgia also should be a part of so called coalition in the battle against radical groupings.

The research includes also the issue of Russian future plans on the border with Georgia generally due to the fact that this region is being considered by the Kremlin as one of the natural “borders” with NATO. This fact underlines how important role plays this region in the context of territorial and national security of Georgia and the West.

დანართები

რუკები:


1. საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთი ოსეთის მონაკვეთი. საქართველოს სამხედრო გზა.




2. საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთი.





3. საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთი



4. საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთი



5. საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთი. ავართ-კახეთის გზა.



ორგანიზაცია „ყაზბეგის“ ლიდერის სერგო თუათის წერილი საქართველოს სახალხო დამცველს:



Regional public Association of Ossetian-Georgian friendship "Kazbek"
22 street A. Kolieva, Vladikavkaz, The Republic of North Ossetia-Alania,
Russia 362007 ☎ +7 918 824 22 99 ✉ tuati@yandex.ru

Северо-Осетинская Региональная Общественная Организация Осетино-Грузинской дружбы «Казбек»
362007, РСО-Алания, г. Владикавказ, ул. А. Колиева, 22 ☎ +7 918 824 22 99 ✉ tuati@yandex.ru
ОГРН 1141500000707 / ИНН 1513012490 / КПП 151301001

30.01.15

თქვენ მოგესალმებით ოსურ-ქართული მეგობრობის რეგიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია "ყაზბეგი". მოგმართავთ თქვენ უღრმესი თხოვნით გაგვიწიოთ დახმარება ჩვენი პრობლემის გადაწყვეტაში.

დაწყებული 2014 წლის ივნისიდან ჩვენი საზოგადოებრივი გაერთიანების წევრებს აღარ აძლევენ საქართველოს საზღვარზე გადასვლის უფლებას ჩვენ მშობლიურ სოფელ კობში. რომელიც მდებარეობს სტეფანწმინდიდან (ყოფილი ყაზბეგი) არც ისე შორს.

აღნიშნულ პერიოდამდე გადასვლასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ გვქონია. საქართველოს პოლიცია გაუგებარი მდგომარეობის გამო ხშირად გვიკრძალავს გადასვლას საკმაოდ უხეში ფორმით. ჩვენ ვერ ვახერხებთ ჩვენს სახლებში მოხვედრას, რათა ვმართოთ საოჯახო მურწეობა. გადასვლის აკრძალვის მიზეზს პოლიცია არ გვიხსნის და საკმაოდ უხეში ფორმით გვაიძულებს რუსეთის საზღვარზე დაბრუნებას. ჩვენი მოძრაობის თეთოეული წევრი თავიდანვე და დღეისდღეობით ითვლებიან კანონმორჩილ მოქალაქეებად, სუვერენული საქართველოს და საქართველოს სახელმწიფოს განუყოფლობის მომხრეებად. ისინი არ მონაწილეობდნენ არავითარ პოლიტიკურ მოძრაობებში, რომლებიც დიადი საქართველოს ღირსებას შელახვდა. ისინი თავს თვლიან მშვიდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის მეზობლებად ოსებსა და ქართველებს შორის როგორც რუსეთის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე. ყოველთვის ჰქონდათ მკაფიო და მუდმივი შეხედულება საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატიზმის ნებისმიერი ფორმის უკანონობაზე, და ჩვენი შეხედულებები არიან პირდაპირ საწინააღმდეგო საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედების.

ამ სიტუაციის ფონზე ჩვენთვის ძალიან საწყენია ჩვენსადმი ასეთი დამოკიდებულება საქართველოს პოლიციის მხრიდან. ეს დამოკიდებულება სრულებით დაუმსახურებელი და დაუსაბუთებელია.

გთხოვთ პირადად აიღოთ საკუთარი კონტროლის ქვეშ ჩვენი პრობლემის გადაწყვეტა. ვრწებით ყოველთვის თქვენს განკარგულებაში ნებისმიერი პროექტებისა და დავალებების შესასრულებლად, რომლებიც ეხება ოსურ-ქართული დამოკიდებულების მოსაგვარებლად. ამ წერილს ვურთავ ჩვენი მოძრაობის წევრების პასპორტების ასლებს და ხელმოწერებს.

პატივისცემით,

ოსურ-ქართული მეგობრობის

რეგიონალური საზოგადოებრივი

მოძრაობა "ყაზბეგის" ხელმძღვანელი

სერგო თუათი.

ქვლადიკავაზი

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნები:

1. როინ მეტრეველი, კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში, თბილისი 2007.
2. ჯონი კვიციანი, კავკასია და კავკასიელები, თბილისი 2010.
19. გურული ვ. საქართველოს საზღვრები საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1918-1921). რედ. ს. ვარდოსანიძე, თბილისი 2013.
3. თოლორდავა რ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ტრანსფორმაციის კარტოგრაფიული შესწავლილობა. კარტოგრაფია და თანამედროვეობა. გამ. „უნივერსალი“, თბილისი 2005.
4. კეკელია ჯ.ი. საქართველოს საზღვრები ვახუშტი ბაგრატიონის შრომების მიხედვით. ვახუშტი ბაგრატიონი – გეოგრაფი, გამ. თსუ, თბილისი, 1997
5. კეკელია ჯ. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბილისი, 1996
6. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები. ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ბათუმი–კონსტანტინეპოლი, 1919
7. საქართველო 2014 - ევროპიზაციის მოლოდინში, რედ. სოსო ცისკარიშვილი, თბილისი 2014
8. მამუკა არეშიძე, საქართველო–რუსეთის საზღვარზე არსებული მდგომარეობა და საფრთხეები, თბილისი 2010
9. მანანა ხვედელიძე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი, გეოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტები (XX საუკუნე), თბილისი 2000
10. ნინო ვაშაყმაძე სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921, ქუთაისი 2002
11. მალხაზ სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918, ბათუმი 2002
12. ა. დემეტრაშვილი, მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი 1992
13. ლ. თოიძე, ქართული დიპლომატია, ტომი I, თბილისი 1994
14. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი „საქართველოს სსრ.“, თბილისი 1981

15. ვახტანგ ჭარაია, „აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა“, თბილისი 2014
16. Thomas De Waal, The Caucasus, Oxford 2010
17. Kornely Kakachia, Michael Cecire, Gorgian foreign policy, the quest for sustainable security, Tbilisi 2013
18. Trans-Ingur/i economic relations: a case for regulation, Volume 2, April 2015, Author: Natalia Mirimanova Researchers: Vakhtang Charaia, Lolita Zade and Irma Jgerenaia.
20. S. Cornell, Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and separatism in the South Caucasus – Cases in Georgia, Uppsala 2002
21. Rossija i Kavkaz: skvoz dva stoletia, red. G.G. Lisicyn, Sankt-Peterburg 2001
22. N. Bugai, Severnij Kavkaz 90-e gody XX vieka, Moskva 2004
23. Lija Melikiszvili, Krizis etnokulturi i bezopasnost obszestwa. Pankiskoje uszelje, Tbilisi 2003
24. K.S. Gadziev, Geopolitika Kavkaza, Moskva 2001
25. Władimir Bobrownikow , Muslimani sewernogo Kawkaza, Moskwa 2002, Literatura orientalna PAN
26. Charles King, Widmo Wolności – Historia Kaukazu, Kraków 2010
27. B. Baranowski, K. Baranowski, Historia Gruzji, Wrocław 1987
28. Źródła nienawiści – konflikty etniczne w krajach postkomunistycznych, Kraków 2009
29. B. Strumiński, Czeczenia – Iczkeria i Czeczeńcy okiem językoznawcy, maszynopis, 2005
30. Tadeusz Bodio, Kaukaz: mechanizmy legitymizacji i funkcjonowania elit politycznych, Warszawa 2012
31. Piotr Prokopiuk, Walka Gruzji o niepodległość i integralność terytorialną 1989 – 2008, Lublin 2010
32. Strachota K., Bartuzi W., Reintegracja czy rekonkwista? Gruzja wobec Abchazji i Osetii Południowej w kontekście uwarunkowań wewnętrznych i międzynarodowych, OSW, Warszawa 2008.
33. Wojciech Materski, Gruzja (Historia państw XX wieku), Warszawa 2010

34. Jacques –Francois Gamba, Voyage dans la Russie meridionale, et particulierement dans les provinces situees au-dela du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824, Paris 1826

დოკუმენტები:

1. უახლესი ისტორიის არქივი, ფონ. 600, ან 2, საქ. 589; ფონ. 2119, ან 1, საქ.58.
2. 1922 წლის 2 მარტის საქართველოს სსრ კონსტიტუცია. ტფილისი 1922 წელი.
3. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებები 1957 წ.
4. Полное собрание законов Российской Империи (ПСЗРИ),1-е издание, том XXVI, статья 2007.
5. Кавказский календарь на 1902 г., Грузин. Издат. Товарищества.1901г., Ткачев Г.К. „Межевое дело в Закавказском крае“
6. Систематическое собрание законов РСФСР, действующих на 1-е января 1928 года (7 ноября 1917 г. – 31 декабря 1927 г.), том первый. Юридическое издательство НКЮ РСФСР, Москва, 1929г.
7. Ведомости Президиума Верховного Совета СССР, N10 , октябрь, 1943г.

რუკები:

1. генеральная карта Абхазии, 1:210000, 1830г.
2. Отчетная карта съемки общества Джигет и Аибг. До реки зымты, 1:84000, 1864г.
3. GoogleEarth-ის სატელიტური ელექტრორუკები

ამობეჯდილი პრესა:

1. რაზეონანსი 2011-2015
2. ახალი თაობა 2011 – 2015
3. ვერსია 2011 – 2015
4. კვირის პალიტრა 2011 – 2015
5. ალია 2011 – 2015
6. კვირის კრონიკა 2011 – 2015
8. „კომუნისტი“ 1920

9. „ერთობა“ 1920

ელექტრომასალები:

1. ეკა ბასილაია, კოდორის ხეობის გავლით აფხაზეთისა და ჩრდილო კავკასიის დამაკავშირებელი გზა გაჰყავთ (12.05.2015 წანახია),

http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=155

2. კახა მჭედლიძე, როგორ განხორციელდება ფსოუს და როკის სასაზღვრო-გამშვები პუნქტების ადმინისტრირება, თუ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების სანაცვლოდ მათი ლეგალიზება მოხერხდა (10.03.2015 წანახია), <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1549950.html>

3. სიმონ კილაძე, „სოხუმის სამხედრო გზა“ - ისტორია და თანამედროვეობა, (03.04.2015 წანახია), http://expertclub.ge/portal/cnid_5448/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx

4. კოდორის ხეობის გავლით აფხაზეთისა და ჩრდილო კავკასიის დამაკავშირებელი გზა გაჰყავთ (15.07.2015 წანახია),

http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=155

5. გოჩა გუნიავა, ასე იყო 200 წლის წინათაც (10.09.2015 წანახია),

http://rus.expertclub.ge/portal/cnid_2299/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx

6. ოკუპანტები როკის გვირაბის ალტერნატიული გზის მშენებლობას შეუდგნენ (07.08.2015 წანახია), http://expertclub.ge/portal/cnid_9098/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx

7. მოსკოვი და ცხინვალი როკის გვირაბის ალტერნატიულ გზას მამისონის ხეობაში აშენებენ (18.09.2015 წანახია),

<http://www.interpressnews.ge/ge/konfliqtebi/6749-moskovi-da-ckhinali-rokis-gvirabis-alternatiul-gzas-mamisonis-kheobashi-asheneben.html?ar=A>

8. მოსკოვი ე.წ. ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანებაზე მუშაობს (22.09.2015 წანახია), http://www.for.ge/view.php?for_id=37143&cat=3

9. გოგი მაისურაძე, მორიგი სამიზნე – თრუსო (01.04.2015 წანახია),

http://expertclub.ge/portal/cnid_2049/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx

10. კადროვი არღუნის ხეობის ათვისებას იწყებს (12.08.2015 წანახია),

http://expertclub.ge/portal/cnid_3196/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx

11. ვახტანგ შამუგია. კარგი საბაჟო და ცუდი გზა - საქართველოს სამხედრო გზაზე მოძრაობა ყოველწლიურად იზრდება (28.09.2015 წანახია),

http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=19374

12. ლელა ოჩიაური, ჩამოსახლდნენ თუ არა ჩეჩნები შატალში (08.09.2015 წანახია),

http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=6&id_artc=1136

13. თიკა ნიკოლაძე, ავარეთ-კახეთის მაგისტრალი - რბილი ძალა თუ სამხედრო დანიშნულება (02.04.2015 წანახია),

<http://www.24saati.ge/news/story/43951-avaret-kakhetis-magistrali-rbili-dzala-tu-samkhedro-danishnuleba>

14. დაღესტან-კახეთის გზა, როგორც მეორე როკის გვირაბი (17.10.2015 წანახია),

<http://www.fmabkhasia.com/news/9142-daghestan-kaxethis-gza-rogorc-meore-rokis-gvirabi.html>

15. კვირიკაშვილი ავარეთ-კახეთის გზაზე: რაც უფრო მეტი გზა იქნება, მით უკეთეს (28.10.2015 წანახია),

<http://www.tabula.ge/ge/story/88540-kvirikashvili-avaret-kaxetis-gzaze-rac-ufro-meti-gza-iqneba-mit-uketesi>

16. ავარო-კახეთის გზა - როკის გვირაბის სინდრომი კახეთში (15.10.2015 წანახია),

<http://newposts.ge/?l=G&id=58523-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%90,%20%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D,%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98>

17. სამხედრო ექსპერტი დაღესტნის ახალი გზის წინააღმდეგ გამოდის (20.09.2015 წანახია),

<http://www.civil.ge/geo/article.php?id=17525>

18. რუსეთი საქართველოს სხვადასხვა რეგიონთან ხელშეკრულების დადებას გეგმავს - შაშვინი (19.09.2015 წანახია),

<http://www.newposts.ge/print.php?id=55083>

19. ავართ-კახეთის გზა: საფრთხეები და შესაძლებლობები (09.08.2015 წანახია), <http://regional-dialogue.com/ge/articles/avaro-kakheti-road/>
20. პეტრე კოზლოვი, პარტნიორობა დასავლეთის იგნორირებით! ანუ, რას ითვალისწინებს რუსეთ-აფხაზეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება (25.06.2015 წანახია), <http://iverioni.com.ge/9470-partnioroba-dasavlethis-ignorirebith-anu-ras-ithvalistsinebs-ruseth-afkhazethis-samokavshireo-khelshekruleba.html>
21. მაია აბაიძე, „აფხაზეთის ანექსია დაიწყო“, რეზონანსი (30.05.2015 წანახია), http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=22696
22. რაულ ხაჯიმბა: ჩვენ რკინიგზის გახსნის მომხრე ვართ (15.08.2015 წანახია), <http://www.ghn.ge/com/news/view/112518>
23. ზურაბ შენგელია - თავად აფხაზებსაც ძალიან ეშინიათ, რომ ამომრჩევლების სიების საკითხმა საქმე შეიძლება, სისხლისღვრამდეც მიიყვანოს (08.09.2015 წანახია), <http://www.interpressnews.ge/ge/interviu/294077-zurab-shengelia-thavad-afkhazebzac-dzalian-eshiniath-rom-amomrchevlebis-siebis-sakithkhma-saqme-sheidzleba-siskhlisghvramdec-miiyvanos.html>
24. რაულ ხაჯიმბა უძრავი ქონების უცხოელებზე მიყიდვის დაკანონების ინიციატივით გამოდის (10.10.2015 წანახია), http://pia.ge/show_news.php?id=47174&lang=geo
25. ვახტანგ ჭარაია, აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა (19.08.2015 წანახია), <http://regional-dialogue.com/ge/articles/analytics/economic-and-social-state-of-abkhazia/>
26. რაულ ხაჯიმბა ენგურზე ხუთი გადასასვლელის ჩაკეტვის პირობას დებს (09.09.2015 წანახია), <http://www.interpressnews.ge/ge/politika/299416-raul-khajimba-engurze-5-gadasasvlelis-chaketvis-pirobas-debs.html?ar=A>
27. რაულ ხაჯიმბა „საქართველო-აფხაზეთის საზღვრის“ გაკონტროლებას, ან ჩაკეტვას ითხოვს (23.09.2015 წანახია), <http://www.ghn.ge/com/news/view/136823>

28. ერთი კარიკატურის გამო ხაჯიმბამ აფხაზეთში ქართულად სწავლება აკრძალა (27.09.2015 წანახია),
http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=24025
29. აფხაზეთის უარი კრემლის ახალ შეთავაზებაზე (11.10.2015 წანახია),
<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/47171/>
30. აფხაზეთი მოსკოვს შეპირებული ფულის დაგვიანებისთვის გაუნაწყენდნენ (12.10.2015 წანახია),
http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=25196
31. სოხუმში ოპოზიციური ძალების ბლოკი შეიქმნა (15.10.2015 წანახია),
http://radioatinati.ge/sokhumshi_opoziciuri_dzaleb/
32. რუსეთმა საქართველოს მამისონის უღელტეხილიც წაართვა (13.09.2015 წანახია),
<http://info1.ge/?p=2407>
33. შსს: რუსეთის მიერ მამისონის უღელტეხილის წართმევა სრული დეზინფორმაციაა (13.09.2015 წანახია), <http://www.ipress.ge/new/5421-shss-rusetis-mier-mamisonis-ugheltekhilis-tsartmeva-sruli-dezinformaciaa>
34. რუსეთმა საქართველოს დანაწევრების კონკრეტული გეგმა გაასაჯაროვა! (15.10.2015 წანახია), <http://press.mediamall.ge/?id=9199>
35. დეპარტამენტმა 10 საავტომობილო გზის პროექტირებაზე ხელშეკრულება გააფორმა (11.10.2015 წანახია),
<http://www.georoad.ge/?lang=geo&act=news&func=menu&uid=1429185650>
36. გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობა 200-ს აჭარბებს (25.09.2015 წანახია),
http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=23594
37. განხილვები ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ტრანზიტის გადასახადზე სამხრეთ ოსეთში (29.09.2015 წანახია) <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/44207/>
38. ე.წ სამხრეთ ოსეთი მზადაა, თანხის სანაცვლოდ ნავთობსადენის უსაფრთხოება უზრუნველყოს (29.09.2015 წანახია), <http://newposts.ge/?l=G&id=81693->

39. ცხინვალის ყირიმის მიზამავს, სოხუმი უარზეა (19.09.2015 წანახია),
<http://www.amerikiskhma.com/content/georgia-as-will-arrive-after-the-crimea-precedent-of-tskhinvali-and-sokhumi/1873461.html>
40. სამხრეთ ოსეთი: შეთანხმება რუსეთთან და შიდა დაპირისპირება საგარეო პოლიტიკაზე (05.09.2015 წანახია), <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/42845/>
41. "ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების პროცესი გარდაუვალი იქნება," - ალექსეი ვენედიქტოვი (05.09.2015 წანახია),
<http://rustavi2.com/ka/news/20218>
42. რა „ისტორიულ მომენტს“ ელოდებიან ოკუპირებულ ცხინვალში რუსეთთან შესაერთებლად ? (05.09.2015 წანახია), <http://qronikaplus.ge/?p=5596>
43. „დარიალი“ საქართველოს საზღვართან მსხვილი პროვოკაციის მოწყობას გეგმავს (10.07.2015 წანახია), <http://www.kvirispalitra.ge/politic/4752-qdarialiq-saqarthvelos-sazghvarthan-mskhvili-provokaciis-motsyobas-gegmaivs.html>
44. "დარიალი" ყაზბეგსა და თრუსოს ოსურ მიწებად თვლის (10.07.2015 წანახია),
<http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1972363.html>
45. ჩრდილოეთ ოსეთში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია "დარიალი" ყაზბეგის რაიონის ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის მიერთების ინიციატივით გამოდის (10.07.2015 წანახია),
<http://club.geurasia.org/index.php?showtopic=9518&mode=threaded&pid=246005>
46. თრუსოს ხეობა არასოდეს ეკუთვნოდა საქართველოს (11.07.2015 წანახია),
http://resonancedaily.com/index.php/index.php?id_rub=2&id_artc=1480
47. „Осетины никогда не смирятся с потерей своих земель, (10.02.2015 წანახია),
<http://www.ekhokavkaza.com/content/article/26840770.html>
48. პანკისის ხეობაში სპეცოპერაციის შედეგად რამდენიმე ადგილობრივი დააკავეს (11.10.2015 წანახია),
<http://www.interpressnews.ge/ge/samartali/334560-pankisis-kheobashi-specoperaciis-shedegad-ramdenime-adgilobrivi-daakaves.html?ar=A>
49. პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭო დაიშალა – რამ გამოიწვია დაპირისპირება (11.10.2015 წანახია), <http://ick.ge/articles/22184-i.html>

50. „ისლამური სახელმწიფოს“ მიმდევრები აფხაზეთშიც გამოჩნდნენ (11.10.2015 წანახია), http://www.for.ge/view.php?for_id=41284&cat=3
51. რუსეთი ნატო-სთან ომის შემთხვევისთვის შექმნილი გეგმის ფორსირებულად განხორციელებას იწყებს (21.10.2015 წანახია),
<http://www.internet.ge/v3-0/index.php?action=news&category=3&news=68884>
53. კანონი, რომელმაც მთას უნდა უშველოს (22.10.2015 წანახია),
<http://www.radiotavisupleba.ge/content/mtis-kanoni/26586911.html>